ლიტერატურული საქართველო

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

12 ივლისი, 2013 წ. №52 (3662) გამოცემის 77-ე წელი ფასი 1 ლარი

თამაზ წივწივაძე

„სხვას მეშველსა გარეგანსა, მომკალ, ვისცა ვინატრიდე!..“

ლაშა, ძვირფასო მეგობარო!

ერთი კარგი ამბავი მაქვს შენთვის და ჯერ ის უნდა გითხრა!

შენი ლექსების პრეზენტაციამ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და მკითხველი საზოგადოების მღელვარების საგნად იქცა – ღმერთო ჩემო, საიდან აღარ გვწერდნენ და საიდან აღარ გვირეკავდნენ!

მადლობა ძმაო! ჩვენი გაზეთის მკითხველებს თუ ლექსები გააოცებდა, აღარ მეგონა!

ზეპირ განცხადებებს რაღა ეშველება, თორემ ყველა იმ წერილსა და სხვა ტექსტურ შეტყობინებას ამ დღეებში გადმოგიმისართებ!..

მე კიდევ ცუდი ამბავი დამემართა, ლაშა! რეზო მიშველაძე რომ არის ერთი, თავის თავს ჩუმ-ჩუმად „ცოცხალ კლასიკოსს“ რომ ეძახის და ამაზე მთელი ქვეყანა ხმამაღლა იცინის – ამასწინათ თავის მოჯამაგირეებიანად დამესხა თავს!

მოჯამაგირეებში აქ მე იმ ხალხს ვგულისხმობ, მწერალთა განყოფილებებს რომ ხელმძღვანელობენ რეგიონებში, ცოტა-ცოტა ჯამაგირიც რომ აქვთ და ამის გამო ქედზე კავშირის უღელიც ადგათ!

იმის მიუხედავად, რომ ყველამ ერთად და ერთი გაზეთიდან დამცა საბრძოლო ყიჟინა, მე, როგორც სხვა დროს, შიშის მაგიერ კინაღამ სიცილით მოვკვდი!..

ლაშა, ძვირფასო მეგობარო! „ლიტერატურული საქართველოს“ დღევანდელ ნომერში ერთი მათგანი, უფრო ზუსტად, მათი ლიდერი, რეზო მიშველაძე, ფეხქვეშ მყავს გაგდებული და მალე სხვების ჯერიც დადგება!

უკვე დაწერილი მაქვს ორი წერილი:

ერთი – „მაყვალა გონაშვილი – როგორც ასეთი!..“

მეორე – „ბაღათერ არაბული – როგორც ისეთი!..“

მწერალთა რეგიონალურ განყოფილებებსაც ამ დღეებში ჩამოვუვლი... ესენი გამქცევები არსად არიან – მათი ჭკუით, თავიანთ პოსტებზე კიდევ თითო წელი აქვთ დარჩენილი და როგორც ორი კვირის ხბოს ვერ მოწყვეტ დედის ჯიქნიდან, ასევე ამათაც გაუჭირდებათ ქალბატონ მაყვალას უბიდან თავის აღება!..

ლაშა, ძვირფასო მეგობარო!

შენ იმდენად კარგად მიცნობ მე, ალბათ, დამიჯერებ, ამათთან ბრძოლა – „თამაშად და მიჩანს მღერად!..“

ჩემს ძალაში დარწმუნებული, კიდევ ერთხელ ხმამაღლა ვაცხადებ: „სხვას მეშველსა გარეგანსა, მომკალ, ვისცა ვინატრიდე!“

რასაკვირველია, სხვებს არ ვინატრებ, მაგრამ ძვირფასო ლაშა, შენი სამსახური ნამდვილად დამჭირდება! –

საქმე ის არის, რომ მარტო ჩემი „ლიტერატურული საქართველო“ ამ ბრძოლის პერიპეტიებს ისე ვერ გააშუქებს, მთელი ქვეყნისთვის მისაწვდომი რომ გახდეს!

ამიტომ, იქნებ, შენი კარგი გაზეთიც – „ასავალ-დასავალი“ დამახმარო და ამ არამზადების ამბავი საქართველოს მოვფინო!

არა, ლაშა! „მწერლის გაზეთში“ რას იბჟუტურებენ, ეს არავის აინტერესებს. რეზო მიშველაძეს რომ ჰკითხო, მე ერთი ხელმოცარული ლიტერატორი და პასკვილების უნიჭო ავტორი ვარ!..

მაგრამ, აბა, ჭაბუა ამირეჯიბს მოვუსმინოთ! –

„ძმაო თამაზ!

მებრძოლი კაცი ხარ, არ გისურვო კიდეც, გულხელდაკრეფილი არ დადგები, შენსას არ დაიშლი, ღმერთის მადლი და ნებაა.

ერთი რამ შევნიშნე, შენმა ბრძოლამ საბოლოო შედეგად ის მოიტანა, რომ ოპონენტიც თითქმის აღარ გყავს, ვერაფერს გიბედავენ. იციან, უარესს მიიღებენ. აქედან გამომდინარე, მაინც გისურვებ, ძლიერი და ღირსეული ოპონენტი გამოგჩენოდეს, რომ შენმა ტალანტმა და ბრძოლის უნარმა უმჯობესი ფერებით, წახნაგებით და მხნეობით იფეთქოს!

შენ და მე ბევრი ნათქვამი აგვხდენია, ნურც ამას გაგვიცუდებს მაღალი ღმერთი!

სიცოცხლე ბრძოლაა, ბრძენს უთქვამს. იცოცხლე და იბრძოლე!“

* * *

ლაშა, ძვირფასო მეგობარო!

რაკი ჭაბუა ამირეჯიბს მე ძმად მივაჩნივარ და ეს სხვა დროსაც არაერთხელ დაუდასტურებია, მე თვითონ შენი ძმა ვარ და აქედან ის გამოდის, რომ ჩვენი საუკუნის ყველაზე დიდი ქართველი მწერალი შენც ძმად გერგება!

და, ვაი, რეზო მიშველაძეს აწი! –

მრუდედ გადადგმული მისი არც ერთი ნაბიჯი „ლიტერატურული საქართველოსა“ და „ასავალ-დასავლის“ გაერთიანებულ მკითხველებს ვეღარსად დაემალება!

მადლობ, ძმაო! საქართველოს მოსახლეობა ამ ბრძოლის მეთვალყურედ რომ აქციე!..



თამაზ წივწივაძე

მოჭიდავე მოჭიდავეს ერთხელ დასცემს,
აუშვებსა,
თუ მეორედ დაეჭიდა, ცოცხალს აღარ
გაუშვებსა!..

ხალხური

ბრძოლის ყიჟინა მოგესმა

ძვირფასო მკითხველო!

ვიდრე ჩემი ჩარხი (ოტელოსავით!) ბედუკუღმა გადატრიალდებოდეს, იქამდე მინდა გამოგიტყდეთ – ცუდი საქმე დამემართა: მწერალთა კავშირის დღევანდელი ხელმძღვანელები მტრად მოვიკიდე!

არადა, როცა გამახსენდება, იმათ შორის ერთი, რა ბაყბაყ დევიც არის (მიშველაძეს ვგულისხმობ!) შიშისგან გული მიმდის!

ძაან მაგარია ეს კაცი თავის წონაში!

მით უმეტეს, ახლა მეტისმეტი მოუვიდა – თუ ადრე ზურგს უკან მიტევდა, დღეს პირდაპირ წინიდან მენცობა!

თანაც, ისეთი რიხით მოდის, ეტყობა, თავიდანვე უნდა ამიყვანოს:

„თამაზ წივწივაძეს საქართველო აქამდე იცნობდა როგორც ხელმოცარულ ლიტერატორს, პასკვილების უნიჭო ავტორს!..

გაჩერდი, რეზო, ნუ სულელობ, ბიჭო, რაღაცას!..

თუ ეს კაცი ხელმოცარული ლიტერატორი იყო და თანაც უნიჭო პასკვილებს წერდა, მთელ საქართველოს მისი დამახსოვრება რაში დაჭირდებოდა?!

ხომ მიხვდი ახლა, დიდი სიბრიყვე რომ თქვი? ჰოდა, გაჩერდი!

ძვირფასო მკითხველო! ვიდრე ეს სულელი გაჩერებული მყავს, თქვენ უნდა გითხრათ:

ლეგენდარულ ლიტერატორსა და დიდ მეცნიერს, მბატონ აკაკი გაწერელიას მოცალეობის ჟამს, ემზარ კვიტაიშვილთან ერთად, ჩემ მიერ გადახდილი ბრძოლები გამოუთვლიათ და 129-მდე ასულან!..

ამასთანავე, თურმე, ყველა ეს ბრძოლა პირწმინდად მომიგია და თანაც, აქედან, 128 – ნოკაუტით!

ის ერთიც, მეტოქის ძირდანარცხებით მხოლოდ იმიტომ არ დამთავრებულა, რომ ახლობლები შუაში ჩამდგარან და დამარცხებული კაცი ხელიდან წაურთმევიათ!..

თუ გახსოვთ, ასე მოხდა მიშველაძის შემთხვევაშიც – პარლამენტის სხდომათა დარბაზში, პირდაპირ ტრანსლაციის დროს, რეზო მიშველაძემ „ისიმულიანტა“ და იქამდე დაწვა იატაკზე, ვიდრე საბოლოო დარტყმას მიიღებდა!

თანაც, დაცემის წინ დაყვირებაც მოასწრო: წივწივაძემ მომკლაო!..

მერე კი, ბატონ როინ მეტრეველსა და მის წრეს, მუხლზე დაჩოქილი ევედრებოდა – შემარიგეთ, არ მომკლასო!

დღეს კი, რა ეტაკა, არ ვიცი – ხმალმა გაგვასწოროსო!

ხომ ნახეთ, ზემოთ, გაღიზიანების მიზნით როგორ დამახასიათა: „თამაზ წივწივაძეს საქართველო აქამდე იც-

ნობდა როგორც ხელმოცარულ ლიტერატორს, პასკვილების უნიჭო ავტორს...“

– არა, რეზო, ასე არ გამოვა!

შენ კიდევ მეტყვი, უნიჭო ხარო, მე კი სხვა გზა აღარ დამრჩება: ან არამეთქი ისევ უნდა გითხრა, ან ხელი გაგილაწუნო!..

რასაკვირველია, ასედაც არაფერი გაირკვევა!..

ამიტომ აწი ასე მოვიქცეთ – ხანდახან სხვებსაც ვკითხოთ, იზიარებენ თუ არა შენს სულელურ აზრს ჩემს შეფასებასთან დაკავშირებით!

მოდი, რეზო, იმ მწერლით დავიწყოთ, რომელიც შენ ძალიან გიყვარს და, კაცმა რომ თქვას, ნოველების წერაც მისი მიბაძვით დაიწყეთ, მაგალითად, რეზო ჭეიშვილით!

„თამაზ, მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, რომ ახალ ლიტერატურულ ჟანრს ამკვიდრებდი... ამკვიდრებ და დაამკვიდრებ – შედევრებს შექმნი, ნიჭი თავისას იქმს!..“

ახლა იმ მწერლის აზრიც გავიგოთ, რომელიც შენ, არა მარტო არ გიყვარს, მგონი, გეზიზღება კიდეც, მაგალითად, მურმან ლებანიძის!

„თამაზ, მე თქვენთვის არა ერთხელ მომილოცნია ბრწყინვალე იუმორით გაჯერებული ჭეშმარიტად მხატვრული ქმნილებანი!..“

რა ქნას ახლა, ბატონო რეზო, შენ დაგიჯეროს მკითხველმა ჩემი შეფასებისას თუ ზემოთ დასახელებულ იმ ორ დიდ მწერალს, რომელთაც ძილშიც კი არ დაესიზმრებათ შენი ნაწარმოებების შექება!

მით უმეტეს, ამ ორიდან, არც ერთი, შენს ნაწერებს მხატვრულ ქმნილებადაც არ თვლის!..

ამიტომ აქვს, ავქსენტიჩ, ტყუილს მოკლე ფეხი – კი, მეუბნებოდი, ფრთებს ნუ დამატოლებ, უხერხული იქნებაო, მაგრამ სხვა რა გქონდა ჩემს სიგრძე, რომ დაგეტოლებინა და არ შეგრცხვენოდა?

ხომ ნახე ახლა, კარგი მწერლების თვალწინ, ჩემმა შედევრებმა როგორ შხუილით გადაუარა შენს, სხვის მიერ მოყოლილ ანეკდოტებზე შექმნილ ნაწერებს!..

არა, ძვირფასო მკითხველო, ამ კაცს ჩემგან კანჭები აქვს ასაწვავი ჭინჭრის შოლტით და ასე იოლად ვერ მოვეშვები – როგორც ვირს პიტნა, ისე უნდა შევტენო ცხვირში ჭეშმარიტ შემოქმედთა მიერ ჩემდამი მოძღვნილი საქებარი სტრიქონები!

ამ უხერხული საქციელის გამო კი, წინდაწინ ვითხოვ პატიებას!..

ნოდარ გურაბანიძე:

„იშვიათად შემხვედრია ისეთი ადამიანი, როგორიც თამაზ წივწივაძეა. მე ისეთი შთაბეჭდილებაც კი მრჩება, რომ მას თავისი იშვიათი ტალანტისა და განსაკუთრებული გონებამახვილობისა რცხვენია კიდეც. ასევე იშვიათად მინახავს ადამიანი ასე შეუბრალებელი, დაუზოგავი, გამანადგურებელი ძალის მქონე, მაშინ, როცა კალამს მოკიდებს ხელს და მარტო რჩება თავის თავთან, სადღაა მისი სიმშვიდე, მოკრძალება, დანდობა – იგი გადადის შეტევაზე და მისი შეჩერება შეუძლებელია!..“

მართალია, რეზო ეს კაცი, ამას მეც ვატყობ, როცა შეტევაზე გადავდივარ, ჩემი გაჩერება შეუძლებელია! იქნებ, რამე მოიფიქრო, ბიჭო, თავი რომ შემაცოდო!

თუმცა, მოიცა! შეიძლება, ჩემმა იმ ერთმა კარგმა თვისებამ გიშველოს, ეს თეატრალური მოღვაწე საგანგებოდ რომ გახაზავს!

„იგი ქვეყნის მოჭირნახულეა, ერის ტკივილებზე და პრობლემებზე მზრუნველი, კერძო პირს არ ერჩის მანამ, სანამ თავის აბეზრობით არ „მოაცდენს“ დიდ საქმეთაგან, მაგრამ თუ ასეთი ვინმესთვის მოიცალა – შენს მტერს!.. მე იგი ამ ბრძოლაში დამარცხებული არ მინახავს! როგორც ჩანს, უამრავ როლთან, მხოლოდ ტრიუმფატორის როლს ირჩევ!“

ძვირფასო მკითხველო! ამ კაი კაცისგან წაქეზება მინდოდა ახლა მე? რას შვრები, რეზოია, სად გარბიხარ, ისევ როინ მეტრეველს უნდა ჩაუვარდე ფეხებში, ჩემთან რომ შეგარიგოს?

არა, რეზო! შენ იმდენად არამზადა კაცი ხარ, შეიძლება, სულაც გაისრისო!

ოღონდ მანამდე, შენი თავი შენს სიძეს უნდა გავალახვინო – ის ღირსეული მწერალი და ღირსეული პიროვნება გახლდათ!

ამასთან შენი ფასიც კარგად იცოდა და, ჩემიც!

აი, ნახე, პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიების“ დარად, შეფარვით გვადარებს ერთმანეთს!

„მეც, ჩემდა თავად, შემიძლია ყველა ურწმუნო თომას გასაგონად კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ შენ (მე მომმართავს!) ნიჭით ბევრს სახელმოხვეჭილ მწერალს აღემატები. და არა როგორც კრიტიკოსი, არამედ როგორც შემოქმედი... ღმერთმანი, მწარე ენა გაქვს, იქნებ ზომაზე მეტად მწარეც, მაგ ენით შენი ქვეყნის ბევრი ქვეგამხედვარი გაამწარე. ბევრ მწერალს ვიცნობდი, ბევრი არამწერალიც მინახავს, ბევრ ენამახვილს შევხვედრივარ ცხოვრების გზაზე, მაგრამ შენსავით (ისევ მე მგულისხმობს!) საცალო ქვევრივით დაუცლელ – ამოუხაპავი იუმორის მქონე კაცს კი არ გადავყრილვარ...

და, დაე, ეშმაკებმაც ჩემი სულიც თუნდაც დღესვე ჩაუძახონ თავიანთ კუპრის ქვაბში, თუ ვიცრუო: ყველა დროის იუმორის მქონე ქართველ მწერალს ქალამნის თასმასავით დაიხვევ ფეხზე! შენი წერილები თუ კრიტიკული ნარკვევები ბევრი მწერლის რჩეულ პროზას გაახუნებს, რადგან იგი არა მარტო პროზად აღიქმება, არამედ პოეზიაც შესაბამისი დოზით ლივლივებს შიგნით!..“

* * *

რეზოია უბედურო! რა მიკვირს, იცი? შენ და ლადო მრელაშვილი, როგორც სიძე და ცოლისძმა, ერთმანეთს არსად და არასოდეს გადაყრილხართ?! აბა, ისე ცხოვრება როგორ მოახერხეთ?!

არა, არა! აქ გადაყრა არაფერ შუაშია, ლადო სერიოზული მწერალი იყო და, ეტყობა, შენი „სამწერლო ღადაობები“ არ მოსწონდა, ხოლო იუმორი რომ არ გივარგა, ეს ყველამ იცის!

არადა, იმ დალოცვილს, ესეც რა კარგად დაუნახავს: „ყველა დროის იუმორის მქონე ქართველ მწერალს ქალამნის თასმასავით დაიხვევ ფეხებზე“-ო!

ძვირფასო ბატონო ლადო მრელაშვილო, თქვე კარგო კაცო და კარგო მწერალო, ამაში მართლა უნდა დაგეთანხმო – თქვენი ცოლისძმის, რეზო მიშველაძისნაირ იუმორისტ მწერლებს, მართლაც, „პარტიანკებივით“ გადავიხვევ ფეხებზე და ისე „ვადღლუზიებ“ რეზინის ჩექმაში თავს!..

მეტის ღირსი არა ხარ ახლა შენ, რეზოია, ჩემგან? რამ გათქმევინა, შე კაცო: თამაზ წივწივაძეს საქართველო აქამდე იცნობდა, როგორც ხელმოცარულ ლიტერატორს, პასკვილების უნიჭო ავტორსო...“

არადა, თურმე, შენივე კარგი სიძის აზრით, შენს ნაჯღაბნებთან შედარებით, ჩემი, ლაღი განწყობით დაწერილი ნაწარმოებები, არა მარტო პროზად აღიქმება, არამედ პოეზიაც საკმაო დოზით ლივლივებს შიგნითო!

ახლა, არ გეწყინოს, რეზო და, სადაც გნახავ იმ ფრთებს დაგაჭრი, ჩემსას რომ ატოლებდი!..

ძვირფასო მკითხველო!

ხომ თქვენი თვალით ნახეთ, მიშველაძის სახით, რამხელა შარლატანთან და აფერისტთან გვაქვს საქმე, თუმცა ამის არაკაცობა და არამზადობა აქ არ მთავრდება – ხელმოცარულ ლიტერატორად და უნიჭო პასკვილების ავტორად რომ გამომაცხადა, ეგ არაფერი, ახლა უნდა მშიშრად და ლაჩრად მომნათლოს!..

თუ ვაჟა-ფშაველას სიტყვებით ვიტყვით, მე, თამაზ წივწივაძე, „სრულ ლაშქარსავარ, რაც კია, ძუძუს მამსხლიტა დედამა“, ამ ბუნებით და დაბადებით ლაჩარმა კაცმა კი, ყველაფერი წყალში უნდა ჩამიყაროს!

თამაზ წივწივაძემ „წლების მერე შეშინებულმა კურდღელივით დატოვა ეს თანამდებობა და 9 წელი საკუთარ შუშაბანდში იმალებოდა (ისე რომ ფანჯარასთან ვერ მოდიოდა, არ მესროლონო) ამ ბოლო დროს რეანიმაცია მოინდომა“.

კი, მაგრამ, ამ კაცმა, ამ ცხრა წლის განმავლობაში, რა ხდებოდა ჩემს სახლში, რა იცოდა? მთელი ამ ხნის განმავლობაში, დურბინდით ხელში, ჩემს შუშაბანდს აკვირდებოდა, თუ როდის მივიდოდი ფანჯარასთან?!

რეზოია უბედურო! შენ რომ არაფერი არ იცი. ეს ჩემთვის გასაგებია, მაგრამ სხვისთვის რომ მაინც გეკითხა, გეტყოდა – სერიოზული დამნაშავეები შუშაბანდში არ იმალებიან!

რა შუშაბანდში დამდგარხარ და რა ღია აივანზე – უსაფრთხო ადგილი არც ერთი არაა!

მით უმეტეს, შენი თვალთვალის პირობებში!

ძვირფასო მკითხველო! მთელი ცხრა წლის განმავლობაში სხვის შუშაბანდს და სხვის საცხოვრებელ სახლს რომ უთვალთვალებს, იმ კაცს ან რა ქვიან, ანდა, რომელი ორგანიზაციის დავალებით უნდა იქცეოდეს ასე?

კი, სწორად იგუმანეთ, – ხშირად გამიგონია, რეზო მიშველაძე კაგებესთან თანამშრომლობაში არის ეჭვმიტანილიო!

აი, მოუსმინეთ ერთ წესიერ კაცსა უნიჭიერეს პოეტს კობა არაბულს!.. –

„მიშველაძე მაშინაც, ჩემი სტუდენტობის ხანაში, სახიფათო პერსონად ითვლებოდა – „მზირივით გვიჯდა“ – მზირი ფოლკლორში მოთვალთვალეს ნიშნავს...

არ ვიცი, რა ფუნქციას ასრულებდა მაშინ ახალგაზრდა დოცენტი, მაგრამ ფრიად საეჭვო რეპუტაციას კი ფლობდა...

თუმცა ცხოვრების წესი არც მერე შეუცვლია, გამოვლო თავისი ოდიოზური გზა და დღესაც „მოთვალთვალედ“ დარჩა, – ასმენს და აბეზღებს ყველას და უფრორე მწერლებს.“

მიაქციეთ ყურადღება! აქვე დაბეჭდილ ნოდარ დუმბაძის რომანის ნაწყვეტში, ის ეპიზოდიცაა დაფიქსირებული, როცა ავტორი, ნოდარ დუმბაძე, ხელს ადებს მიშველაძეს თუ როგორ დაასმინა პარტიის რაიკომის მდივანთან!..

ერთი სიტყვით, მიშველაძე, მთელი ამ ცხრა წლის განმავლობაში, ხელისუფლებას, ჩემს შუშაბანდზე მზირად ჰყოლია მოწვეული და შიგ რას ვაკეთებდი, ამ ყველაფერს „მოდარაჯე კაცის თვალით“ უთვალთვალებდა.

ოღონდ ის ნამდვილად არ ვიცი, ჩემი გაქცევის შემთხვევაში ამ „ცოცხალი კლასიკოსისთვის“ ჩემი მოკვლის უფლება თუ ჰქონდათ მიცემული!..

ყოველ შემთხვევაში, გულდაწყვეტილი ამბობს: ფანჯარასთან ვერ მიდიოდა, არ მესროლონო!

რეზო! შენი ნასროლისა არ გეიშვა არაფერი – თუ გინდა, აქვე ჩავიწევ შარვალს და გამარტყი ტყვია ტრაკზე, მაგრამ, შე მართლა ტრაკო, მე – ჩემს ძმებთან, შედანიასთან, ხოსიასთან და ამირან ლეკვეიშვილის წრეში გაზრდილ კაცს, კვირაში ერთხელ ხანჯლის პირზე რომ მიწევდა გავლა, ან შენი, ან შენი ცინგლიანი სააკაშვილის შემეშინდებოდა?

ხოლო თუ შუშაბანდში ყოფნისას ფანჯარასთან არ მოვდიოდი, ეტყობა, კარგადაც ვიქცეოდი – იმათ რომ მაშინ მოვეკალი, ახლა მე შენ ვერ გაგანადგურებდი!

არადა, როგორც ჩანს, ეს აუცილებლად უნდა გავაკეთო!..

უკაცრავად, ძვირფასო მკითხველო, ამ ცნობილ გარეწრებს, ათასში ერთხელ, მეც კი გამოვყავარ წონასწორობიდან, ეს კი იმ შემთხვევაში ხდება, მუხრან მაჭავარიანს რომ აქვს თავის ერთ პატარა ლექსში აღწერილი! –

„საქართველოში მე იმდენად გავხდი საქები,

სახელს იხვეჭენ ჩემი ლანძღვით არამზადები!..“

ეს, – მიშველაძეების დარი არაკაცები არიან არამზადები, თორემ რაც შეეხება შიშთან ჩემს დამოკიდებულებას, ესეც არაერთხელ გამიცხადებია ჩემს ინტერვიუში თუ საგაზეთო წერილებში!

აი, ერთი მათგანიც!

კორესპონდენტი: – ბატონო თამაზ, ამდენ ხალხს რომ იკიდებ, არაფრის გეშინიათ?

თ. წივწივაძე: – სულელი კი არ ვარ, არაფრის რომ არ მეშინოდეს!

მაგრამ მე ხომ მწერლობა და ჟურნალისტობა თავის გამოჩენის მიზნით ავირჩიე?

ჰოდა, ვისაც თავის გამოჩენა უნდა, იმას სიკვდილისა არ უნდა ეშინოდეს!

ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავის გამოჩენა მაშინ უფრო შეიძლება, თუკი მოგკლავენ!

და, მეორეც: მკითხველს რომ თავი მოაწონო, სიკვდილზეც არ გინდა წახვიდე?

გახსოვთ მაკედონელი, უდიდეს საფრთხეში ჩავარდნილმა რომ წამოიძახა:

„ოჰ, ათენელებო, ნეტავ იცოდეთ, რა საფრთხეში ვიგდებ თავს მხოლოდ იმიტომ, თქვენი ქება რომ დავიმსახურო!..“

მე ვინ ვარ, მაგრამ მინდა იცოდეთ, მეც ბევრჯერ გადამიდვია თავი, მკითხველის ქება რომ დამემსახურებინა!

სხვათა შორის, ესეც კარგია, ახლა, თქვენს თვალწინ, მიშველაძე რომ მაძაგებს – თუ ამათი დარი ადამიანები არ მაძაგებენ, ისე მკითხველის შექებას ვერასდროს დაიმსახურებ!..

ეს ყოველთვის უნდა მახსოვდეს!..

* * *

ზემოთ ვთქვი, რომ ხანდახან მკითხველის ქება მეც დამიმსახურებია-მეთქი, მაგრამ მიშველაძესთან ასეთი ზეპირი განცხადებები შედეგს არ მოიტანს, იმას ყოველთვის საბუთი უნდა!

აი, საბუთიც, ბატონო რეზო, რომელიც სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გაახლათ ისეთმა ვაჟკაცმა მწერალმა, როგორიც ელგუჯა მაღრაძე იყო!

„თამაზ წივწივაძე დაურიდალი, უშიშარი, მხნე, გულოვანი პიროვნებაა – მომართული აქვს აზროვნების ელვარე შუქი, რომლისთვისაც თვალის გასწორებაც უძნელდებათ, რადგან ყველფერს ხანძრის ელვარება შთანთქავს!..

ამიტომ იოლად ნურავინ ამჩატდება და თამაზ წივწივაძესთან საჭიდაოდ ნურავინ გაირჯება!..“

თუ არაო და, არ დაიშლითო, იატაკზე დავარდნილ მეტოქეს შარვალი ნაკერავზე გაერღვევაო!..

რეზო, ნამუსი სულ აღარა გაქვს? რამდენჯერ უნდა მომიგზავნო ბატონი როინ მეტრეველი – შენი დანებების ნიშნად – თეთრი დროშით?!

ანდა, იქნებ ტარიელ ჭანტურიასთვის მაინც გეკითხა, რომელსაც ჩემი ჩხუბიც (პირდაპირი მნიშვნელობით!) ბევრჯერ აქვს ნანახი და ერთხელაც – აღწერილი:

„თამაზი არის უშიშარი, ვითარცა უხორცო! – მას ახსოვს, რომ ხორცი ასხია და ამის მიუხედავად არის უშიშარი! ამას ჩემთვის მეტი ფასი აქვს, ვინემ მულიდის, ასასინის, კამიკაძის გაბედულებას!..

„მომისმინე, თორემ დაგარტყამ! – გააფრთხილოს უნდა თამაზმა ის თავზეხელაღებული მოქალაქე, და თუ მაინც არ მოიშლის თავისას, უნდა მართლა დაარტყას!...“

რეზო, ხომ გახსოვს, ერთხელ რომ დაგარტყი და პარლამენტის სხდომათა დარბაზის იატაკზე რომ გაადინე ბრაგვანი?!

აღარც შენი თავი გეცოდება, ბიჭო, და აღარც ის მაყურებელი, შენი საცოდაობით რომ იწვება და მეც მადანაშაულებს – დაანებე ამ საწყალს თავი, მართლა ხომ არ უნდა მოკლაო!..

ან როინ მეტრეველი მაინც შეიცოდე, რეზო, ამ ორ – მეცნიერებათა და მწერალთა აკადემიებს შორის რომ არბენინებ სამშვიდობო მისიით!..

თორემ, ერთხელ იქნება, გაბრაზდება და, არსენას ლექსის არ იყოს: „მოგიბრუნდება, შემოგკრავს, სულ მუშტით დაგიმტვრევს ყბებსა!..“

და, ახიც იქნება შენზე!..

ახლა კი იმ კაცს მოვუსმინოთ, რომელსაც თავისი რთული ბიოგრაფიის გამო, შიშის გრძნობა სიყმაწვილიდან აქვს ატროფირებული.

„იმ დახუფულ საზოგადოებაში, როცა მხოლოდ ქარაგმულად და იგავებით შეიძლებოდა რაიმე განსხვავებული აზრის გამოთქმა, სატირას განსაკუთრებულად გამორჩეული ადამიანები მიმართავდნენ, ის პიროვნებები, რომელნიც სიყალბისადმი დამოკიდებულებას შიშზე მაღლა აყენებდნენ. მაშინ ასეთი კაცი თამაზ წივწივაძე გახლდათ, მისმა ნიჭიერებამ გმირად გახადა იგი.“

ჩემო რეზო, გამოდის, რომ ჩემი გამბედაობიდან გამომდინარე, ქურდულ სამყაროში კაი სახელი მქონია დაგდებული!

ბატონი ჯაბა კი განაგრძობს:

„დღეს კი, როცა ვერ გაარჩევ, ვინ ლაჩარია და ვინ გულადი, სხვა კრიტერიუმები უნდა მოვიმარჯვოთ...“

რეზო! ხომ შენი თვალით ნახე და შენი ყურით გაიგონე, რომ ამხელა კაცმა, ჯაბა იოსელიანმა, რომლის გვარიც იმერეთში, სოლომონ მეფის კარზე „ფიცის კაცებში“ შედიოდა, პირდაპირ განაცხადა, რომ მე ჩემმა ნიჭმა გმირი გამხადა – ახლა ის მაინტერესებს, სხვა კრიტერიუმებითაც თუ შევინარჩუნებ ამ სტატუსს!..

„1999 წელს, როცა დეკემბრის სუსხიან დღეებში ოპერის ბაღში ვშიმშილობდით და გაყინულ მიწაზე ვეგდეთ, გვერდზე თამაზ წივწივაძე მოგვიწვა...“

გრცხვენოდეს, რეზო! შენ რომ გინდოდა მშიშრად და ლაჩრად გამოგეცხადებინე, მე, სრულიად მოკლე ხანში, ზედიზედ ორი (ჯერჯერობით!) გმირობა ერთმანეთის მიყოლებით ჩამიდენია!

და ამას ამბობს კაცი, რომელმაც გმირობის ფასიც იცის, ვაჟკაცობის ფასიც და, სხვათა შორის, ქურდობისაც!..

თანაც, მიაქციე ყურადღება „ცოცხალო კლასიკოსო“?

მეორე ცდაზე თითქმის ცოტნე დადიანის გმირობა გამიმეორებია!

დიდი ცოტნე ზაფხულის ხვატში მიუწვა მეგობრებს გვერდზე და თაფლი წაისვა!..

მე კიდევ ზამთარში, დეკემბრის სუსხში, გაყინულ მიწაზე მივეგდე იმ ბიჭების გვერდით, რომელთა პროფესიული საქმიანობა ბოლომდე კარგად არც იყო გარკვეული!..

რეზო, წინასწარი ბოდიშის მოხდის შემდეგ, იმ დაღუპული ბიჭის სულს გაფიცებ, არც ისე მშიშარა კაცი ვჩანვარ, არა?!

აბა, რასაა, რომ მაბრალებ – საკუთარი სახლის შუშაბანდებში ფანჯარასთან მისვლას ვერ ბედავო!..

არა გრცხვენია ახლა, შე მართლა გაფუჭებულო და ლაჩარო კაცო?!

თუმცა, ჯერ ისევ ჯაბას ვაცდი და მერე ერთად გავცემ პასუხს!..

„ბოლო დროს, როცა ციხეში ყველასგან შეჩვენებული ვიყავი, იმ ხალხის მიერაც კი, ვინც ჩემი წყალობით აღზევდა თუ ცოცხალი გადარჩა, თამაზ წივწივაძე ყოვლად უსიამო ვითარებაში იგდებდა თავს, რათა ჩემი გათავისუფლების საქმეს როგორმე შეშველებოდა!..“

შევეშველე კიდეც, რეზო, მე, როგორც მაშინდელი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, იქამდე ვერ მოვისვენებდი, სანამ თუნდაც ერთი მწერალი ციხეში იქნებოდა!

ჩემს მეგობარ ედუარდ შევარდნაძეს მანამ არ მოვეშვი, სანამ ჯაბა იოსელიანი ციხიდან თავის ხელით არ გამომატანა!

თქვენ კი, მწერალთა კავშირის დღევანდელმა ხელმძღვანელებმა, სულ ახლახან, ორი მეტისმეტად ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი, ლექსო დორეული და იკა ქადაგიძე, მხოლოდ იმის გამო გარიცხეთ მწერალთა კავშირიდან, ხმამაღლა რომ გამოხატეს თავიანთი უკმაყოფილება!..

* * *

ახლა კი პირველ სიტყვას მოვიდეთ, ძვირფასო მკითხველო!

ძალიანაც გამახარებთ, თუ იმასაც დამიდასტურებთ, რომ მე არც იმდენად უნიჭო ვარ და, მით უმეტეს, არც იმდენად მშიშარა, რეზო მიშველაძის დასაცინი რომ გავხდე!

პირიქით, მიშველაძეების უახლოესმა ნათესავმა და თითქმის ოჯახის წევრმა – სიძე კაცმა, ბატონმა ლადო მრელაშვილმა, ფიცის ქვეშ დაადასტურა:

„თამაზ, დაე, ეშმაკებმა ჩემი სულიც თუნდაც დღესვე ჩაუძახონ თავიანთ კუპრის ქვაბში, თუ ვიცრუო: ყველა დროის იუმორის მქონე ქართველ მწერალს ქალამნის თასმასავით დაიხვევ ფეხზე! შენი წერილები თუ კრიტიკული ნარკვევები ბევრი მწერლის რჩეულ პროზას გაახუნებს, რადგან იგი არა მარტო პროზად აღიქმება, არამედ პოეზიაც საკმაო დოზით ლივლივებს შიგნით!..“

მკითხველო, გეფიცები, ამ ჩემს ნაწარმოებებს კიდევ უფრო ავალივლივებდი, მაგრამ, მეშინია, ჩემი კრიტიკული წერილები, ვინმემ ლექსებად არ წაიკითხოს!..

რეზო! ახლა შენი სიძე ჩემს ვაჟკაცობაზე ჩამოაგდებს სიტყვას და, შენ რომ არ შეგეშინდეს, დახუჭე თვალები და ისე მოისმინე:

თამაზი
(ხევსურულ ჰანგზე)

ერთსაც მე ვიტყვი, ვოჟებო,
ქვეყანამ დაიჯეროსა,
ვისაც უკერავ ბეგთარი,
ისევ იმანვე კეროსა,
ვისაც მოუკლავს ბერხენი,
კვლავ იმან მიამკვლელოსა.
აქებენ წივწივაძესა,
მაგარ-მაგარის მთქმელოსა,
როგორც ხევსური ფრანგულსა,
ისრ იქნევს კალმის წვეროსა,
სადაც სხვას ვერ გაუტანავ,
ის იქ გაიტანს ლელოსა,
ერთნაირად ლეწს მომტერეთ, –
ტანმსუყესა და ხმელოსა...
არას შავტირებ გამჩენსა,
არც რა სხვა გასამჯელოსა –
ერთი დღით, მხოლოდ, ერთი დღით,
ჩემთა მტერთ დაამტეროსა!..

ძვირფასო ხევსურო, – ჩემო ბატონო და მეგობარო!

სიტყვას გაძლევ, თქვენს მტერთ ერთი დღით კი არა, მთელი ცხოვრება დავემტერები და, დედასაც მოვუკლავ!..

ოღონდ ახლა ცოტა უნდა მაცალოთ, „თქვენს ენაზე“ რომ ვთქვა, რეზო მიშველაძე უნდა „დავხანჯლო!..“

* * *

ძმაო თამაზ!

მებრძოლი კაცი ხარ, არ გისურვო კიდეც, გულხელდაკრეფილი არ დადგები, შენსას არ დაიშლი, ღმერთის მადლი და ნებაა.

ერთი რამ შევნიშნე, შენმა ბრძოლამ საბოლოო შედეგად ის მოიტანა, რომ ოპონენტი თითქმის აღარ გყავს, ვერაფერს გიბედავენ. იციან უარესს მიიღებენ. აქედან გამომდინარე, მაინც გისურვებ, ძლიერი და ღირსეული ოპონენტი გამოგჩენოდეს, რომ შენმა ტალანტმა და ბრძოლის უნარმა უმჯობესი ფერებით, წახნაგებით და მხნეობით იფეთქოს!

მე და შენ ბევრნი ნათქვამი აგვხდენია, ნურც ამას გაგვიცუდებს მაღალი ღმერთი!

სიცოცხლე ბრძოლააო, ბრძენს უთქვამს. იცოცხლე და იბრძოლე!

ჭაბუა ამირეჯიბი

ძვირფასო მკითხველო!

ნეტა, ჭკუა მეხმარა და თავიდანვე ეს წერილი დამემოწმებინა, სადაც დიდი ჭაბუა ამირეჯიბი მწერლურ ტალანტსა და საბრძოლო შემართებას უწონებს თქვენს მონა-მორჩილს!

არადა, მეტი კი არაფერი დაუბრალებია ჩემთვის მიშველაძეს – მხოლოდ იმიტომ ამითვალისწუნა: უნიჭო და მშიშარაარ!..

მართალია, არც ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა აკმაყოფილებს, მაგრამ მზადაა ქვეყანა ფეხზე დააყენოს და ჩემი ფსიქიკური აშლილობა, როგორმე, ნორმასთან მიახლოებულ ფარგლებში ჩააყენოს!

სამედიცინო სამსახურს, წინდაწინ საქმის კურსში აყენებს!

„ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ წივწივაძე სერიოზულად არის ავად და, სანამ თავს ინდოეთის მაჰარაჯად ან ნაპოლეონად გამოაცხადებდეს, საქართველოს ფსიქოდიაგნოსტიკურ ცენტრს ვთხოვოთ, დაინტერესდეს ცრუთამაზის ჯანმრთელობით.

ჩვენი ღრმა რწმენით, ეს ყოვლის მკადრებელი კაცი, რომელსაც სირცხვილის და თავმოყვარეობის გრძნობა ადრინდავე ატროფირებული ჰქონდა, ხანგრძლივ სტაციონარულ მკურნალობას საჭიროებს“.

ძვირფასო ექიმებო!

როგორც „ჩემი მეგობრები“ შენიშნავენ, ჯანმრთელობის მხრივ, შეიძლება, ყველაფერი წესრიგში არც ჩემთან იყოს, მაგრამ ამაში რომ დავრწმუნდეთ, ამას გამოკვლევა და დადგენა ხომ მაინც ჭირდება?

ამათ კიდევ, გამოსარკვევიც არაფერი აქვთ – პირდაპირ გიჟის პერანგი უნდა გადააცვათ თავზე და, ჰაიდა, ასათიანზე უნდა გააქანოთ!..

თუკი, რასაკვირველია, საგიჟე ახლაც იქ არსებობს!..

* * *

ძვირფასო მკითხველო!

მე აქ ვამთავრებ და შემდეგი ჩემი სამუშაო თემა იქნება:

ა) ბაღათერ არაბული, როგორც ასეთი!..

ბ) მაყვალა გონაშვილი, როგორც ისეთი!..

რაც შეეხება რეზო მიშველაძის თემას, ის აქაც გაგრძელდება და, საერთოდ, „ლიტერატურული საქართველოს“ კვლევის საგანი იქნება აწ და მარადის, უკუნითი უკუნისადმე!

იმიტომ, რომ ეს არსება ადამიანად არ მიაჩნია გამოჩენილ კრიტიკოსს, ოტია პაჭკორიას – მისი აზრით, მიშველაძე გარაჟის იატაკზე დაქცეული ტექნიკური ზეთია, რომელიც დახურული კარის ყველა ღრიჭოში შეაღწევს!..

საქვეყნოდ სახელგანთქმულ მწერალს, ნოდარ დუმბაძეს კი მიშველაძე ადამიანის მსგავს მაიმუნად მიაჩნია, რომელმაც ხალხში გარევა თუ მოასწრო, მერე ეშმაკიც ვეღარ ამოიცნობს!..

ცნობილ მწერალს ჯემალ დავლიანიძეს უკვე ორი წიგნი აქვს დაწერილი საერთო სათაურით: „როგორი არ უნდა იყოს ადამიანი“, რომელთა ბეჭდვასაც „ლიტერატურული საქართველო“ შემდეგი ნომრიდან დაიწყებს“.

ამ ყველაფრის გამოქვეყნებას კი ვიწყებთ ნიჭიერი პუბლიცისტის, დავით მხეიძის მცირე ჩანახატით (დიდი ჩანახატი კი სახლში აქვს!). სადაც ავტორი მიშველაძის მშობლებით არის დაინტერესებული და ასეთ მნიშვნელოვან დასკვნამდე მიდის, რომ, რაკი ამ „ცოცხალ კლასიკოსს“ ოჯახში აღზრდისა არაფერი ეტყობა, ფიქრობს, რომ დედა საერთოდ არ ჰყოლია და იგი ამქვეყნად „უმანკო ჩასახვის“ შედეგად არის მოვლენილი!..

რაც შეეხება მამას, ავქსენტის, ეს კაცი ცნობილ საერთაშორისო აფერისტსა და შარლატანს, ოსტაპ ბენდერსაც კი აღემატებოდა თავისი ფანტასტიკური „გამოგონებებით“! – ამან, თავის დროზე, საბჭოთა კაგებეც კი განაცვიფრა და გააცურა!..

ერთი სიტყვით, ვინც მიშველაძის თემით ხართ დაინტერესებული, შეიძინეთ, და გამოიწერეთ „ლიტერატურული საქართველო“, გარწმუნებთ, კარგა ხანს არ მოიწყენთ!..

* * *

შეიძლება, მითხრან, მიშველაძე ვიღას ახსოვდა! თამაზ, ან შენ, ან შენს გაზეთს მისი გაცოცხლება რაში დაგჭირდათო!

ამ კითხვაზე ჩემი პასუხი, ასეთია: ვაცოცხლებ იმიტომ, უფრო ღრმად რომ დავმარხო!..

აბა, ძვირფასო მკითხველო, კაცი რომ ამას დაგიწერს, იმას როგორ უნდა მოექცე?–

„წივწივაძე სერიოზულად არის ავად და, სანამ თავსი ინდოეთის მაჰარაჯად ან ნაპოლეონად გამოაცხადებდეს, საქართველოს ფსიქოდიაგნოსტიკურ ცენტრს ვთხოვოთ, დაინტერესდეს ცრუთამაზის ჯანმრთელობით.

ჩვენი ღრმა რწმენით, ეს ყოვლის მკადრებელი კაცი, რომელსაც სირცხვილის და თავმოყვარეობის გრძნობა ადრინდავე ატროფირებული ჰქონდა, ხანგრძლივ სტაციონალურ მკურნალობას საჭიროებს“.

კიდევ ერთხელ შეგაწუხებ მკითხველო!

რაკი რეზოია სულელმა, ეს „ცნობა“ თავის ხელით მომცა, აწი, რაც არ უნდა ღრმად დავმარხო იგი – მე, როგორც ამიერიდან შეურაცხადს, პასუხისგებაში ვერავინ მიმცემს!...

ოი, რა კარგია!

მიხეილ სააკაშვილო! სანამ დროა, შენც აიღე ასეთი ცნობა – მე შენ გეტყვი, არ გერგება და, ვინმე დაგიკავებს!..

მე და შენ, კარგა ხანია, ერთმანეთს ვაგიჟებთ და ახლა, დასვენება, ორივეს გვერგება!

ოღონდ, შენი ძმაკაცი რეზო მიშველაძე არ წამოიყვანო, ის ორივე ჩვენგანზე ბოთეა და დასვენებას არ გვაცლის!..

რევაზ მიშველაძე - „დიდი ხნის წინათ და დიდი ხნის შემდეგ“...

დავით მხეიძე

„ბიკი ყუფარიას შვილი ვარ მე! ანუ „კვიცი გვარზე ხტის“...

დიდი ჭაბუას რომანის იმ პერსონაჟის არ იყოს, დათა რომ თავის ბარგიანად ჩამოაგდებს „ტაჩკიდან“, რევაზ მიშველაძეც ამაყობს, ალბათ, მამამისის შვილობით. „მწერალიც და კლასიკოსიც“ ბატონი ავქსენტი ყოფილა, თუ ყოფილა, თორემ ავქსენტიჩის „კლასიკოსობა“, თანაც „ცოცხალი“, აბა რა სახსენებელია!

ეს ამბავი ორმა პიროვნებამ მიამბო სხვადასხვა დროს ქუთაისში, – ჩემი თაობის ხალხს ემახსოვრება, რომ იყო ასეთი გაზეთი – „თბილისი“, რომლის ბოლო გვერდი მიცვალებულების შესახებ განცხადებებს ეკავა. ჰოდა, ბატონი ავქსენტი თურმე არჩევდა მიცვალებულთა შორის „შესაფერ კანდიდატებს“ და მათ ჭირისუფლებს ორმოცის გასვლის შემდეგ დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილებს უგზავნიდა ხოლმე: „ვწუხვარ, რომ გვიან გავიგე მავანის გარდაცვალება, ძალიან მიყვარდა და პატივს ვცემდი. აბა, ეგ რა სალაპარაკოა და განსვენებულს ჩემი მცირე ვალი გაჰყვა იმ ქვეყნადო“, და იქვე უთითებდა მცირე ვალის რაოდენობას – 70, 85, და ა. შ. ანუ „კოჭლ“ თანხებს, რათა ვინმეს ეჭვი არ გასჩენოდა.

ჰოდა, დაიძრა თურმე „პერევოდების“ მდინარეები ქუთაისში ერთ მისამართზე. დღე ერთი იყო და მრავალი ქვითარი მიდიოდა ავქსენტის სახელზე. ანუ, ჭირისუფალს ეჭვი არ აუღია და რომც აეღო, რომელი ჭირისუფალი იკადრებდა რაღაც კაპიკების გამო სინამდვილის ჩხრეკას?

სამაგიეროდ ეჭვი კგბ-ში შეუტანიათ და მიაკითხეს ბატონ ავქსენტის, რომელმაც იცით, რა უპასუხა თურმე? დამიმტკიცეთ, რომ ჩემი ვალი არ ჰქონიათ იმ მიცვალებულებს. თუ არ გჯერათ, წადით და ჰკითხეთო!!!

აბა, „იქ“ ვინ წავიდოდა და კგბ-მაც ხელი ჩაიქნია – მამაძაღლობის მეტი რა გვინახავს, მაგრამ ასეთი არაფერიო, და ასე შერჩა თურმე ბატონ ავქსენტის საიქიოდან გამოგზავნილი ათასობით მანეთი.

გაზ. „ტრიბუნა“, №4, 24-31 იანვარი, 2011 წ.

ქართულ მწერლობაში რ. მიშველაძე თავიდანვე სკანდალურად, ინტრიგებითა და ნაირ-ნაირი ხვანჯებით შემოვიდა. აშკარა თუ ფარული ხრიკებით ცდილობდა ყურადღება მიეპყრო, თვალსაჩინო ფიგურად ქცეულიყო და საამისოდ არანაირ ხერხს არ თაკილობდა, სადაც მაბეზღრობა და მლიქვნელობა არ გასჭრიდა, იქ აშკარა შანტაჟს მიმართავდა.

არაერთი ღირსეული ქართველი მწერალი შეურაცხყო მან და მისი უზნეო, საძრახისი საქციელი კიდევაც აირეკლა ზოგიერთი მათგანის შემოქმედებაში. ბევრისთვის ცნობილია, რომ ნოდარ დუმბაძის გახმაურებულ რომანში „მარადისობის კანონში“ გამოყვანილი აბეზარი და მაიმუნად სახელდებული ამაზრზენი არსება მიშველაძეა, რომლის უწმინდური კარიერა იმ რომანის გამოქვეყნების შემდეგ ახალ-ახალი სიმაღლეებისა და ტიტულების დაპყრობისაკენ წარიმართა.

უპატიებელი შეურაცხყოფა მიაყენა მან გამოჩენილ მწერალს ოტია პაჭკორიას (ეს ინციდენტი საეჭვოდ ჩაიფარცხა) და ეს ნაწილობრივ ასახულია მწერლის დღიურებსა და ჩანაწერებში, საიდანაც ერთ ადგილს ვაქვეყნებთ.

„ლიტერატურული საქართველოს“ დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული მასალები მცირე ნაწილს ასახავს იმ უმსგავსოებათაგან, რაც რევაზ მიშველაძეს თავისი საძრახისი ცხოვრების მანძილზე ჩაუდენია.

ოტია პაჭკორია

ნაწყვეტი წიგნიდან „უბის წიგნაკი“

ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს ისეთი პროდუქტი ეპოქისა, ისეთი თავმოყრა ავი და მდაბალი თვისებისა ერთ კაცში, ისეთი ფიზიკურად და სულიერად სლიპი, ლორწოვანი არსება, როგორიცაა მ.-ე.

იგი ისე შემოდის ლიტერატურაში, ისე იკავებს ადგილსა და სივრცეს, როგორც იატაკზე დაღვრილი ზეთი მიჟონავს მოხურული კარის ჭრილებში. წარმოუდგენელია მასთან ბრძოლა გაუსვრელად, შენ თვით გახდები ჭუჭყიანი და მორალურად შებღალული.

მე წავიკითხე მისი წიგნი, გამაოცა ემოციურმა სიჩლუნგემ და საერთოდ, ყოველგვარმა უვიცობამ.

მე არასოდეს არავისთვის არ მისურვებია ცუდი. მაგრამ მე არ ვიცი ძალა, რომელიც ამ კაცს თავის ბნელ გზაზე შეაჩერებს. მასში უაღრესად ბევრია რაღაც ამგვარი, თუ შეიძლება ითქვას, იმპოტენტის გაბოროტებისა და ნორმალური მამაკაცების წინააღმდეგ.

რა ჩინებული მასალა იკარგება იეზუიტთა ორდენისათვის, მას ხელთ სულ სხვა რაღაც უნდა ეპყრას... ვაი ქართულ სიტყვასა და აზრს, იგი ყოველ მცირე მონაკვეთზე შობს თითო ჯოჯოსა და მაჯლაჯუნას, რომელიც ადამიანების სულს სახადივით თრგუნავს.

ნოდარ დუმბაძე

ნაწყვეტი რომანიდან „მარადისობის კანონი“

ერთ დღეს ჩემმა მდივანმა შემოაღო კაბინეტის კარი და მითხრა:

– ბატონო ბაჩანა, ვიღაც მაიმუნია მოსული და თქვენი ნახვა უნდა.

– შემოვიდეს! – ვუთხარი. კაბინეტში პატარა, ცალტვინა მაიმუნი შემოვიდა.

მლიქვნელისათვის და გაიძვერასთვის დამახასიათებელი ოფლით გაჟღენთილი ცივი ხელი ჩამომართვა, მაგიდაზე ქაღალდები დამიწყო. ოთახის კუთხეში მიიყუჟა და მოლოდინით სავსე თვალები მომაპყრო. ქაღალდებს თვალი გადავავლე, ქარაგმული ნაკვესები აღმოჩნდა. მაიმუნის პირობაზე არა უშავდა.

– ვინ იცის, დარვინის მოძღვრების თანახმად, ამ მაიმუნისაგანაც გამოვიდეს კაცი-მეთქი, გავიფიქრე და დავუბეჭდე რამდენიმე ნაკვესი. ერთი მათგანი ასეთი იყო: – კაცს მართლა სიცხე უნდა ჰქონდეს, ჩვენს აფთიაქში თერმომეტრი რომ მოიკითხოსო.

– რას ერჩი! – წამოიძახა მამა იორამმა, გულიანად გაიცინა და ბაჩანასაკენ გადმობრუნდა.

– მეც ასე ვიფიქრე, ხელმეორედ რომ მოვიდა ის მაიმუნი რედაქციაში, ვერც ერთმა ველარ ვიცანით, – განაგრძო ბაჩანამ, – ზუსტად ისე ეცვა, როგორც ადამიანებს. მე თუ მკითხავთ, ცოტა უკეთესადაც. მოვიდა და ისევ ნაკვესები მომიტანა. წავიკითხე თუ არა, იმ წუთში ვიცანი სტილზე მაიმუნი.

– კაცო, შენ ის მაიმუნი არა ხარ, ამას წინათ, რომ იყავი ჩემთან და ნაკვესები რომ დაგიბეჭდე? –ვკითხე.

– კი ბატონო, ის მაიმუნი ვარ, მაგრამ ძალიან მინდა ადამიანობა და გამიმართეთ ხელიო, – მთხოვა.

– ცოტა მოითმინე, იშრომე, ხომ იცი, შრომამ რომ შექმნა ადამიანი? – ვურჩიე მაიმუნს.

– ვიცი, ბატონო, ეგ ყველაფერი უკვე წაკითხული მაქვს, მაგრამ მე ისეთი მაიმუნი ვარ, მოთმინება არ მაქვს, მით უმეტეს, ადამიანების უმრავლესობას უკვე კაცი ვგონივარ, – მიპასუხა მაიმუნმა.

– კარგი დაგიბეჭდავ, მაგრამ ეგ რას გიშველის, მაინც მაიმუნად დარჩები მეთქი, – ვუპასუხე და ისევ დავუბეჭდე ნაკვესები, რომ მიდიოდა მთხოვა:

– ნუ გამამხელთ ხალხში, ბატონო, მაიმუნი რომ ვარო, – არ გავამხილე, ჩემი კეთილი ბუნების გამო, თან ვიცოდი, რომ მშვენივრად ბაძავდა ხალხს ლაპარაკში. წავიდეს, ვიფიქრე, იმაიმუნოს თავისთვის, ისეთს რას დაუშავებს-მეთქი. წავიდა და გავიდა ხალხში მაიმუნი.

– ნუთუ თქვენს გარდა ვერავინ შეამჩნია, ბატონო ბაჩანა, იმ კაცს მაიმუნობა, – ჰკითხა სმენადაქცეულმა მღვდელმა.

– გამაიმუნებული ადამიანის ცნობა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე კაცადაქცეული მაიმუნისა, მამაო იორამ, ამას წინათ, ზოოპარკიდან სამი მაიმუნი გაქცევიათ. მილიციის უფროსს სასწრაფოდ მოუწვევია ოპერატიული ჯგუფი და სხდომა ჩაუტარებია, თუ როგორ შეეპყროთ გაქცეული მაიმუნები, ცოტა სიტყვა გაგრძელებია, მაშინ ერთ-ერთი მილიციელი ამდგარა და უფროსისთვის უთქვამს:

– ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ცოტა სიტყვა შეამოკლე, თორემ ის მაიმუნები ხალხში გაერევა და მერე ჩემს ფეხებს ვიპოვითო!

– მერე რა მოხდა? – დაინტერესდა მამა იორამი.

– ორი მაიმუნი უცებ დაუჭერიათ და ერთს მგონი ეხლაც დაეძებენ, – უპასუხა ბაჩანამ. – ჰოდა, იმას გიყვებოდით. გავიდა ხალხში ეს ჩემი მაიმუნი. რამდენიმე წლის შემდეგ ისევ მოვიდა ჩემთან. ამჯერად მოთხრობები მომიტანა, წავიკითხე და გულზე შემომეყარა.

– ეს რა გიქნია, საბრალო მაიმუნო, ასეთი მაიმუნობა მაიმუნსაც არ ეკადრება-მეთქი, ვუთხარი.

– რატომ, ბატონო, მე, როგორც კრიტიკოსს, ძალიან მომწონს ჩემი მოთხრობებიო, – მიპასუხა წყენით.

– როგორ, შენ უკვე კრიტიკოსიცა ხარ? – ვკითხე განცვიფრებულმა.

– კრიტიკოსიც ვარ, ხარისხიც დავიცავი და ლექციებსაც ვკითხულობ ტელევიზიაში, რადიოში, საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით და ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელშიო, – მითხრა ნიშნის მოგებით.

შემეცოდა მაიმუნის სტუდენტები, მაგრამ რა მექნა? არც კათედრის გამგე ვიყავი, არც რექტორი, რომ ქმაღლესი სასწავლებლიდან გამეგდო. კაცმა რომ თქვას, მაგის მორალური უფლებაც არ მქონდა, სხვა რომ არაფერი, ეს მაიმუნი ხომ ჩემი გამოყვანილი იყო ხალხში

– ის მაინც გეთქვათ ხალხისთვის, რომ მაიმუნია, – გააწყვეტინა სიტყვა მღვდელმა.

– ვთქვი, მამაო, მაგრამ უკვე გვიანი იყო, შენ თვითონ ხარ მაიმუნიო. – ასე მიპასუხეს.

– ახია თქვენზე! – გულზე მჯიღი დაირტყა მღვდელმა.

– ვიცი, – უპასუხა ბაჩანამ.

– მერე რა ჰქენით? – აწრიალდა ლოგინში მამა იორამი.

რაც შემეძლო, ის ვქენი, უკან გავატანე მოთხრობები...

– მერე რაო?

– მწერალთა კავშირის წევრი რომ ვიყო, მაშინ ხომ დამიბეჭდავდი ამ მოთხრობებს, მაგრამ მალე გავხდები მწერალთა კავშირის წევრი და დედას გიტირებო! – დამემუქრა, – შენისთანა მაიმუნს მწერალთა კავშირში რა უნდა-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ თავი შევიკავე...

– რატომ? – ხმას აუწია მამა იორამმა.

– იმიტომ, ბატონო იორამ, რომ ადრე მაგაზე დიდი მაიმუნებისათვის მქონდა ხმა მიცემული და რეკომენდაციაც ათასგზის... – თქვა ბაჩანამ და დადუმდა.

– მერე აღარსად შეგხვედრიათ? – ჰკითხა მამა იორამმა.

– როგორ არა, მწერალთა კავშირის წევრიც გახდა, დამიმეგობრდა კიდეც. სადღეგრძელოში სულ მამას მეძახდა. რამდენიმე წლის წინ, დეპუტატად რომ უნდოდათ ჩემი კანდიდატურის წამოყენება, რაიკომის მდივანთან მივიდა თურმე, სპეციალურად მადლობის სათქმელად...

– არ გადამრიო, ბატონო ბაჩანა!

–კი, ასე უთხრა თურმე, – ბატონო ნიკოლოზ, მთელი საქართველო მწერლების, მკითხველი საზოგადოების და მისი რედაქციისა და მეგობრების სახელით მადლობა მინდა, მოგახსენოთ, ამხანაგ ბაჩანა რამიშვილის კანდიდატურის წამოყენებისათვის. მხოლოდ თქვენისთანა პრინციპულ, გაბედულ და კეთილშობილ კომუნისტს შეუძლია, ყურადღება არ მიაქციოს ბაჩანა რამიშვილის წარსულს და მხოლოდ მისი ადამიანობის მიხედვით იმსჯელოს მის პიროვნებაზეო...

– რა წარსულსო? – უკითხავს ცოტა არ იყოს გაკვირვებულ რაიკომის მდივანს.

– ისეთს არაფერს, ბატონო ნიკოლოზ, თუნდაც ისეთ უბრალო ფაქტს რომ არ იღებთ მხედველობაში, მშობლები რომ ჰყავს რეპრესირებული, თვითონაც რომ იყო ახალგაზრდობაში დაპატიმრებული, მართალია გაუგებრობის ნიადაგზე, მაგრამ ხომ იცით, ანკეტა მაინც ანკეტაა და... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამას წინათ მის გაზეთში ბოლშევიკების ნაცვლად მენშევიკები რომ ეწერა... კაცობა სწორედ იმაშია, ყველაფერ ამაზე თვალს რომ დახუჭავ და მაინც ამხელა ნდობას გამოუცხადებთ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა და არცთუ ისე დამსახურებულ კაცს. მხოლოდ თქვენისთანა ხელმძღვანელს შეუძლია, ასეთი რისკი გასწიოს, ამიტომ სიტყვებიც კი არ მყოფნის მადლობის სათქმელად. გმადლობთ, ბატონო ნიკოლოზ, კიდევ ერთხელ გმადლობთ! – ბაჩანამ ამბავი დაამთავრა.

– სად არის ახლა ის მაიმუნი? – ძლივს მოაბრუნა ენა გამშრალ პირში მამა იორამმა.

– არ ვიცი, გამორიცხული არ არის, რომ ხვალ ჩემს სანახავადაც მოვიდეს, – გაეცინა ბაჩანას.

– ბატონო ბაჩანა! – თქვა დიდი დუმილის შემდეგ მამა იორამმა, – ქართლის ცხოვრებაში ჩვენთვის ერთი ფრიად არასასიამოვნო ამბავი წერია, თუ გახსოვთ, დავით აღმაშენებლის მეისტორიე წერს:

– ...ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არის, პირველითგანვე თვისთა უფალთა, რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუვნება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა...

ბაჩანას ახსოვდა დავითის ისტორიკოსის ეს სიტყვები და არაფერი უპასუხა მამა იორამს, სედუქსენი დალია და კედლისკენ გადაბრუნდა.

ქართველ მწერალთა დაპირისპირება, რომელიც 2004 წელს მწერალთა კავშირის ყრილობიდან დაიწყო, დღემდე არ განელებულა. მწერალთა ერთი ჯგუფი მეორეს სხვადასხვა დანაშაულში ამხელს და ერთმანეთს არც ლანძღვა-გინებას აკლებენ. „მწერალთა გაზეთში“ (№5, 1-31 ივლისი, 2013 წ.) გამოქვეყნდა რამდენიმე წერილი, რომლებშიც მწერალთა ეროვნული აკადემიის წევრები, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტულად არიან მოხსენიებული. დაპირისპირების მიზეზებზე ქართველი მწერლები გვესაუბრებიან.

ვახტანგ ხარჩილავა: ჯღაბნა რა მწერლის საკადრისი საქციელია?

ვახტანგ ხარჩილავა, პოეტი და პუბლიცისტი, „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი: – ქართველი საზოგადოებისთვის ეს ისტორია დიდი ხნის წინ გახდა ცნობილი. 2004 წელს მწერალთა კავშირის ყრილობაზე მოხდა წარმოუდგენელი რამ – ძალაუფლება მიიტაცა ადამიანთა რამდენიმეკაციანმა ჯგუფმა, ყოველგვარი კანონიერების დაცვის გარეშე.

– ვის გულისხმობთ ამ რამდენიმეკაციან ჯგუფში?

– 2004 წელს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ თავდაპირველად რეზო ჭეიშვილი აირჩიეს, მაყვალა გონაშვილი მოადგილედ იყრიდა კენჭს. ყველასთვის მოულოდნელად მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გონაშვილი გახდა. შემდეგ მოადგილეებად და სხვადასხვა თანამდებობაზე აირჩიეს თავიანთი წარმომადგენლები. ერთ-ერთი მოადგილე იყო რეზო მიშველაძე. არჩევნები ჩატარდა არაკანონიერად და ეს იყო წარმოუდგენლად თავხედური აქცია მწერლობის წინააღმდეგ, რამაც შემდგომში მწერალთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მწერალთა კავშირის ახალ ხელმძღვანელობას ვერაფერი მოვუხერხეთ, რადგან მათ ზურგს უმაგრებდა წინა ხელისუფლება. ისინი შესანიშნავად „კოჰაბიტირებდნენ“ ერთმანეთთან და ჩვენ უძლურნი აღმოვჩნდით მათ წინააღმდეგ. მწერალთა კავშირში შექმნილი სიტუაციით უკმაყოფილო ადამიანებმა სხვა მიზანი დაისახეს და ასე გაჩნდა ეროვნული აკადემიის ჩამოყალიბების იდეა... მწერალთა კავშირის ზემოხსენებული ჯგუფის წარმომადგენლებს ძალიან დიდი ფინანსური დარღვევები აქვთ.

– კონკრეტულად, რა ფინანსური დარღვევებია?

– გამომცემლობა „მერანში“ გაიყიდა მწერალთა კავშირის წილი, ამის გამო მოხდა შიდა განხეთქილება და ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მაყვალა გონაშვილის და ვაჟა ოთარაშვილის ჯგუფები. შეიქმნა კომისია, რომელმაც გამოავლინა სერიოზული ფინანსური დანაშაული, მაგრამ ეს საქმე ბოლომდე არ მიუყვანიათ. როცა ვაჟა ოთარაშვილს უთხრეს, სასამართლოში გიჩივლებთო, მან განაცხადა, თუ არ გაჩერდებით, ჩივილს მე გაჩვენებთო, ანუ ორივე მხარე ტყუოდა. იმდენად სერიოზული ფაქტებია, რომ ამას სერიოზული შესწავლა სჭირდება.

– ვის დარჩა „მერანი“ საბოლოოდ?

– ვინ იყიდა, არ ვიცი, მაგრამ მწერალთა კავშირს მილიონამდე დოლარი ერგო. ამ თანხის ნაწილით, დაახლოებით 400 ათასი დოლარით, სტამბისთვის შეიძინეს სამსართულიანი სასახლე თბილისში, მხატვრის ქუჩაზე, დანარჩენი თანხა რას ან ვის მოხმარდა, არავინ იცის. ასე რომ, მიხეილ ჩაჩუას უნიჭო პასკვილები არ უშველის ამ საქმეს და რადგანაც თვითონ არ ისვენებს, ალბათ, კომპეტენტური ადამიანები უნდა ჩაერიონ. იმის ნაცვლად, რომ აღიარონ შეცდომები და გამოასწორონ, უტიფრად იქცევიან. მათი საგაზეთო პუბლიკაციებით დანაშაული მიიჩქმალება? რა საერთო აქვს მწერლობასთან თავით ფეხებამდე უნიჭო, ხელმოცარულ კაცს მიხეილ ჩაჩუას? სირცხვილია, ეროვნულობას რომ ებღაუჭებიან და მწერლებსა და მწერლობაზე ალაპარაკებენ ვიღაცები!

– ვინ ალაპარაკებს და ვინ დგას მის უკან?

– სადაც ეს პასკვილი დაიბეჭდა, ის ხალხი დგას მის უკან. მეტი დამრტყმელი ძალა თუ არ ჰყავთ, ვაი, მათ პატრონს უბედურს. მე შევარდნაძისტი არასდროს ვყოფილვარ, ჩაჩუას თავი ზვიადისტად მოაქვს, მაგრამ ზვიადისტი კი არა, პატარა გრამოფონია. კი ბატონო, ვიღაც რომ შეგიკვეთავს წერილს და დაწერ, გასაგებია, მაგრამ ეს არ არის ავტორიტეტული სიტყვა, რომელიც ეროვნული აკადემიის დაარსების საპირწონედ გამოდგება! ამაში ჩანს მათი პირვანდელი სახე. ეს რამდენიმეკაციანი ჯგუფი მთელი ამ ცხრა წლის განმავლობაში ხელს ითბობდა ამ გაუბედურებული მწერლობის ხარჯზე, მათ კი საზღვარგარეთ მოგზაურობები არ დაუკლიათ. საქმე იქამდეც კი მივიდა, კომისიებს ქმნიდნენ და ჰონორარებს ერთმანეთში ინაწილებდნენ, პრემიებსაც კი ინიშნავდნენ. ჩვენი ბრალია, დღეს ისინი ხმის ამოღებას რომ ბედავენ! მე გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ ამას ჩვენ აუცილებლად გამოვასწორებთ და საზოგადოებას მათ ნამდვილ სახეს დავანახვებთ. რასაც სააკაშვილის იმედით აკეთებდნენ, დღეს ის აღარ გაუვათ და მათ უტიფრობას ფარდა აეხდება. ორმოცდათხუთმეტი ჩაჩუაც რომ დაიქირაონ, აღარაფერი უშველით. გაზეთს, სადაც ეს ყველაფერი დაიბეჭდა, „მწერლის გაზეთი“ კი ჰქვია, მაგრამ მწერლის გაზეთობისა არაფერი ეტყობა, თუმცა, იშვიათად ვკითხულობ. გაზეთის სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, რეზო მიშველაძე, ასაკით უფროსი კაცია და კარგად ვიცი მისი ბიოგრაფია. მაკვირვებს ხოლმე მისი ახირებული ხასიათი. შეიძლება, დაიცვა საკუთარი ინტერესები, მაგრამ რაღაც ღირებულებებიც ხომ არსებობს? რეზო მიშველაძის ლანძღვას მხოლოდ იმიტომ არ ვიკადრებ, რომ მწერლად მიმაჩნია, მაგრამ მან ხომ ყველზე კარგად იცის, რაც იქ ხდება? მთელმა საქართველომ იცის ყველაფერი და რატომ ჰგონიათ, რომ ვინმეს თვალებს აუხვევენ? მე სოსო სიგუასაც ვუთხარი, მოვიწვიოთ რიგგარეშე ყრილობა და ყველაფერი გავარკვიოთ-მეთქი. რაში მჭირდება ჩაჩუას პასკვილი. რაში მჭირდება იაფფასიანი, სსრკ-ს დროინდელი წერილების წერა? ეს ჯღაბნა რა მწერლის საკადრისი საქციელია?

– და მაინც, რას ფიქრობთ, რატომ დაიწყო ეს დაპირისპირება?

– საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის ჩამოყალიბებას მოჰყვა მათი ეს გამოხტომები. ამ აკადემიაში ძალიან ბევრი მწერალი და აკადემიკოსია. იმ ჯგუფს მწერალი და პოეტი მხოლოდ ჩაჩუა ჰგონია და ჩვენ – არა. მათ იქ ბევრი ჩაჩუა ჰყავთ.

კობა არაბული: მონღოლებს არ აუოხრებიათ საქართველო ისე, როგორც მიშველაძემ და მისმა კლანმა ააოხრა მწერალთა კავშირი!

პოეტი კობა არაბული ერთ-ერთი გმირი აღმოჩნდა „მწერალთა გაზეთში“ გამოქვეყნებული სტატიისა „ვაი, თქვენს პატრონს!“. რას პასუხობს პოეტი სტატიის ავტორ მიხეილ ჩაჩუას და ამავე გაზეთის სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარეს, მწერალ რევაზ მიშველაძეს?

– მიხეილ ჩაჩუა არაფერ შუაშია. 90 წლის კაცია და თვითონაც არ იცის, რა უნდა... ამ ყველაფრის თავი და თავი რეზო მიშველაძეა, რომელმაც ეშმაკების ლაშქარი შემოიკრიბა და რაღაც სისულელეებს აწერინებს. დაეპატრონნენ მწერალთა კავშირს და აღარ იციან, რა ქნან. არადა, მონღოლებს არ აუოხრებიათ საქართველო ისე, როგორც მიშველაძემ და მისმა კლანმა ააოხრა მწერალთა კავშირი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამ შენობაში ერთი ნივთიც არ დატოვეს თავის ადგილზე, ყველაფერი შინ და სადღაც წაიღეს და გაყიდეს თუ რა უქნეს?!. მიშველაძე–ოთარაშვილი, მაყვალა გონაშვილი და სხვები ქონებას რომ ვერ იყოფდნენ, ვირთხებივით დაერივნენ ერთმანეთს. ეს ჩვენ ყველამ ვიხილეთ ტელეეკრანით... მაგათ ხელში მწერალთა კავშირს აღარაფერი შერჩა, მიწის ნაკვეთებიც კი მიითვისეს ბათუმსა და სხვა ქალაქებში. ტურებივით არიან, ჯერ ერთმანეთს დაერივნენ, ახლა ისევ შეხროვდნენ და მწერალთა ეროვნულ აკადემიას დაეტაკნენ. მანამდე მწერალთა კავშირის ქონება არც ერთ მწერალს არ გაუყიდია და ამით არ უვაჭრია. ეს განა არ იციან ჩაჩუამ და სხვებმა? ეს ყველაფერი რომ ვიცით და თან ნაცმოძრაობის სატანურ რეჟიმს რომ ვებრძვით, ამიტომაც დაგვიპირისპირდნენ. ამ ბრძოლის გამო ვახტანგ ხარჩილავას უდანაშაულო შვილი დაუპატიმრეს. ჩემს ოჯახში გამუდმებით შედიოდა მუქარის ზარები. რის გამო? – მამულისთვის რომ ვიბრძოდით, ამიტომ?! ამ დროს კი ჩაჩუები და მიშველაძეები კოჰაბიტაციის რეჟიმში იყვნენ სისხლისმსმელ ნაცებთან. სხვათა შორის, ჩაჩუა სახლში ხშირად მირეკავდა, ბაღათერ არაბულში ვეშლებოდი და ამიტომ, ერთი-ორჯერ მეც გავუბი საუბარი და რადგან ბაღათერი ვეგონე, მწერალთა აკადემიას აგინებდა... ბაღათერიც, სამწუხაროდ, ჩარჩება მაგ ნაცრის ქექვაში და წინ და უკან წაჯექ-წამოჯექობაში. მიშველაძე ხომ, საერთოდ, უტიფრობის მწვერვალზე შემოჯდა! კაცი საქართველოს ისტორიას რომ დაუწყებს ჩიჩქნას და დიდგორის ომის ფაქტებს ეჭვქვეშ დააყენებს, წმინდანთა გადათვლას რომ შეუდგება და ვერ დათვლის, ხომ არის სატანური „ხელობა“. ყველაზე სასაცილო ის იყო, ერთი წლის წინ რომ მიშველაძე რადიო „ამერიკის ხმაში“ ჰყავდათ მიწვეული და სააკაშვილს დითირამბებს უმღეროდა. ეგონა, სააკაშვილის გარდა, ვერავინ მოისმენდა.

– მაინც, რა უნდათ თქვენგან?

– ახალი თაობის მწერლები ასაბუთებენ, რომ მაყვალა გონაშვილი, მიშველაძე და მთელი მისი კლანი მერიისგან, კერძოდ, მამუკა ქაცარავასგან დიდ პრემიებს იღებდნენ, ვითომ ახალგაზრდა მწერლებისთვის. რეალურად მათ 200-200 ლარს ურიგებდნენ, დანარჩენს კი თვითონ იდებდნენ ჯიბეში. ამ ყველაფრის დოკუმენტაცია არსებობს და ამიტომ მაქსიმალურად ცდილობენ, სკამებს ბოლომდე მიეწებონ. გარდა ამისა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობის ვადა კანონით 3 წელს შეადგენს, მათ კი სხვადასხვა ხრიკით 5 წლამდე გაუზრდიათ. წესით, სამი წელი ამოწურათ, მაგრამ ახალი თავმჯდომარის ასარჩევად ყრილობას არ იწვევენ, იციან, რომ კინწისკვრით გაყრიან მწერალთა კავშირიდან. ნაცებივით იქცევიან, ეტყობა, ბოლომდე ვერ მოასწრეს მწერალთა კავშირის გაძარცვა – კიდევ დარჩა ერთი სახლი და ორი ბატი.

– თქვენ რას გერჩით რევაზ მიშველაძე?

– არ ვიცი... მიშველაძე ხომ სკამიდან გადმოვარდნის და გულყრების იმიტაციის დიდოსტატია?! ამას წინათ ერთ-ერთ ჟურნალში წერდა სწორედ იმ პერიოდზე, როდესაც პარლამენტში სკამიდან თითქოს გულწასული გადმოვარდა. იმხანად იმიტომ გავხდი ავად, რომ მწერალთა კავშირიდან კობა არაბულმა, ალეკო გაბელაიამ და ჯემალ დავლიანიძემ გამრიცხესო. საიდან მოიტანა ამ ადამიანმა მსგავსი რამ, არ ვიცი. ასეთი რამეები ეხერხება. არ მოსწონთ ერის სულიერი და ზნეობრივი დაცვის ცენტრის დაარსება მწერალთა ეროვნული აკადემიის სახით – ბაყაყებს ჭაობში ჯდომა ურჩევნიათ. ამიტომაც ავარდა და ჩვენს წინააღმდეგ სხვებსაც აქეზებს. უზნეო ავანტიურისტი ადამიანის თვისებაა ის, რაც მიშველაძის გაზეთში ჩაჩუას ხელით გაკეთდა. რა მჭირს მე ან აკადემიის რომელიმე დამფუძნებელს, მართლაც ზნეობრივი ნიშნით შეკრებილ მწერლობას, ჩაჩუას ან მიშველაძის საგინებელი? არადა, თავის დროზე ჩემი წერილები რომ ქვეყნდებოდა, ჩაჩუა (და ზოგიერთი ჩაჩუასნაირი) მირეკავდა და აღფრთოვანებული მეუნებოდა მადლობას. იმას კი ვერ ხვდებიან, რომ დღეს მათი „ამაოების ბაზარი“ დასრულებულია. საკუთარი ნებით ჩაწვნენ ტალახში. მაყვალა გონაშვილისთვის ბევრჯერ მითქვამს, გამოდი მაგ ქაოსიდან, თორემ შენც ამოგსვრიან-მეთქი, მაინც ქალია და მისდამი აგრესია არ მქონდა, მაგრამ არ დამიჯერა და მათთან ერთად ჩაეფლო...

პროკურატურა აუცილებლად დაინტერესდება, როდის და როგორ გადააკეთეს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობის 3-წლიანი ვადა 5 წლამდე და ბევრი სხვა რამით... მიშველაძეებმა და მისმა ტურებმა კი გონიერებას მოუხმონ, ამ სისულელეების წერას თავი დაანებონ და აღიარონ, რომ მწერალთა კავშირის ქონება გაყიდეს და გაინაწილეს ზუსტად იმ დროს, როდესაც დამსახურებული მწერლები სანაგვე ყუთებთან იხოცებოდნენ!

***ჯემალ დავლიანიძე**, მწერალი, პუბლიცისტი:* – წიგნი მაქვს დაწერილი – „როგორი არ უნდა იყოს ადამიანი“, სადაც დეტალურად აღვწერე მიშველაძეც, ჩაჩუაც და მთელი მათი ბინძური ცხოვრება. რეზო მიშველაძეს მიწა უჭამია, თამაზ წივწივაძეზე და დავლიანიძეზე აღარაფერს დავწერო და, მეც გავაჩერე ბეჭდვა გაზეთში. თამაზმა მითხრა, როინ მეტრეველი მომიგზავნა და აღარ დავწეროთ არაფერიო, და მეც გავჩერდი. მიწანაჭამი ხალხია და მაგათზე რა უნდა გითხრათ?

9 აპრილის შემდეგ მწერლები კომპარტიის მანდატებს აბარებდნენ. მუხრან მაჭავარიანიც იქ იყო იმ დროს. მიშველაძემ გადააწოდა, ჩემი მანდატიაო და კარლო ტაბატაძისა აღმოჩნდა... თვითონ დამალა მანდატი და 9 აპრილის შემდეგ ერთი წელი კიდევ პარტიაში იყო. ეს ყველაფერი „ლიტერატურულ საქართველოში“ მაქვს დაბეჭდილი. როცა საქართველო გათავისუფლდა, მანდატი მერე ჩააბარა რაიკომს.

გაზ. „რაო-რაო?“, №9 (197), ესაუბრა **ნინო მაისურაძე**
8-14 ივლისი, 2013 წ.

ბრძოლა სიცოცხლის აზრი

აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის დაბადების 75 და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე ბოლნისში

ბოლნისელებს არასოდეს დაავიწყდებათ 2013 წლის 29 ივნისი. ამ დღეს ქალაქის კულტურის სახლში საზეიმოდ აღინიშნა აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის დაბადების 75 და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. ეს იყო შეხვედრა თვალსაჩინო მეცნიერთან და საზოგადო მოღვაწესთან, რომლის ბავშვობისა და ყრმობის წლები ბოლნისთანაა დაკავშირებული.

კულტურის სახლში მრავლად მოეყარა თავი ელიზბარ ჯაველიძის შემოქმედების თაყვანისმცემლებს. აქ იყვნენ როგორც ადგილობრივი ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლები, ასევე თბილისიდან მოწვეული სტუმრები: ცნობილი მეცნიერები, მწერლები, პოლიტიკოსები, მსახიობები, მომღერლები, სპორტსმენები.

კულტურის სახლის სცენა, სადაც იუბილარი იჯდა, საზეიმოდ იყო მოწყობილი.

ელიზბარ ჯაველიძის საიუბილეო საღამო გახსნა ქ. ბოლნისის ინტელიგენციის წარმომადგენელმა ზურაბ ერისთავმა.

მოხსენება ელიზბარ ჯაველიძის ცხოვრებასა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ გააკეთა აკადემიკოსმა აპოლონ სილაგაძემ, რომელმაც აღნიშნა რომ:

ელიზბარ ჯაველიძემ 1975 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ჯელალ ედ-დინ რუმი“ (მსოფლმხედველობის საკითხები.)

1985-1986 წლებში იყო ჟურნალ „კრიტიკის“ მთავარი რედაქტორი.

1986-1990 წლებში იყო გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი.

1988 წელს მიენიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრის პროფესორის წოდება.

1988 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1989 წელს მიენიჭა „აზერბაიჯანის კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

1991 წელს იყო საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრი.

1992-1995 წლებში გამოსცემდა და რედაქტორობდა გაზეთებს: „საქართველოს სამრეკლო“, „კოლხური კოშკი“ და „სამრეკლო“.

1996-1999 წლებში ცხოვრობდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

1999-2003 წლებში არჩეულ იყო საქართველოს პარლამენტის წევრად და ხელმძღვანელობდა საპარლამენტო ფრაქციას – „XXI საუკუნე“.

2013 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე ავტორია 16 მონოგრაფიისა და გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და პუბლიცისტური წერილი.

იუბილეზე სიტყვით გამოვიდნენ: აკადემიკოსი როინ მეტრეველი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლადო მინაშვილი, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, მსოფლიოს 5 და 2 გზის ოლიმპიური ჩემპიონი, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის კომიტეტის თავმჯდომარე ლერი ხაბელოვი, მსოფლიოს 2 გზის ჩემპიონი გურამ საღარაძე, მსახიობი გია ბურჯანაძე, ქ. ბოლნისის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი ქეთევან დადვანი, კაზრეთის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი გივი ჯაყელი, სოფელ ქვემო ბოლნისის მცხოვრები, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი რამაზ ბაქიროვი.

გამომსვლელებმა ისაუბრეს იუბილარის მრავალმხრივი მეცნიერული, სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ. აღნიშნეს მისი დამსახურება ერისა და სამშობლოს წინაშე. რომ იგი მთელი არსებით ჩართულია თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ პროცესებში, არის შესანიშნავი პუბლიცისტი, კრიტიკოსი. ყოველთვის ეხმაურება მნიშვნელოვან საზოგადოებრივ თუ ლიტერატურულ მოვლენებს. ელიზბარ ჯაველიძის კრიტიკული ნიჭი დღესაც სიმართლის სამსახურში დგას. იგი პირდაპირ არქმევს სახელებს ლიტერატურულ მოვლენებს, ფაქტებს. უკომპრომისოა, მოურიდებელი. მას არაერთი საეჭვო, მოდას აყოლილი, აღზევებული მწერალი ჩამოუბრძანებია დაუმსახურებელი პიედესტილიდან.

ელიზბარ ჯაველიძე სიცოცხლის აზრს, მიზანს ბრძოლაში ხედავს და არა ბრძოლის შედეგებით ტკბობაში.

„უშიშარი ვითარცა უხორცო“ – ასე უწოდეს მისმა მეგობრებმა და თანაგუნდელებმა საიუბილეო საღამოზე.

აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის იუბილეს დასასრულს გაიმართა საზეიმო კონცერტი, რომელმაც დამსწრე საზოგადოება დაარწმუნა, რომ ბოლნისის რაიონში კვლავაც გრძელდება ქართული ტრადიციები და შესაბამისად დღესაც მხარის კულტურული განვითარება მაღალ დონეს ესადაგება.

ცნობილ ქართველ მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს *ელიზბარ ჯაველიძეს* 75 წელი შეუსრულდა. გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია ულოცავს სახელოვან მეცნიერს იუბილეს, უსურვებს ახალ-ახალ წარმატებებს და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ხიეთის გაყვეთილი

მეუფე თადეოზი – მირიან იორამაშვილი – თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტი, საქართველოს ყველა კუთხეში სიყვარულით გარემოსილი საეკლესიო მოღვაწე, ტკბილად მოსაუბრე და მადლით მოსილი მოძღვარია.

19 ივნისს 215-ე საჯარო სკოლაში მას შეხვედრა მოუწყვეს (სკოლის დირექტორი – თეიმურაზ აბრამიშვილი, IV კლასის დამრიგებელი ზოია მარგველანი). მის მშვენიერ პოეზიას ნაზიარები IV კლასელები მონატრებითა და მოწიწებით ელოდნენ საყვარელ სტუმარს, რომლის მოსვლაც მართლაც განსაკუთრებული აღმოჩნდა. მოძღვრის ლოცვა-კურთხევამ ერთიანად მოხიბლა და გააბრწყინა მოსწავლეებიც, პედაგოგებიც, მშობლებიც და სკოლის კედლებიც. ყველას და ყველაფერს ღვთიური მადლი მოეფინა.

ლოცვად ისმოდა ბავშვების მიერ წაკითხული მისი სალექსო სტრიქონები:

„სამშობლო, სამშობლო გახსოვდეთ,
სამშობლო გიყვარდეთ მარადის,
მის გულში მზის სხივებს აქსოვდეთ,
უმისოდ სიცოცხლე არა ღირს.“

მეუფე თადეოზის პოეზია სიყვარულითაა სავსე. ადვილად მიდის მსმენელამდე. იგი თავს დასტრიალებს საქართველოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. გაჯერებულია ღვთისა და მამულის თაყვანისცემით. კაცთა გულისაკენ ადვილად იკვლევს გზას, რადგან მასში ერის სათქმელი და საფიქრალია ჩატეული. აი, როგორ მიმართავს პოეტი ქართულ ენას:

„დალოცვილი გაქვს ფესვი და ძირი,
მარადიული აზრის შუქი ხარ,
შენით ვმღერით და შენითვე ვტირით,
სირცხვილი ქართველს, თუ არ უქიხარ.“

კითხულობ მის ლექსებს და გრძნობ, თითოეული მათგანი ლოცვაა, ხოტბაა ზეცისკენ აღვლენილი. აშკარად შეიგრძნობ ქართული ჰიმნოგრაფიის დიდ ძალას, სიძველესთან ზიარებას, ჰანგის ჟღერას. უბრალოება და აზრის ნათლად გამოხატვა მისი სტილია. ეს ყოველივე კი სიწმინდით ავსებს და ალამაზებს თითოეულ სტრიქონს. ძალაუნებურად დიდი სულხან-საბა მახსენდება: ლეონმა „მერმე აუბნა თავისი ბულბულის უტკბესი ენა და ყოველსა კაცსა ასე ეგონა პირსა იადონი უბუდებსო, ან მერცხალი ჭიკჭიკებსო“...

სწორედ რომ იადონსა და მერცხალს ჩაუბუდებია მეუფე თადეოზის სიყვარულით სავსე პოეზიაში.

აღფრთოვანებას იწვევს მისი იმედიანი სტრიქონები:

„ჟამი ნუგეშისმცემელი,
მოვა მარტოდენ ღვაწლითა,
სიმართლისათვის შეწირვით,
სიცოცხლის მადლით და წვითა“.

პატარები ისეთი მონდომებითა და ისეთი ინტერესით კითხულობდნენ პოეტის ლაქსებს, რომ ძალაუნებურად იქ მყოფთ სიამაყის განცდა დაეუფლათ. მოსწავლეებმა არა მარტო ლექსების მხატვრული კითხვით, არამედ მშვენიერი სიმღერებითა და ცეკვებითაც მოხიბლეს სტუმარი. ყველას თავის გამოჩენა სურდა. შემდეგ დაფნის გვირგვინებით თავდამშვენებულები სიყვარულით შემოეხვივნენ სასურველ სტუმარს.

ეს იყო თითოეული ჩვენგანისათვის სიყვარულისა და ღვთიურობის დღე – ყველა გრძნობდა, რომ ასეთი სიწმინდის განცდა შეიძლება მოგვანიჭოს მხოლოდ რჩეულმა პიროვნებამ. ამ განცდამ 23-ე ფსალმუნი გამახსენა (დავითის ფსალმუნი) „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ



ვინ დადგეს ადგილსა წმინდასა მისსა? უბრალოი ხელითა და წმიდაი გულითა, რომელმან არა აღიღო ამაოებისა ზედა სული თვისი და არცა ეფუცა ზაკუვით მოყუასსა თვისსა.ამან მოიღოსკურთხევაი უფლისაგან და წყალობა იღმრთისაგან მაცხოვრისა მისისა.“

მოსიყვარულე მოძღვარი ეფერებოდა, ეხალისებოდა ერის მომავალს და ისინიც სიყვარულით უპასუხებდნენ.

ვუსმენდი მეუფე თადეოზს და სტუდენტობის დღეები მახსენდებოდა, ან როგორ შეიძლება მისი დავიწყება:გორის პედეგოგიური ინსტიტუტი, პოეზიასთან შეთამაშებული შემოქმედი გოგო-ბიჭების აღფრთოვანება, ლექსთან შეჭიდება, ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები. გორის ლიტერატურულ ალმანახში გამოქვეყნებული პირველი ლექსები. მოულოდნელად ამ ფიქრს ბატონ ოთარ ჩხეიძის ხატებასთან მივყავარ – დიდი მწერალი ახალგაზრდობაზე თავდაუზოგავი ზრუნვის საიდუმლოს დაატარებდა: ამას ჩვენც ვგრძნობდით სხვებთან ერთად და ახლაც ვგრძნობთ. ჩვენ ერთად მივიკვლევდით შემოქმედებით გზას. ამ საძმო-სამეგობროში გამორჩეული სიყვარულით სარგებლობდა მირიან იორამაშვილი – ჩუმი, წყნარი, ღიმილიანი, კეთილი სახის, მუდამ ტკბილსიტყვაობით დამშვენებული, ლექსებით გულანთებული... გულმართლობითა და გულახდილობით ყველას ყურადღებას იპყრობდა. აკი, ამიტომაც უფლის გზას ეზიარა, სულის სავანე სწორედ იქ ნახა:

„ანგელოზნი უგალობენ მაღალ
ღმერთსა,
ციდან მადლი უხვად მოგვეფინება,
ვინც დაგვბადა, ვინცა გვზრდის და
ვინც გვახარებს,
მისი ქება ჩვენც ნუ მოგვეწყინება.“

ვუსმენ მეუფე თადეოზს და ვფიქრობ: ეს დღე ამაღლებასთან ერთად სიკეთისა და სიყვარულის, სამშობლოს სიყვარულის, უმცროს-უფროსობის ურთიერთპატივისცემის, ერისა და უფლის სამსახურის დიდი გაკვეთილი იყო მოზარდებისათვის.

დალი მაზმიშვილი

ჩუნურად, ჩუნურად, ჩუნურად!



გოგი ხარაბაძე

„საუკუნის პროექტი“ უწოდა საქართველოს პატრიარქმა ქართულ აუდიობიბლიას, მის შემქმნელებს; გოგი ხარაბაძეს და შემოქმედებითი ჯგუფის წევრებს კი – ბიბლიის თანამედროვე გადამწერნი.

თითქმის 3 წელს (2006-2009) გრძელდებოდა სტუდია „სანოში“ ბიბლიის სრულ აუდიოვერსიაზე მუშაობა.

ამ საქმეს შეწირულის თავდადება სჭირდებოდა, საქმეს შეწირული კაცის ძალა, სიყვარული და ოსტატობა.

ძალი და შეწევნა უფალმა მისცა უთუოდ, თორემ ამხელა განსაცდელს რა გამოატარებდა.

ოსტატობაც რომ ზენაარისგან აქვს ბოძებული, ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვართ. 30-წლიანი კინო და თეატრალური კარიერა. სატელევიზიო ციკლები ერთი მსახიობისათვის... ეს იყო და დღესაც გრძელდება სხვა იპოსტასში.

როგორია, მთელი ბიბლია წაიკითხო და ჩაწერო!

გოგი ხარაბაძე – მსახიობი, მწერალი, მოქალაქე, გამორჩეული ოსტატი. რიგითი ქართველი. ინდივიდუალისტი, რომელიც სულ საერთო საქმეშია ჩართული.

მან შექმნა ქართული აუდიობიბლია, რომელსაც აქვს თავისი ბგერა, ხმა, ფერი, ფორმა. ეს არის ჩვენი Bible-online, რომელიც ყველა კულტურულ ენაზე არსებობს და ამიერიდან არსებობს ქართულადაც.

ამ შრომას „საუკუნის პროექტი“ უწოდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

როგორ იქმნებოდა ეს ყველაფერი? თვითონ გვიყვება დეტალებად, მინიშნებებით, მხატვრულად.

წარმოვიდგინოთ, რომ ეს არის ბენეფისი, არტისტულ-ბელეტრისტული ბენეფისი. მით უმეტეს, დღეს მისი დაბადების დღეა! – სამოცდამეთერთმეტე. ვულოცავთ!

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია

აბელი და კაენი

„თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა. მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იდო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვროდა წყლების ზემოთ“.

დღეს ბიბლიის ჩაწერას ვიწყებ...

მთელი კვირა, შაბათიდან – შაბათამდე, რომ არაფერი ვთქვა უკანასკნელი 25 წლის მუშაობაზე, ტექსტს ვამზადებ, ვკითხულობ ასჯერ, სამოცჯერ, ოცდაათჯერ... ტვინი სულ ჩართულია.

წინა საღამოს მხოლოდ სავარჯიშოებს და პირად რიტუალს ვასრულებ. ჩაწერის დღე კი უხმოდ იწყება. ოჯახში ყველამ იცის, რომ შეკითხვები აკრძალულია, კვების რაციონი – შეზღუდული.

მოდის მანქანა. ვჯდები უხმოდ. სტუდიის გზა იცის მძღოლმა, ისიც იცის, რომ ამ დილით საუბრები აკუმულატორზე, ქალებზე და საწვავის გაძვირებაზე არ მოსულა.

„დაბადებით“ ვიწყებ. ჩავწერ, რამდენსაც ავწევ. დღეს მოსე ვარ. დღეს კი არა, უკვე დიდი ხანია... აქ, ამ ქვეყანას რა ხდება ამ დილით, არ მეხება.

ჩაწერა სამ საათს გრძელდება. ზიხარ გაუნძრევლად. თვალი დაძაბულია – კითხულობ; ტვინი დაძაბულია – აზროვნებ; სამეტყველო აპარატი არ ჩერდება, სმენა გამახვილებულია – ხმას, ბგერას აკონტროლებ. გულისცემა სტუდიის გარეთ ისმის...

დავამთავრე. პერანგი სულ სველია. იქვე ვიცვლი. მიჭირს ადგომა. ყველა კუნთი მტკივა. სამი საათია ვზივარ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კოქსართროზის პრობლემა ისევ ძალაშია...

კარგი იყო? რა გამოვიდა, არ ვიცი?! ეს ფიქრიც ხომ მტკივნეული სახსარივით მუდმივად მღრღნის... ჯერ ისევ იქა ვარ, მოსესთან, ჯერ ისევ მარტო ჩემი ხმა მიწუის ყურებში.

თავს ძალას ვატან, ვდგები. ვაღებ სტუდიის კარს. გავდივარ. უკვე სახეში მეფეთება აქაურობა. ვიღაცა ლაპარაკობს, ვიღაც მუსიკას იწერს, ვიღაც ტელევიზორს უყურებს...

პირველი, რაც მესმის, „რას შვრებიან, ბიჭო, მაგათი დედა...“ „ომია რა, ნამდვილი...“ „ბატონო გოგი, ნახეთ, ქართველების გამოყრა დაიწყეს მოსკოვიდან“.

მე ჯერ მოსესთან ვარ. აგერ ახლა არ მეუბნებოდა, „დაეცა კაენი აბელს და მოკლა იგი“.

რა ხდება? ვეკითხები პატარა ბიჭს, ხმის ოპერატორს. იეზიდია ეროვნებით... „ბესპრედელია, ბატონო გოგი, ჩვენებს ასახლებენ რუსეთიდან, პირდაპირ ქუჩიდან აყავთ...“

„და სთქვა ღმერთმა: ეს რა ჩაიდინე? შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომღაღადებს“.

დღეს რა უნდა გაგიკვირდეს? ორნი იყვნენ სულ... ორი ძმა და ერთმანეთი ვერ აიტანეს. ერთმა მოკლა მეორე, თანაც რისი გულისთვის. იმის გამო, რომ „ღმერთმა არ მოჰხედა კაენის ძღვენს, აბელისას კი მოჰხედა“.

შური, პირველობისკენ სწრაფვა, პატივმოყვარეობა, ძალაუფლების წყურვილი. განა უცხოა ეს ყოველივე ჩვენთვის? ნუთუ ჩვენ, ბიბლიური წინაპრების „ღირსეულმა“ შთამომავლებმა, შევძელით რაიმეს შეცვლა?

„ამიერიდან დაწყევლილი ხარ მიწისაგან, რომელმაც გახსნა პირი, რათა მიეღო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან“.

ჰო, ეს წყევლა მოგვდევს დღემდე, რადგან ვამრავლეთ კაენის ცოდვა.

ვამრავლეთ, ვამრავლეთ და აი, რა სურათი მივიღეთ, აი, როგორ ყალყზე შემდგარ მსოფლიოს ვუტოვებთ შვილებს.

48 ეთნოკონფლიქტი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, 160 ეთნიკურ-რელიგიურ-ტერიტორიული შუღლი მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე... მათ შორის ვართ ჩვენც – რუსეთი და საქართველო – შეტაკების მოლოდინში ერთმანეთის პირისპირ მდგარი, ორი სისხლმოწყურებული გლადიატორი...

ძალაგამოცლილი მივდივარ მანქანისკენ. ყველას ჩვენ ჩვენი ბიოგრაფია გვაქვს, ჩვენ ჩვენი წარსული. ყველა ქართველს თავისი რუსეთი ჰყავს, მეც მათ შორის, და ამიტომაც ვარ ასე დამძიმებული.

საქართველოს ყველა სატელევიზიო არხზე ქართველების დეპორტაციის ამბავს გადმოსცემენ, სამარცხვინო ამბავს.

სასოწარკვეთილი, შეურაცხყოფილი მამაკაცები, ატირებული ქალები, შეშინებული ბავშვები... რა პასუხი უნდა გავცეთ ხვალ ამ ბავშვებს?! როგორ გვინდა ისინი მოვაბრუნოთ მეზობელი ქვეყნისკენ?

მოსე

ჩაწერაზე მივდივარ. კონდოლიზა რაისია ჩამოსული. გზები გადაკეტილია. პრეზიდენტის რეზიდენციისკენ მიემართება მანქანების კორტეჟი. შუქნიშანთან გავჩერდით. მანქანის ფანჯარა ღია მაქვს და მესმის ორი მათხოვარი ქალის ჩხუბი... ერთი ჩამოძენძილი, მეორე ყავარჯნებზე შეყუდებულ ისეთივე ჩამოძენძილს უყვირის დამტვრეული რუსულით: „Это мои земля, иди отсуда“... და ყავარჯენს უღერებს. მეორე, ეტყობა, რუსია – გარშემომყოფთა გულის მოსაგებად დამტვრეული ქართულით იწყებს: „ტფილისო, მზის და ვარდების ხარეო“...

ყველა მიწისათვის, თავისი წილი მიწისათვის იბრძვის, ესენიც – ხურდა ფულის შესაგროვებელი ნახევარი მეტრი მიწისთვის, კონდოლიზაც! ამერიკასაც მიწა სჭირდება, ძალაუფლების გასავრცელებლად. აფხაზეთის მიწისთვის ვიბრძვით ჩვენ და რუსეთი, მოსესაც „აღთქმული მიწისკენ“ მიჰყავდა თავისი ერი...

დღეს „გამოსვლის“ ჩაწერას ვიწყებ...

არა, გენიალური წიგნია! ამოუწურავი! სწორია ის ბანალური ნათქვამი, რამდენჯერაც წაიკითხავ, იმდენჯერ ახალს აღმოაჩენო ბიბლიაში!

ვიცით, ბევრი რამე ვიცით, წაგვიკითხავს, გვინახავს, გაგვიგია მოსეზე. მისი და მისი ხალხის ორმოცწლიანი გზა აღთქმული ქვეყნისკენ, სიმბოლოდაა ქცეული...

ამჯერად, ჩემთვის ახალი აღმოვაჩინე... „და ეტყოდა მოსეს უფალი, პირისპირ ვითარცა იგი ვინ ზრახავნ თვისსა მეგობარსა“.

თვალებს არ დავუჯერე, „თვისსა მეგობარსა“. მეგობარი, თითქოს ძალიან ჩვენი სიტყვაა! მაგრამ არა — ბიბლიური ყოფილა!

როგორ მიმართავს, როგორ თხოვს მოსე ღმერთს, როცა უჭირს: „შეჰლაღადა მოსემ უფალს: ღმერთო, განკურნე, გევედრები“. რა ლაკონიურად, მოკლედ, მხოლოდ ერთი სიტყვით, „ღმერთო“ – როგორც ძალიან ახლობელს, მეგობარს... ყოველგვარი ზედმეტობის, სიტყვამრავლობის გარეშე...

ნეტა როგორი იყო გარეგნობით? შეიძლება ძალიან დაბალი ყოფილიყო, შეუხედავი? როგორი ხმა ჰქონდა? ნეტა როგორ გამოიყურებოდა მაშინ 40 წლის კაცი?

ამაზე ხომ აუცილებლად ფიქრობ, როცა მოსეს შენეულ პორტრეტს ქმნი.

ჩემთვის მეცინება, ქალებს როგორ დაბეჯითებით, ამავე დროს ლაღად შეუძლიათ რაღაცის მტკიცება... მაგალითად იმის, რომ მე მოსეს ვგავარ. პირველად ეს იმდენი ხნის წინ მითხრეს, მართლა სასაცილოდ და უცნაურად მეჩვენა. 30 წლისაც არ ვიქნებოდი მაშინ... თანაც არგენტინელი იყო ის ქალი, სულ სხვა კულტურის ნაყოფი...

მე ვიცი, რაც უნდა გავაკთო. არის წუთები, როცა დარწმუნებული ვარ ამაში, მაგრამ მხოლოდ წუთები! ეს დაეჭვების, დაუკმაყოფილებლობის განცდა ვერ მოვიშორე!

გზა გაიხსნა, ეტყობა გაიარა კონდოლიზამ. რამდენიმე წუთში დაიხურება სტუდიის კარი და ისევ მარტო დავრჩები... ამჯერად მოსესთან...

აგვისტოს აპოკალიფსი

როგორც ზვავი, ისე ჩამომაწვა „აპოკალიფსი“. ჰო, ქვეშ მომიყოლა. საიდან არ მივუდექი, ძვრა ვერ ვუყავი.

კონსულტანტები ჰყავს ბიბლიის აუდიოვერსიას, განსწავლული, ღრმა, მცოდნე ხალხი. იმათ მივაკითხე. დამამშვიდეს, არ შეშინდე, „გამოცხადება“ ყველაზე ამოუცნობი, მიუწვდომელი მასალაა.

საბოლოო განაჩენს მაინც უწმინდესისგან ველოდი. მისი დასტური მჭირდებოდა. უცხოსავით ვიჯექი ოთახში, სადაც ხშირად მმასპინძლობს. ვღელავდი? უფრო მეტი... ბავშვივით მიფანცქალებდა გული. არ ვიცოდი, რითი დამეწყო, ყელში მებჯინებოდა სათქმელი, თან თითქოს სიტყვები დამკარგოდა და ჯიქურ გამომივიდა:

– უწმინდესო, „აპოკალიფსისის“ ჩაწერას არ ვაპირებ.

– რათა? – მკითხა ჩვეული სიმშვიდით.

– ასჯერ მაინც წავიკითხე... მე არაფერი მესმის და სხვას რას გავაგებინებ...

– მამაო დავით, მოიტათ „ბიბლია“. იქვე ჩამოვსხედით, სავარძლებზე.

– დაიწყეთ! – იყო ბრძანება.

როგორია?! აბა, დაუჯექით პირისპირ საქართველოს პატრიარქს, თანაც ასეთს, და წაუკითხეთ „ბიბლია“.

„ხომ იცით, აპოკალიფსისი გამოცხადებას ნიშნავს. ღმერთი თავის რჩეულ შვილებს უცხადებს საიდუმლოს, რომელიც მომავალს ეხება, ახლა დაიწყეთ...“ – კიდევ გამიმეორა.

დავიწყე. ვკითხულობდი, მაჩერებდა, მიხსნიდა, შეფარვით მამხნევებდა კიდეც –... აი, ხომ ხედავთ, უკვე სხვანაირად კითხულობთ... განაგრძეთ...

ფილადელფიის ეკლესიის ანგელოსს რომ მივადექით, პირჯვარი გადაიწერა და მითხრა:

– ეს საქართველოზეა, ხომ იცით? სამების ტაძარში საკურთხევლის კარზე შიგნიდან არის ამოტვიფრული ეს მონაკვეთი, განაგრძეთ...

სული მეკუმშებოდა, ალბათ, ნეტარებისგან. ვფიქრობდი, სულ ნურაფერი გამოვა, პატრიარქს „ბიბლიას“ ხომ ვუკითხავ-მეთქი.

წინადადება-წინადადება ამიხსნა ყოველი თავი, შუაღამე გადასული იყო, რომ დავტოვე, ყურებში მისი ხმა ჩამესმოდა:

„ღმერთი თავის რჩეულ შვილებს უცხადებს საიდუმლოს, რომელიც ძირითადად მომავალს ეხება, მომავალს ეხება...“

ნაცმოძრაობის ძიძა და მასწავლებელი

ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა!..
მივხვდით, — ბრძანდება ვინ ვინ!..
ღმერთი!.. თვით ღმერთი გაოცდა!..
ამდენი დამპლის ხილვით!

მუხრანი

არ მოასვენა ეშმაკმა — თავისმა მასწავლებელმა, რევაზ მიშველაძე, — კვლავ გამოჭენდა არენაზე და მყრალი ყიადან ამოფრქვეული ლენცოფით იწყო გარემოს მოშხამვა.

არადა, თავის დროზე, ორჯერ გავაფრთხილე ბატონი თამაზ წივწივაძე: არ შემაჩერო-მეთქი, მაგრამ იმდენი ადამიანი მიუგზავნა მიშველაძემ, მაინც თავისი გაიტანა. აფსუს, მივიყვანე კიდეც საბოლოო დამიწებამდე! სახალხოდ მიწის შეჭამადე ხელნაკრავი, ხელიდან წამართვეს...

2002 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ ფურცლებიდან სამარე გავუმზადე, მოთმინება მთლად დავაკარგვინე და ვაიძულე — მისულიყო ბატონ როინ მეტრეველამდე! ასეთი პირობა დაუდვია: თუ წივწივაძესა და დავლიანიძეზე ოდესმე რაიმე დავწერო, დამიმიწდეს პირიო. ბეჭედი ამ ფიცისა, ყოფილა ერთი პეშვი მიწა, რომელიც გემრიელად მიუღეჭ-მოუღეჭავს და საკუთარი ბნელი სტომაქის ლაბირინთებისკენ ჩაუშვია!

ჰაერზე ლაპარაკი რომ არ დამწამონ, ჩავხედოთ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ (№17, 2002წ.). ვნახოთ ჩემ მიერ დაწერილი წერილის სათაური: „როგორ არის საქმე ვეჟო?“, ჩავიდეთ ბოლომდე და წავიკითხოთ რას ვწერ:

„ბატონო თამაზ! თქვენ იძულებული ბრძანდებით მაიძულოთ შევწყვიტო წერილების ბეჭდვა. აი, თურმე როგორ ყოფილა საქმე! არადა მთავარზე მთავრის გამოქვეყნებას ვეღარ ვახერხებ. რაც დამრჩა უფრო საზარელია, მაგრამ აუცილებელია საზოგადოებამ იცოდეს... თუმც განა ძაღლის კუდი ოდესმე გასწორდება? იქნებ გგონიათ, თქვენს სულგრძელობას სიკეთით უპასუხებენ? ხომ გახსოვთ, არსენა მარაბდელს რა უთხრა გამოცდილმა ჯარისკაცმა — ხმალს თუ ამოიღებ, კიდეც უნდა დაჰკრა, უკუღმა არასოდეს გადაარტყა, ბედი გიმუხთლებს ვადაღა შეგრჩება ხელშიო? ჩემი წერილების კვლავ გაგრძელების იმედს ისევ და ისევ თვით რევაზ მიშველაძის ჩვევა-ნირი მაძლევს. მჯერა — არც თქვენ მოგასვენებთ, არც დანარჩენ მწერლებს და არც მე... საოცარი კი არის, მაგრამ მიშველაძის არაკაცობის იმედის ამარა ვრჩები. სხვა გზას, ჩემი წერილების გამომზეურებისას, ვეღარ ვხედავ.

საბოლოოდ ჩემს სათქმელს ასე შევაჯამებ:

იცით, რომ უაღრესად დიდ ანგარიშს ვუწევ თქვენს ყოველ მოთხოვნას. ამიტომ რაკი ინებეთ, მე ახლავე ვწყვეტ საუბარს „მიშველაძის თემაზე“, იმის მიუხედავად, რომ მქონდა სურვილი, მკითხველის თვალში ბოლომდე გამეშიშვლებინა ეს არაკაცი.

როგორც ჩანს, თქვენ ამ ცრუპიროვნებას კარგად არ იცნობთ, — ამან, ჭიაყელასავით, თუ კიდევ ერთხელ გაიმთელა შუაგაწყვეტილი ტანი, მერე მისი გასრესა იმდენად გაჭირდება, ვაითუ ინანოთ და ჩემი თავი ღმერთმა ისევ გაგახსენოთ.

არადა, მართლა არ ვიცი, რატომ უნდა გავიხადოთ საქმე საორხელოდ, როცა ახლავე შეგვიძლია მისთვის — როგორც ცრუმწერლისთვის, როგორც ცრუმეცნიერისთვის, როგორც ცრუკაცისთვის — წირვის გამოყვანა.

მამაკაცი რომ პარლამენტის სხდომაზე, მთელი საქართველოს თვალწინ, გულის წასვლას და სიკვდილს მოიგონებს, იმ კაცის არ გეიშვა, უფალო რედაქტორო, არაფერი!..

ერთი სიტყვით, ბატონო თამაზ, მე ჩემი მითქვამს და დანარჩენი თქვენი გადასაწყვეტია.

კარგად ბრძანდებოდეთ თქვენცა და თქვენი მკითხველიც. მიშველაძე კი კარგად ვერასოდეს იქნება, ვიდრე ამქვეყნად სამართლის მთქმელი თითო-ოროლა კაცი კიდევ იარსებებს...“

ამას ვწერდი 2002 წლის მაისში. რამდენიმე თვეში, კერძოდ, 2002 წლის ნოემბერში, მიშველაძის არაადამიანობით დამწუხრებულ-გაოგნებული ბატონი თამაზ წივწივაძე „ლიტერატურულ საქართველოს“ ფურცლებზე (№44, 2002 წ.), წერილში სათაურით — „დაიწყე ვასილევსკი“ — წერდა:

„ძვირფასო მკითხველო!

მინდა გაგახსენოთ, სათაურად გატანილი ეს მოკლე ფრაზა მიხეილ ჭიაურელის კინოფილმ „ბერლინის დაცემიდანაა“. ამ ქალაქზე ისტორიული შტურმის დაწყების წინ სტალინმა რომ მიმართა გაერთიანებული ჯარების შტაბის უფროსს, მარშალ ვასილევსკის!

ამ მოკლე ბრძანების გაცემის შემდეგ, დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო საბჭოთა ჯარმა — ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქიდან



თითქმის არაფერი დარჩენილა!

აგერ ახლა კი, თითქმის 60 წლის თავზე, მე პირადად ვაძლევ მსგავს დავალებას ბატონ ჯემალ დავლიანიძეს, რათა მანაც დაიწყოს შეწყვეტილი ბრძოლა მიშველაძესთან და, როგორც ბერლინიდან არ დარჩენილა მაშინ არაფერი, ასევე არაფერი არ უნდა დარჩეს ბატონი რეზოს იმ ავადმყოფური ამბიციებიდან, უმოწყალოდ რომ წამლავს ირგვლივ მყოფთ!

არადა, მართლაც ცამდე მართალი ყოფილა ბატონი დავლიანიძე, რეზო მიშველაძესთან დაკავშირებით საგანგებოდ რომ მაფრთხილებდა:

„ამან, ჭიაყელასავით, თუ კიდევ ერთხელ გაიმთელა შუაგაწყვეტილი ტანი, მერე მისი გასრესა იმდენად გაჭირდება, ვაითუ ინანოთ და ჩემი თავი ღმერთმა ისევ გაგახსენოთ. მართლაც არ ვიცი, რატომ უნდა გავიხადოთ საქმე საორხელოდ, როცა ახლავე შეგვიძლია მისთვის წირვის გამოყვანა“.

სწორედ ამას მოვერიდე, ბატონო ჯემალ, ეს საცოდავი ხელში რომ არ შემოგკდომოდა და კიდევ იმის გამო გაგაჩერეთ, ორკაპა ენით ცელს შემოხვეული გველივით, ზავს რომ ითხოვდა!

მეც ადამიანი ვარ, და ჩემდა სამარცხვინოდ, მოგზავნილი მეგობრების ხათრით, მაშინ ეს რადიკალური გადაწყვეტილება ვერ მივიღე — „გასჭერი, ცელო!..“

ახლა კი, მთელი ქვეყნის გასაგონად ხმამაღლა ვაცხადებ: „დაიწყე, ვასილევსკი!“

თუმცა ეს რუსი მარშალი ამჟამად რა შუაშია — „დაიწყე, დავლიანიძე!“

ძვირფასო მკითხველო!

თუ რა ბრალდებებს უყენებდა ჯემალ დავლიანიძე თავის ოპონენტს, ამის შესახებ მოგეხსენებათ „ლიტერატურული საქართველოს“ პუბლიკაციებიდან.

ამის შემდეგ კი, სულ ახლახან დაწერილ, ცინცხალ ნაწილზე გადავალთ!

ასე რომ, ბატონ მიშველაძეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე თვითმკვლელობის სცენის ხელახლა გათამაშების 100%-იანი შანსი კიდევ ერთხელ ეძლევა!

ღმერთო, შენ შეეწიე, იატაკზე ამჯერად ნარნარად რომ დაეშვას!..“

ამის შემდგომ მიშველაძე კვლავ შავ დღეში ჩავაგდე და, ჩემდა გასაოცრად, მან ისევ შეძლო გარდაქმნილიყო ქამელეონად, ისევ და ისევ მიხოხდა ბატონ თამაზთან ხვეწნა-მუდარით: გარეთ უცხოს ვეღარ ვენახვები და შინ კიდევ ახლობლებსო.

ბატონმა თამაზ წივწივაძემ კვლავაც მთხოვა შემეწყვიტა წერილების ანუ მხილებათა ციკლი რევაზ მიშველაძის ოინბაზურ ცხოვრება-მოღვაწეობაზე! თხოვნა შეასრულე, მაგრამ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№5, 2003 წ.) ჩემს მეგობარ თამაზს კიდევ ერთხელ ვუთხარი:

„ბატონო თამაზ!

ვასრულებ თქვენს თხოვნას და აქ ვწყვეტ წერილების სერიალს მიშველაძეზე, თანაც ძალიან მოკლედ გემშვიდობებით: გაგახსენდებით!“

ფაქტია, რომ წინათაც და შემდგომაც, მართალი მითქვამს!

რევაზ მიშველაძე აღმოჩნდა სოციალური პრობლემა, თორემ პირადული ჩვენ შორის ბევრი არაფერია!

მართლაც, ხათრი ვერ გავუტეხე „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორს, წერილების გამოქვეყნება შევწვიტე, მაგრამ წერა მაინც გავაგრძელე. ბოლომდე ჩავუყევი რევაზ მიშველაძის მრუდე შემოქმედებას, თავი ავიტკივე და უკვე გამოქვეყნებულ მასალასთან ერთად, ორ წიგნად შევკარი! წეღანაც გითხარით — არავითარი პირადული, მხოლოდ პრობლემამ დამაინტერესა! კაცმა რომ თქვას, სადისერტაციო თემა გავამზადე! ვითომ რაო, ვერ წარვუდგენ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს ორივე წიგნს, ერთდროულად არ მომანიჭებენ საკანდიდატოს და სადოქტორო ხარისხს?

უეჭველია, მკითხველი დაინტერესდება, რა სახელწოდება მივანიჭე ნაშრომს. დასამალი არაფერია. სიტყვა-სიტყვით მოგახსენებთ:

1. „დემონური სამყაროს საშვილოსნოს ნაყოფი“.

2. „ როგორი არ უნდა იყოს ადამიანი“.

როგორც ხედავთ, საკმაოდ აქტუალური თემაა. ჯერ მსურდა სათაურად „როგორი არ უნდა იყოს ქართველი“ დამეწერა, მაგრამ ტოლერანტული სამყაროს თავდასხმას მოვერიდე და განვაზოგადე.

სახუმაროდ ნაღდად არ მაქვს საქმე. რევაზ მიშველაძე, როგორც პიროვნება, ინდივიდი კი არ მაინტერესებს, არამედ — როგორც საზოგადოებრივი პრობლემა, მოვლენა...

ეს არსება საზოგადოების ერთი საკმაოდ დიდი ნაწილის სახეს წარმოადგენს. გარემო სავსეა ამგვარი ანტიადამიანებით, რომლებიც თავის მხრივ, ამრავლებენ თავისნაირებს! ამიტომაა, რომ ღირსეული და პატიოსანი ადამიანებისათვის თითქმის აღარ რჩება ადგილი.

დღეს რომ პირი დაუღიათ და წამდაუწუმ გაიძახიან: ეს რა დაგვემართა! რა გვეშველება! ვისი ბრალიაო! განა პასუხი ცხვირწინ არ გახლავთ? რევაზ მიშველაძის მსგავსი მასწავლებლები რომ მომრავლებულან, განა სწორედ ამისი ბრალი არ არის ამჟამინდელი ყოფა? აჰა, 2003 წელს, საკაშვილის ხელისუფლებას გაუხსნა გზა ბნელმა, ანუ დემონურმა სამყარომ! მერედა, ვინ იყვნენ ნაცმოძრაობის — ამ ახალგაზრდა სამთავრობო ბანდის აღმზრდელები და ძიძები? ამ ცხრა წელიწადში რამდენი უბედურების მოწმენი შევიქენით? იქნებ მავანს ესურვილება გავიხსენო თუნდაც ჩემ მიერ დაწერილი და გამოქვეყნებული წერილები საკაშვილის და რევაზ მიშველაძის შესახებ? ჩვენი სადარდელიც ზუსტად ისაა, რომ საკაშვილების მოცილება გაცილებით იოლია, ვიდრე მიშველაძეებისა!

აგერ, გამოჩნდა ღვთისნიერი კაცი — ბატონი ბიძინა ივანიშვილი და კიდეც დადგა ყირამალა მიშიზმი, მაგრამ მიშველაძეთა საშველი განა ესოდენ საადვილო საქმეა?

ვკითხულობ 1999-2000 წლებში ჩემ მიერ დაწერილ და „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ ვრცელ წერილებს და თმა ყალყზე მიდგება! მაშინვე გამიფრთხილებია საზოგადოება მიშა საკაშვილის ანუ ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორთა სახით, რა ჭირი მოემართებოდა ჩვენსკენ და იქვე გამიგრძელებია მხილება რევაზ მიშველაძისა.

სწორედ ამიტომ, თავი მოვუყარე ყოველივეს ჯერ კიდევ 2000-2006 წლებში და ორ წიგნად შევამზადე!

პირდაპირ უნდა განვიხილო, რომ ეს არის ომი ბნელეთთან, რომელიც დასწოლია არა მარტო ჩვენს სამშობლოს, არამედ მთელ კაცობრიობას!

ბევრი რომ არ ვილაპარაკო, ვიტყვი: წიგნებში, რომელთა სათაურია „დემონური სამყაროს საშვილოსნოს ნაყოფი“ და „როგორი არ უნდა იყოს ადამიანი“, შევეცადე დამეხატა უღვთო, ურწმუნო, ფარისეველი ადამიანის განზოგადოებული სახე!

დიახ! ასეთია დღევანდელი „მდგომარეობა“, რომელიც საკაშვილებისა და მიშველაძეების მსგავსმა ანტიადამიანებმა მოგვართვეს „საჩუქრად.“

ამგვარი ჯამაათი იმდენად რყვნიან და ათახსირებენ საზოგადოებას, რომ ჩნდება მოთხოვნილება უსინდისობაზე და უღირსობაზე! ისინი მრავლდებიან უმარტივეს არსებათა მსგავსად და ღვთის ნაბოძებ სიცოცხლეს ანაგვიანებენ! ფაქტიურად ადამიანობას ისპობენ, თვითლიკვიდაციისაკენ მიეშურებიან. ადგილს არ უტოვებენ სიკეთეს და ცხოვრებას აფერხებენ ანუ აქცევენ სიბოროტედ! ეს პროცესი ძალიან ჰგავს უფლისაგან ნებაყოფლობით უკუქცევას! იოანეს გამოცხადებაში მეორე სიკვდილზე, რომ არის საუბარი, სწორედ იმ სამარადიულო სასჯელისაკენ მიისწრაფვიან და, რაც ყველაზე სავალალოა — სხვებსაც მიერეკებიან! ხსენებული „მეორე სიკვდილი“ ზედმიწევნით წააგავს აღმოსავლურ სიბრძნეში მოცემულ ე. წ. „გამოუსწორებელი სულების“ ერთ-ერთ პლანეტაზე დასახლებას, კეთროვანთა მსგავსად!

ამიტომ, ზედმეტად მეჩვენება ხმამაღლა დასმული კითხვა: „რა გვეშველება“, ანდა „რა ეშველება დედამიწას“, რადგან მსოფლიო, სულიერი თვითდახვეწის, განწმენდის მაგიერ გარყვნილება-დაცემისაკენაა მიმართული და — ვისი მეოხებით? რა თქმა უნდა, მიშველაძის მსგავსთა მომრავლებით!

ასე და ამგვარად, მატულობს უმსგავსობა, რომელიც ადგილს აღარ უტოვებს ჭეშმარიტ ადამიანურ ყოფიერებას!

მინდა ვთქვა, რომ რეზო მიშველაძეზე, მის გარშემო მობორიალე გუნდის წევრებზე და ამგვართა მიერ აღზრდილებზე, მუდამ დიდი მოთხოვნილებაა იმათი მხრიდან, ვისაც ჩვენი პატარა ქვეყნის სულიერი დაბეჩავება და განადგურება სურს.

საზოგადოების დიდი და ბოროტეული ნაწილი მუდამ იმკიდა, იმკის და მოიმკის თავისივე ხელში აღზრდილი, თავისივე შხამიანი ძუძუთი გამოკვებილ პიროვნებათა მიერ დათესილ უკეთურობას!

სხვა რაღა გითხარით, ისედაც ნამეტანი მომივიდა. ჩვენ ხომ წინ გვაქვს ორი მეტად საინტერესო წიგნი, რომელშიც სამაგალითო ეგზემპლარად, რევაზ მიშველაძეა წარმოდგენილი.

ჯემალ დავლიანიძე

საქართველოს კულტურის მინისტრს ბატონ გურამ ოდიშარიას

ბატონო გურამ,

წარმოგიდგენთ პროექტს „მწერლობისა და საგამომცემლო საქმიანობის განვითარების სახელმწიფო ფონდი“, რომელიც 2004 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“.

იმ დღიდან მოყოლებული ხან ერთი ჯგუფი ამ პროექტს, ხან – მეორე, ხან – მესამე, ისე, რომ მე არაფერს მეკითხებოდნენ და ასე გადაკეთებულ-გადაღებილი სახით დაარბენინებდნენ წინა ხელისუფლების სხვადასხვა ინსტანციაში, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

ან როგორ გამოვიდოდა, როცა წინა ხელისუფლება თვითონ იყო ავტორი იმ ბარბაროსული გეგმისა, რომლითაც ქართული მწერლობის განადგურება და გაჩანაგება განიზრახეს და ნაწილობრივ მოახერხეს კიდევაც.

ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ იქნა ამოღებული მიზანში ქართული მწერლობა და რატომ განხორციელდა მის წინააღდეგ ასეთი ტოტალური შეტევა.

საქმე ის გახლავთ, რომ, როცა მწერლობას კლავ, აბეჩავებ, მასხრად იგდებ, არსებობის საშუალებას უსპობ, ამით სინამდვილეში ერს კლავ და იმ საყრდენს აცლი, რომელზეც ერის სულიერება და მისი კულტურაა დაშენებული.

კულტურა ვახენეთ და თქვენ, როგორც კულტურის მინისტრს, ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, რომ თქვენს სამინისტროს ოფიციალურად მწერლობაზე კურატორობა და მწერლობის პრობლემებზე ზრუნვა და ფიქრი არც ევალება.

ქართულმა სახელმწიფომ ქართულ მწერლობაზე კარგა ხნის წინათ დაიბანა ხელი და ბედის ანაბარა მიაგდო იგი.

ეს მოხდა იმ ქვეყანაში, სადაც მწერლობისა და მწერლის მისიის შესახებ ასეთი „მანიფესტი“ დაიწერა:

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა,
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა“...

დღეს ცა კი არა მწერლობისგან აბსოლუტურად შორს მდგომ ადამიანებს „მწერლებად“ ახალი დროის მალაქია ტოროშელიძეები და ფეოდოსიშვილები „ნიშნავენ“.

დაახლოებით ისეთი სიტუაციაა, როგორიც იყო გასული საუკუნის 30-იან წლებში, „პროლეტკულტელების“ ზეობის ხანაში.

თეატრს, მუსიკას, მხატვრობას, სახელმწიფოს სახით ასე თუ ისე პატრონი ჰყავს. მწერლობას – არა!

მწერლობა საქართველოში თითქოს კანონგარეშედაა გამოცხადებული...

შორს ნუ წავალთ, აგერ, ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში – სომხეთსა და აზერბაიჯანში შევიხედოთ – როგორ პატივში ჰყავთ იქ მწერალი, როგორ ზრუნავენ მასზე, როგორ ცდილობენ ნორმალური სამუშაო პირობები შეუქმნან.

ჩვენ, ქართველებს, ისეთი რა ეშმაკი შემოგვიჩნდა, რომ მაინცადამაინც მწერლობისა და მწერლის განადგურება დაგვისახავს მიზნად?

ბატონო გურამ, ძმავ და მეგობარო, ძალიან კარგო მწერალო და ძალიან კარგო ადამიანო – ამ ქაოსისა და სამარცხვინო, შეურაცხმყოფელი მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს ვხედავ – კულტურის სამინისტრომ და პირადა თქვენ უნდა ითავოთ მწერლობასთან დაკავშირებული ამ უმძიმესი პრობლემების მოგვარება.

სახელმწიფოს ჩარევის, მისი დახმარების გარეშე ქართული მწერლობა ამ ჭაობიდან ვერ ამოვა.

იქნებ შეიქმნას კულტურის სამინისტროსთან კომპეტენტური კომისია, რომელიც არსებული ჩიხური მდგომარეობიდან გამოსავალს მოძებნის.

იქნებ ამ ჩემს პროექტშიც იყოს რაღაც რაციონალური მარცვალი, იქნებ სხვებმა უკეთესი იდეები და მოსაზრებები წამოაყენონ.

ყოველ შემთხვევაში, თუ საუბარს დავიწყებთ, დარწმუნებული ვარ, რომ გზა აუცილებლად გამოჩნდება.

ვახტანგ ხარჩილავა

მწერლობისა და საგამომცემლო საქმიანობის განვითარების ფონდი
(პროექტის ზოგადი მონახაზი)

მწერლობისა და საგამომცემლო საქმიანობის განვითარების სახელმწიფო ფონდი ფუძნდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს პარლამენტის მიერ ფონდის საქმიანობის შესახებ მიღებული სათანადო საკანონმდებლო ნორმატივების შესაბამისად.

ფონდის დაარსების მიზანია ხელი შეუწყოს მწერალთა შემოქმედებით საქმიანობას, მათი ნაწარმოებების გამოცემას, ხელი შეუწყოს ნიჭიერი ახალგაზრდების მოსვლას და მათ დამკვიდრებას ლიტარატურაში, იზრუნოს ხანდაზმული მწერლების მატერიალურ უზრუნელყოფაზე, მოიძიოს თანხები სხვადასხვა საინტერესო პროექტების განსახორციელებლად, შექმნას პროფილირებული კომერციული სტრუქტურები, ჩამოაყალიბოს პოლიგრაფიული ბაზა, დაამყაროს კავშირები უცხოურ შემოქმედებით ორგანიზაციებთან, გამომცემლებთან და ა.შ.

ფონდის დაარსებით სახელმწიფო გამოხატავს თავის კეთილ ნებას მწერლობისადმი, რომელიც თავის განსაკუთრებულ მისიას ასრულებდა და ასრულებს ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში.

სახელმწიფო, გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებლი რთული ეკონომიკური გარემოს პირობებში, ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის დაცვის და შემდგომი განვითარების მიზნით, საერთო სახელმწიფო საკუთრებად აცხადებს ქართული მწერლობის შემოქმედებით მემკვიდრეობას დასაბამიდან დღემდე.

ცხადია, ქართული მწერლობის ნიმუშები წარმოადგენს ერისთვის უძვირფასეს კულტურულ ძეგლებს, რომელთა მოვლა-პატრონობა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა.

ამ ფონდის მეშვეობით სახელმწიფო განკარგავს მის საკუთრებაში მყოფ ინტელექტუალურ ქონებას და ადგენს:

ქართული მწერლობის (იგულისხმება, როგორც მხატვრული, ასევე პუბლიცისტური, ესეისტური, მთარგმნელობითი სფეროები) იმ ნიმუშების გამოცემა, რომლებზეც უკვე გასულია მემკვიდრეობის ვადა, ამიერიდან შესაძლებელია მხოლოდ ფონდის მიერ ან მისგან გაცემული ლიცენზიის საფუძველზე. ლიცენზიის ღირებულება დგინდება გამოსაცემი ნაწარმოების მოცულობის, ტირაჟის და წიგნის გასაყიდი ფასის მიხედვით.

ყველა კერძო თუ იურიუდიული პირი, მათ შორის სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურები (სამინისტროები, დეპარტამენტები და ა.შ.) ვალდებულნი არიან ამა თუ იმ ნაწარმოების გამოცემის, გავრცელების, გამოყენების უფლების მოპოვებისთვის მიმართონ მწერლობის და საგამომცემლო საქმიანობის სახელმწიფო ფონდს და მასთან სათანადო ხელშეკრულებით გააფორმონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი.

ლიცენზიის გაცემიდან შემოსული თანხები ირიცხება ფონდის ანგარიშზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს იმ განუკითხაობის და ქაოტური მდგომარეობის ლიკვიდაციას, რომელიც დღეს საგამომცემლო საქმიანობაშია.

ქართული მწერლობის მემკვიდრეობის სახელმწიფო საკუთრებად და ამ საკუთრების განმკარგავად ფონდის გამოცხადება დაარეგულირებს და სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცევს დღეს შექმნილ პირატულ-მეკობრულ დამოკიდებულებას მწერლობისადმი.

უდაოდ სამართლიანი იქნება თუ ზემოთ ნახსენები საქმიანობიდან მიღებული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი თანამედროვე ქართული მწერლობის განვითარებას მოხმარდება, რომელიც შექმნილ სიტუაციაში აბსოლუტურად დაუცველი აღმოჩნდა, როგორც ეკონომიკური, ასევე მორალური თვალსაზრისით.

სასურველი იქნება, ფონდმა წერილობით მიმართოს სახელმწიფო ორგანიზაციებს, ბიზნესწრეებს, მსხვილი საწარმოების, კომპანიების, ბანკების, სხვადასხვა კომერციული სტრუქტურების ხელმძღვანელებს თავი შეიკავონ ათასგვარი საეჭვო მხატვრული ღირებულების გამოცემების დაფინანსებისგან და თუნდაც ნაწილი ამ თანხისა ფონდის ანგარიშზე გადარიცხონ, რომ მისი განკარგვა კომპეტენტური კომისიის საშუალებით მოხდეს, ღირსეული ლიტერატურული პროდუქციის გამოსაცემად.

საწყის ეტაპზე რამდენიმე წლის განმავლობაში ფონდს სახელმწიფოს დახმარების გარეშე მუშაობა გაუჭირდება, მაგრამ დროთა განმავლობაში ფონდი ფინანსურად დამოუკიდებელი ორგანიზაცია უნდა გახდეს. ამის მიღწევა შესაძლებელია თუ ფონდის ანგარიშზე გადარიცხონ, რომ მისი განკარგვა კომპეტენტური კომისიის საშუალებით მოხდეს ღირსეული ლიტერატურული პროდუქციის გამოსაცემად.

საწყის ეტაპზე რამდენიმე წლის განმავლობაში ფონდს სახელმწიფოს დახმარების გარეშე მუშაობა გაუჭირდება, მაგრამ დროთა განმავლობაში ფონდი ფინანსურად დამოუკიდებელი ორგანიზაცია უნდა გახდეს. ამის მიღწევა შესაძლებელია თუ ფონდში იმუშავებენ კომპეტენტური ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ აამოქმედონ სათანადო კომერციული და ფინანსური ბერკეტები, ააღორძინონ ისეთი მივიწყებული ფორმები, რომელბიც კარგად იყო აპრობირებული თუნდაც გასული საუკუნის ათიან წლებში: საავტორო ფასიანი შემოქმედებითი საღამოები, ბენეფისები, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციები და კონცერტები, საქველმოქმედო ღონისძიებები თავისი მრავალგვარი ფორმით.

ფონდის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს საგამომცემლო საქმიანობა, რომელიც სწორად გათვლილ საგამომცემლო პოლიტიკაზე უნდა აიგოს და კომერციულად მომგებიანი გამოცემებიდან მიღებული მოგების ნაწილი მოხმარდეს არაკომერციული, მაგრამ მაღალმხატვრული ნაწარმოებების გამოქვეყნებას, ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენას, საინტერესო მიმართულებების და პერსპექტიული ლიტერატურული პერიოდიკის მხარდაჭერას, საჰონორარო სახსრების შევსებას, მატერიალურად ხელმოკლე მწერლებისათვის დროული დახმარების გაწევას, სტიპენდიების, პენსიების და სხვა შემწეობების გაცემას.

მრავალი ქვეყნის გამოცდილებაზე დაყრდნობით, ფონდის საქმიანობის შემდგომი განვითარების და გაფართოების მიზნით, ფონდის საქმიანობა არ უნდა იბეგრებოდეს. არ უნდა იბეგრებოდეს, აგრეთვე, ის საქველმოქმედო თანხები და შემოწირულობები, რომლებითაც, ძირითადად, უნდა შეივსოს ფონდის ბიუჯეტი.

ფონდის ხელმძღვანელი ორგანოა ფონდის დირექტორატი.

ფონდთან იარსებებს სპეციალური კომისია, რომლებშიც შევლენ ცნობილი მწერლები და გამომცემლები.

დირექტორატი კომისიასთან ერთად განკარგავს ფონდის ბიუჯეტს, ადგენს და ამტკიცებს წლის სამუშაო გეგმას, განიხილავს შემოსულ პროექტებს და წინადადებებს, ამყარებს საქმიან კონტაქტებს სხვადასხვა სტრუქტურებთან, ბიზნესწრეებთან, ზრუნავს ფონდის ბიუჯეტში ფინანსების მოსაზიდად, ფონდის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაფართოებლად, განკარგავს ფონდის ბალანსზე არსებულ შენობა-ნაგებობებს.

პროექტის ავტორი:

ვახტანგ ხარჩილავა

(გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 2004 წელი)

ენის კვირეული

ენის დღესთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაზაზე არსებულმა საინიციატივო ჯგუფმა „თ ს უ – ლოგოსმა“ 15-21 აპრილს განახორციელა პროექტი „ენის კვირეული“, რომელიც მიზნად ისახავდა ენის ფენომენის გაშუქებას სხვადასხვა მეცნიერების თვალსაწიერიდან. პროექტი წარიმართა საჯარო ლექციების სახით. ლექციებს კითხულობდნენ როგორც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, ისე მოწვეული ლექტორები. სტუდენტებს მიეცათ საშუალება, ჩართულიყვნენ ენის კვირეულში და დარეგისტრირებულიყვნენ კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. საჯარო ლექციები წაიკითხეს პროფესორებმა: თინათინ ბოლქვაძემ (სოციალურ ფაქტად გარდაქმნილი ენა; როგორ იქცევა ყოფითი ენა ხელოვნების ფაქტად), ედიშერ ჭელიძემ („პირველითგან იყო სიტყუა“...), დამანა მელიქიშვილმა („ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების“... – ქართული ენის განვითარების პერიპეტიები); გიორგი ბარამიძემ (ენა როგორც ყოფიერების სახლი), აკაკი ყულიჯანიშვილმა (ენა – ესთეტიკური მსოფლმხედველობა).

ყოველი ლექციის დასასრულს მონაწილეები ერთვებოდნენ დებატებში და იღებდნენ პასუხებს მათთვის საინტერესო კითხვებზე.

აქტიური მონაწილეებისათვის კვირეულის დასასრულს შედგა გასვლითი ტური საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში ესეებისა და მხატვრული პროზის კონკურსის მონაწილეთა თანხლებით. პროექტის ორგანიზატორებმა (ნინო აფციაური, ლექსო დორეული, ნათია შერბაკოვა, ლელა ლემონჯავა, ნათია ახალაია, მალხაზ არჩვაძე, მარი სიმონიშვილი) გამოავლინეს სამი საუკეთესო ნაშრომის ავტორი. კონკურსის საფუძველზე მიღებული შედეგები საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. კომისიამ იხელმძღვანელა კრიტერიუმებით, რომლებიც გულისხმობდა ტექსტების თემატიკასთან შესაბამისობას, მსჯელობის თანამიმდევრობასა და პრობლემის ორიგინალურ, ნოვატორულ ხედვას. გამარჯვებული ნამუშევრების გაცნობის საშუალება ქვემოთ მოცემული ტექსტების მეშვეობით ეძლევა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველს.

საინიციატივო ჯგუფი „თ ს უ – ლოგოსი“ მადლობას უხდის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ დარეჯან თვალთვაძეს, პროექტში მონაწილე ყველა პროფესორს და ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორს, ბატონ ანდრო ბედუკაძეს, თანადგომისათვის და საზოგადოებას სამომავლოდ არაერთ საინტერესო პროექტს ჰპირდება!

„თსუ - ლოგოსის“ ხელმძღვანელი,
ნინო აფციაური

I ადგილი – ნიკოლოზ აგლაძე

ენა, როგორც მაქციო

რომანში - „მაქციას წმინდა წიგნი” - ვიქტორ პელევინი აღწერს არსებას, სახელად ა ხულს, რომელიც უხსოვარ დროს იშვა. გარეგნულად ის ჩვიდმეტი წლის მოზარდს ჰგავს და ჟამთა ცვლას ამ იერში კორექტივები ვერ შეაქვს. სამაგიეროდ, 40-50 წელიწადში ერთხელ ამ არსების სული იცვლება და ის ემსგავსება ამგვარი გარეგნობის მქონე ადამიანის სულის შესახებ საზოგადოებრივ აზრს. იქმნება სამი მოცემულობა: ა ხული რეალური, ჭეშმარიტი; ა ხული გარეგნული; ა ხულის არსება კონკრეტულ მომენტში. რეალურ ა ხულის არ გააჩნია გამოვლინება - არც გარეგნული და არც შინაგანი. ის არსებობს კონკრეტული მომენტის ა ხულის მეხსიერებაში, მაგრამ არა აქტიურად, არამედ ისე, როგორც დიდი ხნის დავიწყებული ამბავი.

ენის წარმოშობის შესახებ თეორიებს წამყვანი უნივერსიტეტები რომ არ იღებენ და არც განიხილავენ, ცნობილი ამბავია და შარშანდელ კი არა, შარშანწინდელ გაზეთში იმის წინანდელიდან იყო გადმობეჭდილი. ეს მეცნიერების კონკრეტული მდგომარეობის ასახვაა - არც ისე მშვენიერი წამი, კაცმა რომ თქვას. აი, დამწერლობა კი, როგორც საქვეყნოდ ცნობილია, ერთმა ძველ შუამდინარეთში მოსულმა ხალხმა შექმნა: თიხის ფირფიტებზე უმნიშვნელოვანესი საგნები დახატა და თითოეულ გამოსახულებას სახელი შეურჩია. ამ ხალხის წყალობით შეგვიძლია დღეს წარვმართოთ ჩვენი მსჯელობა, რადგან ხუთიოდე ათასი წლის მასალა მოგვეპოვება ენის შესახებ. ხარვეზიანი, საკამათო მონაცემები, მაგრამ მაინც ინფორმაცია: სამეურნეო დოკუმენტები, ტრაქტატები, მეფეთა სიები; შუმერთა შთამომავლების, საქმის გამგრძელებლების წყალობით - წიგნები, უკვე ანბანური დამწერლობით ჩაწერილი და ზოგჯერ, თუ კარგად იქცევიან, ინტერნეტში ატვირთული.

ამ ღამის ბაბილონის ბიბლიოთეკის საშუალებით შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ენის მოუხელთებლობის, მაქციობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას. ენა, რომლის შექმნის დროსა და ადგილზე ფიქრიც კი აგვეკრძალა (აგერ, ვარღვევთ ამ ტაბუს, რა გაეწყობა...), დიდი ხნის განმავლობაში იმდენად იყო თავისუფალი, რამდენადაც მასზე მეტყველი ჯოგი ამის საშუალებას აძლევდა. ჯოგი, მომიტევოს პირველყოფილმა საზოგადოებამ ეს ტერმინი, კი ბევრის, თითქმის ყველაფრის უფლებას აძლევდა მათ. ჯოგი იყოფოდა, მოუხერხებლად წარმოთქმული სიტყვები უფრო და უფრო განსხვავებული ხდებოდა. ერთმა ტურტლიანმა წვეროსანმა იმდენი ქნა, ხის ჯოხი თავისი სხეულის ერთ ნაწილს მიამსგავსა და ამ უკანასკნელმაც მიიღო თავისი სახელი. მერე ჯოგი განვითარდა, ბევრი ახალი სიტყვა შექმნა, ხვნათესვა დაიწყო, ერთ ადგილას დასახლდა და ერთხელაც წვიმისაგან დასველებულ თიხაზე სხვა, არანაკლებ ტურტლიანმა წვეროსანმა ჯოხი დახატა. მეორეს გაეცინა: ”რომელი, რომელი ჯოხიო?”

ენას გაუჭირდა. სიტყვები ფირფიტებზე საოცარი სიჩქარით იწერებოდა. ბავშვებს სკოლაში უკვე სუფთა წვეროსნები ამ დაწერილი სიტყვების ამოკითხვასა და სწორად წარმოთქმას ასწავლიდნენ. მოვიდა დრო და ენას შეეშინდა... შეეშინდა მოხელეთების, დაჭერის, თიხის ფირფიტაზე დატყვევების, თუმცა მას იგივე ჯოხი დაეხმარა, რომელმაც კინაღამ დაღუპა. დაეხმარა მეორე წვეროსანიც, ის რომ ვერ გაურკვევია, პირველმა რა ჯოხი იგულისხმა. მიხვდა ენა, რომ მაქციობისათვის საჭირო არ იყო სახის შეცვლა, სულის დროდადრო გამოცვლა, განახლება სავსებით საკმარისი აღმოჩნდა.

თუმცა, მოდით პელევინს დავუბრუნდეთ და ჩვენი სახუმარო, ისტორიულ-იუმორისტული ექსკურსი შევწყვიტოთ. მისი პერსონაჟი მაქცია, ჩემი აზრით, ენის რაობას, არსს ძალიან კარგად გამოხატავს. იქ, სადაც საშუალება აქვს, ენა სახეს იცვლის და გარეგნულად, გნებავთ, ფორმალურად სხვაგვარი ხდება. მაგრამ ზოგან, ზოგიერთ ბრწყინვალე, რაციონალურად და კრიტიკულად მოაზროვნე გონებაში კარნავალი არ გამოსდის და მისი პლასტიკური ქირურგიაც უძლური აღმოჩნდება ხოლმე. მაშინ ენა პოლიტიკას იცვლის; მორიგე ღიმილითა და დახვეწილი იერით წარუდგება თავის ბატონს და, ვაი იმას, ვისაც ეს მოჩვენება, ლანდი, აჩრდილი მოატყუებს. არც ერთი განდეგილი არც ერთ ეპოქაში არ შემცდარა ისე, როგორც ის საცოდავი, ენის სულს გარეგნობით რომ აფასებს. ენის ვითომ სულის ვითომ ბნელ ხვეულებში მიძინებული ქიმერები ისე აურევენ თავგზას, როგორც ერთი ალჟირელის ნაწერები - მოუმზადებელ მკითხველს.

ფერდინანდ დე სოსიურისა და ემილ ბენვენისტის ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთშემავსებელი კონცეფციები მაინც, ალბათ, ერთ მნიშვნელოვან შეცდომას უშვებენ: სინქრონიასა და დიაქრონიაშიც, ენის ერთი შრისა და სხვადასხვა დონის განხილვისასაც ისინი არ ითვალისწინებენ, რომ ენის საწყისი მდგომარეობა, ჭეშმარიტი სული პელევინის მაქციისა, თუმც მეხსიერებაში მიყუჩებული, მაგრამ მაინც არსებობს და მოქმედებს. აქ ჩემი ოპონენტები ხელს აღმართავენ და ენის შესახებ თეოლოგთა მოსაზრებაზე მიმითითებენ, თითქოს ჩემი მსჯელობა ბოლოს მაინც საკრალურ პირველ-ენასთან, პირველ-სიტყვასთან მიდიოდეს. სიხარული ნაადრევი და გადაჭარბებულია. ენის ყველა მდგომარეობა მის მეხსიერებაში რჩება და ეს არა მხოლოდ გარეგნულ ფაქტორებზე, ბგერით თუ გრაფიკულ გამოვლინებებზე აისახება. ბევრად სახიფათოა იმ მნიშვნელობათა სიმრავლე, იმ ინტერპრეტაციათა მრავალგვარობა, რომლებიც ერთ ფორმალურ მდგომარეობას შეიძლება ჰქონდეს. ენის მაქცია, მაქცია ენა, დღემდე ცოცხალია, საღსალამათი, თავის სახეს უტიფრად გვიჩვენებს და ყველა იმ მნიშვნელობას გვახსენებს, რომლებიც მის ნაკვთებს შეიძლება ჰქონდეს. ხმამაღლა იმის ღაღადი, თითქოს ენა მხოლოდ ენაა, რითაც წინა საუკუნის დასაწყისში ერთი გერმანელი გაერთო, არაფერს გვარგებს. ამგვარი განცხადება, პირიქით, წამით დაგვაეჭვებს, თუ რომელ ენაზეა საუბარი და ყველა იმ სახელს, ფაქტსა და განცდას გაგვახსენებს, რომლებსაც ეს თვალთმაქცი არსება ჩვენში აღძრავს. მეტიც, იმ ფიქრების, შიშებისა და აზრების აჩრდილებს აამოძრავებს, რომლებიც მის წინა ვითომ-სულებთან, სიმულაკრულ მდგომარეობებთანა არიან დაკავშირებული. კონტურები ერთმანეთს გადაფარავს და მავანი ვერასდროს მიხვდება, ის ბრძენია, პეპლად ყოფნა რომ დაესიზმრა, თუ ის პეპელა, ბრძენკაცობა რომ ეზმანება.

II ადგილი – გიორგი ფირცხალაიშვილი

●

გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოს აბსურდია ერქვა და როგორც ქვეყანა, ასევე მისი მოსახლეობა ამ სახელწოდების შინაარსს სრულად თანხვდებოდა, მსოფლიომ ენის აკრძალვასთან დაკავშირებული კანონი აბსოლუტური გულგრილობით მიიღო. მეტიც, მთელი მსოფლიოს მასშტაბით მხოლოდ ყვითელ პრესაში და ისიც ძალიან მოკლედ აცნობეს საზოგადოებას იმის შესახებ, რომ აბსურდიაში ენა და მისი გამოყენების ყოველგვარი მცდელობა კანონით აიკრძალა და ითვალისწინებდა სასჯელის უმაღლეს ზომას – სიკვდილით დასჯას.

აკრძალვის თავდაპირველი ინიციატორები საკმაოდ ბანალური აზრით გამოვიდნენ ენის წინააღმდეგ და, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდნენ ასეთ რეზონანსსა და მის შემდგომ განვითარება-განხორციელებას თითქმის სრულიად უბრძოლველად. ისინი განიხილავდნენ ენას, როგორც ყველაზე საშიშ და გამაბრუებელ-ნარკოტიკულ ნივთიერებას, რომელიც საყოველთაო საფრთხის და, ამასთან, უბედურების მთავარი მატარებელი იყო. ზუსტად ასე, ნარკოტიკულ ნივთიერებად მოიხსენიებდნენ და არამც და არამც რაიმე სხვა, უფრო შესაფერისი სიტყვათშეთანხმებით. მათი ლიდერი ამბობდა: „ენას იამაიკურ მარიხუანაზე, ჩინურ ოპიუმზე ბევრად უფრო ეფექტურად შეუძლია ადამიანის დაბოლება. არა მხოლოდ დაბოლება, არამედ უწყვეტ კაიფში ჩატოვება. ის კაცობრიობის ჩასახვის დღიდან არის მიზეზი ადამიანების მარადიულ ილუზორულ ყუთში გამოკეტვისა“. ერთ-ერთ უმთავრეს არგუმენტად სახელდებოდა ის, რომ მასების უდიდესი ნაწილი, მართალია, გაუცნობიერებლად, თუმცა მაინც, ზემოხსენებულის ცოცხალი დადასტურებაა. შემდგომში ეს აზრი არა მხოლოდ მასების უდიდეს ნაწილზე, არამედ მთელ კაცობრიობაზე გავრცელდა; იმათი ჩათვლითაც, ვინც ამ შეხედულების რადიკალური დამცველი და მომხრე იყო. ენა ამ დროიდან აღიქმებოდა უკონკურენტო მექანიზმად, რომელიც საუბრით, ჟესტებით და კიდევ სხვა უამრავი ნიშნით გადადის და რისი წყალობითაც საკუთარი ნებითვე ვიქციეთ თავი ზომბებად და მანიპულირებად არსებებად, რომლებიც ენობრივი ჩარჩოების მონობაში ვიმყოფებით.

ამ თემაზე დისკუსიის პროცესში ზოგიერთი ენას განიხილავდა, როგორც აუცილებელ ფსიქოტროპულ პრეპარატს, რომელიც სავალდებულო იყო ადამიანისათვის, რადგან ფსიქიკური აშლილობა მის თანდაყოლილ ბუნებას წარმოადგენდა. მოთხოვნას, რომ ენა კანონით უნდა აკრძალულიყო, სერიოზული ოპონირება და წინააღმდეგობა არ მოჰყოლია, რასაც განაპირობებდა ისიც, რომ აბსურდიის უდიდესი ნაწილი ერთი იდეოლოგიური ველიდან საზრდოობდა, სადაც საზოგადოება არც მემარცხენე-მემარჯვენეებად იყოფოდა, არც რელიგიური და საერთოდ არანაირი ნიშნით არ განსხვავდებოდა დანარჩენი ნაწილისაგან, რა თქმა უნდა, უმნიშვნელო, ცალკეულ პერსონალურ გადახრებსა და გრადაციებს თუ არ ჩავთვლით. ქვეყანაში გამოჩნდნენ ისეთებიც, ვინც წამოყენებულ მოთხოვნას კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ, თუმცა სიტყვა „აბსურდის“ გამოყენებას მომავალ კანონთან მიმართებაში თითოეული მათგანი ერიდებოდა. საბოლოოდ, ისინი დისიდენტების მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და კანონის მიღებამდე რამდენიმე დღით ადრე გაიხიზნენ ქვეყნიდან.

სახელმწიფო აპარატში არავის ჰქონდა წარმოდგენა, კომუნიკაციის რა ალტერნატიულ მოდელს გამოიყენებდნენ და რით იქნებოდა ეს უკანასკნელი განსხვავებული იმისგან, რის აკრძალვასაც აპირებდნენ.

კანონის მიღებას არავითარი აღნიშვნა და სხვა მსგავსი პროცედურები არ მოჰყოლია. სასწრაფოდ გაუქმდა ციფრული, ბეჭდური მედიასაშუალებები, ბიბლიოთეკები და სხვა ყველაფერი, რაც ენის მცირედ თუ ფართო გამოვლინებას ემსახურებოდა, თუმცა ირონია მდგომარეობდა იმაში, რომ საკითხის როგორც თავდაპირველი წამოჭრა, ასევე მის შესახებ დისკუსია სწორედ ენის მეშვეობით მიმდინარეობდა. საბოლოოდ მიიღეს კანონი, რომელიც თავის თავშივე ატარებდა წინააღმდეგობას, რადგანაც რის აკრძალვასაც ემსახურებოდა იგი, იმავე მეთოდით იყო გადმოცემული და განხორციელებული.

აბსურდიაში, როგორც სხვა ნებისმიერი, ისე ჩემი ტექსტიც აკრძალულია. შუა საუკუნეების-დროინდელი კანონიკური აკრძალვები ზემოხსენებულ აკრძალვასთან მიმართებით ძალიან მიამიტური და გულუბრყვილო ჩანს ისევე, როგორც ჩემი სურვილი, რომ ოდესმე რკინის ფარდა გაიღოს ან ჩამოიხეს და ტექსტებმა მთელი თავიანთი სისრულით შეაღწიონ ადამიანთა გონებაში...

ჩემ მიერ მოთხრობილ სახელმწიფოში არაერთი საზღვაო საკურორტო ქალაქია. კანონის მიღების პერიოდში საზღვაო სეზონი დასასრულს უახლოვდებოდა. აბსი და მისი მეუღლე ურდა წყალში ჩავიდნენ. მკითხველმა მომიტევოს, მაგრამ ფინალის ცოტაოდენი დრამატიზმისთვის აუცილებელია, რომ აბსიმ და ურდამ ცურვა არ იცოდნენ. შესაბამისად, თითქმის დაუფიქრებლად, სწორედ ასეთი წყვილი შევარჩიე. მოულოდნელად აბსი მორევში ჩავარდა და ხრჩობა დაიწყო. ნახევარწუთიანი დუმილის შემდეგ აბსიმ ველარ გაუძლო და დაიყვირა: „მიშველეთ“! „ჩუმად, ენის გამოყენება არალეგალურია!“ – წამოიძახა ურდამ და მაშინვე პირზე ხელი აიფარა. ურდამ შეშინებულმა მიმოიხედა.

III ადგილი – ელენე ქადაგიშვილი

ენის ფენომენი ადამიანის ცხოვრებაში

ესსეს ვიწყებ ძალიან ბანალური, უკვე ბევრჯერ დასმული რიტორიკული შეკითხვით: რა არის ენა? არც მაშინ ვიქნები ორიგინალური, თუკი ვიტყვი, რომ ამაზე ბევრი მიფიქრია, ბევრი მოსაზრება წამიკითხავს, მომისმენია, თუმცა, ვერ იქნა და ვერ მოვუყარე თავი საბოლოოდ ამ მოსაზრებებს... რა თქმა უნდა, გონებაში ბევრი ფიქრი მიტრიალებს, მაგრამ ეს ფიქრები სიტყვებში ვერაფრით ვერ მომიქცევია და ვერ დამირქმევია მათთვის ერთი კონკრეტული სახელი.

აი, „ენის კვირეულიც“ დამთავრდა; მოვისმინე ჩემთვის ძალიან ავტორიტეტული ლექტორების მოსაზრებები ენის თაობაზე. ახლა უნდა დავწერო ესსე, მაგრამ ისევ მიჭირს ჩემი დამოკიდებულების გამოხატვა, ჩემი მოსაზრებების ჩამოყალიბება.

ნათქვამია, რომ ენა ხალხის სულია და თუ გინდა კარგად შეისწავლო ესა თუ ის ერი, უნდა შეისწავლო ამ ხალხის ენა. გერმანელი მეცნიერი ჰუმბოლდტი კი ასეთ განმარტებას გვაძლევს: „სხვადასხვა ენა- სხვადასხვა მსოფლმხედველობა“. უფრო მეტიც, აი, როგორ განგვიმარტავს ფილოსოფოსების ერთი ნაწილი ადამიანის მნიშვნელობას: „ადამიანი არის მეტყველი არსება, რომელსაც შეუძლია ამბის მოყოლა“. ადამიანი არის ენობრივი არსება. თუ დავაკვირდებით, არ გაგვიჭირდება იმის მიხვედრა, თუ რამხელა მნიშვნელობა ენიჭება „ადამიანობის“ განსაზღვრებაში ენას. რა თქმა უნდა, ადამიანი ყველა სხვა ცოცხალი არსებისაგან მხოლოდ იმით არ განსხვავდება, რომ მას შეუძლია მეტყველება. პირველი განმასხვავებელი ნიშანი ადამიანსა და სხვა ცოცხალ ორგანიზმებს შორის არის ის, რომ ადამიანს შეუძლია აზროვნება. მაგრამ ეს ერთი ძირითადი მახასიათებელია და მეორე კი ისაა, რომ ადამიანს შეუძლია, გადმოსცეს საკუთარი აზრები, დამოკიდებულებები და შეხედულებები ამა თუ იმ მოვლენის მიმართ.

გერმანელი ფილოსოფოსი ჰერდერი ენის ამგვარ განმარტებას იძლევა: „ინდივიდის ენა არის ინდივიდის ბიოგრაფია, ერის ენა კი ერის ბიოგრაფიაა; ყველა ინფორმაცია ამოიცნობა ენაში“. მართლაც, ხომ შეგვიძლია, გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ ადამიანზე იმის მიხედვით, თუ რა ენაზე ან როგორ მეტყველებს იგი. ის, თუ რა ენაზე მეტყველებს ადამიანი, უკვე გვაძლევს გარკვეულ ინფორმაციას; მისი მეტყველების რაგვარობას კი, ვფიქრობ, გადამწყვეტი როლი ენიჭება მის შესახებ გარკვეული შეხედულების ჩამოყალიბებისათვის.

ენა ნიშანთა სისტემაა, მაგრამ იგი არ დაიყვანება მხოლოდ ნიშნებზე. შეგვიძლია ჩავწეროთ ესა თუ ის ლექსიკური ერთეული, როგორც ხმოვნებისა და თანხმოვნების მიმდევრობა, მაგრამ რა ვუყოთ იმ ინფორმაციას, რომელსაც ეს სიტყვა გვაწვდის ნიშნების უბრალო ჩამონათვალს იქეთ?! მაგალითად ავიღოთ სიტყვა „თავისუფალი“. არის კი შესაძლებელი, მხოლოდ CVCVCVCVCV მიმდევრობით მისი წარმოდგენის შემდეგ აღვიქვათ იგი სრულყოფილად?! რა თქმა უნდა, არა! იგი ბევრად უფრო მეტი ინფორმაციის შემცველია, ვინაიდან ამ მშრალი აღნიშვნების გარდა მოიცავს უმნიშვნელოვანეს შინაარსს, რომელშიც კონდენსირებულია ერის გარკვეული მსოფლმხედველობა.

ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, ჩვენ ვცხოვრობთ არა სამყაროში, არამედ ამ სამყაროს სურათში. და რა ქმნის სამყაროს სურათს? მას ქმნის ენა. ჩვენ, თითოეული ადამიანი, ამ სამყაროს შემადგენელი ნაწილები ვართ. რამდენი ადამიანიცაა, ვფიქრობ, იმდენივე სამყარო არსებობს და ეს სამყაროები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულნი არიან. მაგრამ როგორ გამოვხატავთ ჩვენ ჩვენს თავში არსებულ სამყაროს? გამოვხატავთ მას სიტყვების, ენის საშუალებით. ამასთან დაკავშირებით ერთ მოაზროვნე ადამიანს უთქვამს: „მე ჩემი ენის გარდა არაფერი გამაჩნია იმისთვის, რომ ჩავწვდე სამყაროს“.

როდის შეიქმნა ენა? როგორი იყო მისი ჩამოყალიბების პროცესი? რა იყო ის მეტაენა, რომელზეც ყველა ლაპარაკობდა? შეგვიძლია თუ არა მისი აღდგენა? ეს ის კითხვებია, რომლებზეც დანამდვილებით პასუხს ჯერჯერობით ვერავინ გაგვცემს. ამ კითხვებზე შეიძლება მხოლოდ საკუთარი მოსაზრება გქონდეს ადამიანს. ბუნებრივი ენა არ არის კონვენციური ანუ შეთანხმებითი და, როგორც პროფესორი აკაკი ყულიჯანიშვილი იტყოდა, განა ადამიანები ერთად დასხდნენ და მოილაპარაკეს, ამა თუ იმ საგნისთვის ესა თუ ის სახელი დაერქმიათ?! რა თქმა უნდა, არა! ენა ბევრად უფრო რთული ფენომენია.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მშობლიური „ენის კოდი“ ადამიანში დაბადებიდანვეა ჩადებული. ხშირ შემთხვევაში კი თვით ისეთი მაგალითიც ამოტივტივდება ხოლმე, რომელიც მიგვახვედრებს, რომ ქვეცნობიერში დალექილია არა მხოლოდ მშობლიური ენის მოცემულობა: ფსიქოლოგები მოგვითხრობენ გერმანიაში მომხდარ ისტორიას, როდესაც გონდაკარგულ პაციენტსა და ზედამხედველს შორის გერმანული საუბარი გამართულა; პაციენტი თურმე ლაპარაკობდა საკმაოდ დახვეწილი გერმანულით, ე.წ „ochdeutsch“-ით. როდესაც ავადმყოფი ნარკოზიდან გამოსულა, ზედამხედველს მისთვის კვლავ გერმანულად დაუწყია საუბარი, მაგრამ ქალს უნიშნებია, რომ არ ესმის. საბოლოოდ გაირკვა, რომ ამ ქალს ღრმა ბავშვობაში, როდესაც ჯერ კიდევ ნორმალურად არც კი ჰქონდა ადგმული ენა, ჰყოლია გერმანელი გადია.

კიდევ უფრო საინტერესოა ის ცნობა, რომ საზღვარგარეთ ნარკოზში მყოფი პაციენტი ალაპარაკებულა გაუგებარ ენაზე, რომელიც ჩაუწერია ექიმს. აღმოჩნდა, რომ ეს ენა იყო სანსკრიტი. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ სწორედ ამ ჩანაწერებიდან დაადასტურეს ორი სადავო ფორმის არსებობა ძველ ინდურში.

აღნიშნულთა გარდა არსებობს კიდევ უამრავი მაგალითი, რომლებიც ენის ამოუცნობ და ამოუწურავ ფენომენზე მოგვითხრობენ. ენა ძალიან აბსტრაქტულია. იგი თითქოს ყველაფერზე გვაწვდის ინფორმაციას, მაგრამ, ამავდროულად, ენაში არც შეიძლება ყველაფრის გამოხატვა. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, „ენა ყოფიერების სახლია“, ხოლო, პროფესორ გია ბარამიძის თქმით, „თუ ენა ყოფიერების სახლია, მაშინ ყოფიერება არასოდეს არ ყოფილა შინ“.

ერთი რამ კი ფაქტია: „ენა კულტურის არსებობის წესია“. კულტურა ვერ იარსებებს ენის გარეშე. ენა აუცილებელი კომპონენტია ერთი რომელიმე სოციუმის ერად ჩამოყალიბებისათვის. ყოველი ადამიანი ენის საშუალებით აღიქვამს სამყაროს და გამოხატავს საკუთარ შეხედულებებს, საკუთარ დამოკიდებულებებს. ამიტომაც კონკრეტული ენის ადეკვატურად გაგება გადამწყვეტი ფაქტორია ამა თუ იმ ხალხისათვის შესაბამისი ადგილის მისანიჭებლად მსოფლიო ცივილიზაციის კონტექსტში.

მურმან, მურმან, შენსა მზესა, ეგ კავშირი რა რიგია?!

„პოეტს ვერაფრით ვერ მოერევი! სხვას ერთი რამით მოკლავ, პოეტს მხოლოდ ატკენ, მაგრამ ეს ტკივილი მისთვის არაფერია. პირიქით, თავის სასარგებლოდ იყენებს, ამით მთელს ჩვენ ჭირ-ვარამს მისთვის მხოლოდ სარგებელი მოაქვს, ემსახურება, კვებავს, ჰკურნავს“.

იალმარ სედერბერგი

ბოლო ოცი წელია მავანი დაბეჯითებით გვიმტკიცებს, რომ ქართული კრიტიკა დამდორდა, ჩაკვდა, ჩაილურის წყალი დალია, რადგან მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს ავბედითი დუმილით გვერდს უქცევს და, ამდენად, მიკერძოებულად ასახავს. გამოუსწორებელი ოპტიმისტიც იძულებულია აღიაროს, რომ დუმილი ოქროა. ამ ძვირფას საუნჯეს, მოგეხსენებათ, გაფრთხილება სჭირდება. ამდენად, ცოცხლად დამარხულთა რიცხვის შთამბეჭდავი ზრდა „კანონზომიერია“.

ვიღაც კვლავ მაღალფარდოვნად შეიცხადებს: ქართული კრიტიკა მოკვდა! პილატესავით ხელებს დაიბანს (თუ კმაყოფილებით მოიფშვნეტს) და ნიცშეანური პათოსით დაბეგრილი ახალ მსხვერპლს გულმოდგინედ ჩაუსაფრდება, ხელსაყრელი შემთხვევისთანავე მასზე იერიში რომ მიიტანოს და დაუსრულებელი შეტაკებებით მოყირჭებულ საზოგადოებას „განუმეორებელი“ მასტერკლასი ყინჩი ქედმაღლობითა და ურა-ბოლშევიკური გნიასით ჩაუტაროს.

კონფორმისტების სარბიელზე დაკვეთით გასროლილ შუშხუნას იგივე ბედი მოელის, ოდესღაც ოსკარ უალდის თავმომწონე, ბაქია პერსონაჟმა რომ იწვნია. მის ფაფხურსა და მედიდურობას წარმატების ნაცვლად უსახელო ფიასკო ხვდა წილად.

მოკლედ, ღირსშესანიშნავი შუშხუნა ჰაერში თავდაჯერებულად აიჭრა, წამიერად ახმაურდა და საყოველთაო ზეიმის მოლოდინში ისე ჩაცხრა, მისი „გმირული“ აფეთქების ამბავი მხოლოდ თხრილთან მოსიერნე ბატმა შეიტყო, ეს იყო და ეს. „დიდ სენსაციაზე“ გათვლილი გეგმა ჩაიშალა. გამოჩენილი ინგლისელი მწერალი და მოაზროვნე შუშხუნას წრეგადასულ ამბიციურობას მრავალწახნაგოვანი სარკაზმით აღწერს. რა დასამალია და, ვინ არ შესწრებია კაცობრიობის ავანსცენაზე მობობოქრე ხელოვანების (ხარისხი აქ უმნიშვნელო როლს თამაშობს) ულაგამო აღტყინებას (ამბიციას), რომლის სათავის დადგენა-შეფასება ნოვატორულ აღმოჩენათა რიცხვს ნამდვილად არ განეკუთვნება. ამ თემის გაშლა ძირითად სათქმელს აგვაცდენს, ამიტომ უმჯობესია საღ აზრს წონიანი საბუთი დავურთოთ, თორემ ადლერის მიერ მიკვლეულ ძალაუფლების კომპლექსს „წვრილმანი“ პატივმოყვარეობის ნაირ-ნაირი გამოვლენები ისევე დაქსაქსავს და გაბუნდოვნებს, როგორც ქართული კრიტიკის სფეროში ნაძალადევად გავლებული სადემარკაციო ხაზის საეჭვო მიზეზები, მედროვეს მედროშეობის ჟინს რომ უღვივებს და გადააწყვეტინებს, სიყალბეს დაფდაფებით შეეგებოს, სხვის თვალში ბეწვი ეძიოს და დიდაქტიკური შინაარსის მიღმა ჩაგუბებულ ღვარძლსა და აგრესიას „ინტელექტუალური“ გასაქანი მისცეს.

მოკლედ, ზეკაცური ამბიციებით დამუხტულ კრიტიკოსზე რაიმე გსმენიათ? წესისამებრ, ამ ყაიდის კრიტიკოსი „ხელდამსხმელთა“ გარემოცვის ღვიძლი პირმშოა, ე. წ. შინაური ჯალათი, პრემიებისა და ჯილდოების დაწესება-გაცემის დარგის გამოწრთობილი, სანდო სპეციალისტი. მას „საეჭვო ელემენტების“ დაწიოკება აბარია და შავ სამუშაოს მუდამ მჩქეფარე ენთუზიაზმითა და შესაშური გულმოდგინებით ეკიდება.

და მაინც, ამბიციების სიჭარბისგან ვინაა დაზღვეული? მით უფრო, როდესაც ნაფიც კრიტიკოსზე მიდგება საქმე. იგი მხატვრული სრულყოფილების ძიების საბაბით მსხვერპლის შემოქმედებას ლეშივით ჯიჯგნის ეს „საპატიო ხელობა“ პროფესიად გაუხდია. მშობლიური ენისა და ლიტერატურის დანაგვიანების საფრთხე მხოლოდ „არასასურველ პირთან“ მიმართებაში აწუხებს და ახსენდება. აბა, ის გარემოება რა მოსატანია, ქართული მწერლობის სადარაჯოზე გოროზად აღმართულ სარანგს სანუკვარი ხმების მოსაგროვებლად ერთი განცხადების საფუძველზე კავშირში ფაცხა-ფუცხით შერეკილი 133 „ტვინიკოსი მწერლის“ მანდატი რომ გაუჩარხავს! გარჯას ნუ ვუკარგავთ, იოლი როდია ყბადაღებულ ორგანიზაციაში სახელდახელოდ გამწესებული „კოლეგების ნაღვაწი“ რეკორდულ დროში აითვისო და გრამატიკული სამანების მიღმა მოკიაფე „დაუვიწყარი ტექსტების“ მაღალმხატვრულობა კატეგორიული ტონით ამტკიცო. მას „გენიოსების“ დახარისხება და პრემიებით გამზითვება აბარია და ჩაწყობილთა კასტაში „ვიღაც უცხო მოყმე“ „ამბიციურად“ თუ გაბრწყინდა, მტრისას, ნაფიცი მსაჯულის კარიერა დასრულებულია! მან ურჩი მეამბოხე სათანდოდ უდა დაამუშაოს და შეაჩვენოს. თავისი პროფილი ამას ავალდებულებს და თუ სადამსჯელო ოპერაციას „ჩააგდებს“, უფროსობა პირადად გაუსწორდება.

ეს „შემთხვევით“ ცენზორი ძველი, „დალოცვილიდროის“ პროდუქტს ხომ არ გაგონებთ, ცოცხალი თავით საბჭოურ დემაგოგიას რომ არ ეშვება, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, იგი ნებისმიერ მსხვერპლს უფროსობის მითითების გარეშეც აღმაფრენით აუგებს წესს, რამეთუ „მოწინააღმდეგის“ დამიწება მოთხოვნილებად ქცევია და აზრადაც არ მოსდის, შეკვეთილ საქმეს ოდნავ ჰუმანურად მიუდგეს; კოლეგას, კრიჭაში ჩადგომის ნაცვლად, სიტყვას თუ არ შეაწევს, ჩასაქოლად მაინც არ გაამეტოს, ღირსეულად დადუმდეს ბოლოს და ბოლოს! ბ-ნი მურმან თავდიშვილის სტატია — „რთული პოეტის სიმარტივე“ ციკლიდან „ძალად მაცხონე პოეტები“ — მწერალთა კავშირში არსებული გაუსაძლისი ვითარების მკაფიო ილუსტრაციაა, იმ ხისტი, უსამართლო და ტენდენციური კურსის მაჩვენებელია, რამაც კავშირის მესვეურები კრახამდე მიიყვანა. საკუთარ წევრებთან უშეღავათო დაპირისპირებისა და ფინანსურ მაქინაციებში გართული ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი საქმიანობა სახეზეა. სანამ „ზემდგომი“ „ურჩ მეამბოხეებს“ ჩვეული სისასტიკით უსწორდებიან, კავშირში გაერთიანებულ 500-ზე მეტ კოლეგას პასუხის ღირსადაც არ თვლიან, განუმარტონ, მწერალთა სასახლის (და არა მარტო ამ შენობის) დაკარგვა რეალურად რამ განაპირობა, ორგანიზაციის კუთვნილი ქონება ვინ გაანიავა, საპირისპირო ბანაკებში გადანაწილებული მწერლები ერთმანეთს რა მიზეზით წაჰკიდა და ა. შ.

დაგროვილი პრობლემების გადაჭრის ნაცვლად, უფროსობა ვითარებას უარესად ძაბავს. შუღლის კერა არასდროს აღმოიფხვრება, თუ ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა. ასე რომ, ზემდგომთა წაქეზებით ხმალშემართული ბ-ნი თავდიშვილი წესით უნდა აცნობიერებდეს, რომ ახალ საომარ პოლიგონს მამათა და შვილთა ომის სახით გზას არ უნდა უხსნიდეს! ნაფიცი კრიტიკოსი მშობლიური ორგანიზაციის პრესტიჟს ოდნავ მაინც რომ უფრთხილდებოდეს, დივერსიას არ მიმართავდა და ჩეკისტური მანერით შეთხზულ „რეცენზიას“ არ ააფრიალებდა, საქმეში პრემიების მაგნიტურ ძალას არ ჩართავდა, რადგან კავშირის მესვეურების სიახლოვეს სიმართლე არ ჰგიებს და ამას ვერც ცინიკური „აფორიზმებით“ აღმოაცენებ და, მით უფრო, ვერც გაყალბებული სტრიქონებით მიისაკუთრებ!

ამდენად, მრისხანე გრამატიკოსის კუნთების თამთამი უშედეგოა, რადგან ბრიყვსაც კი მოეხსენება, კავშირში ნებაყოფლობით არავის შემოქმედებას არ განიხილავენ და „ბრძნულ ტრაქტატებს“ ზედიზედ არ აცხობენ! მაშასადამე, ჩვენი ორგანიზაციის უფროსობას ცეცხლი ეკიდა, რომელსაც ადგილობრივი მეხანძრეების კი არა, „ელიტარული“ სპეცაღჭურვილობით შემკული სპეცრაზმელებიც ვერ ჩააქრობენ, რადგან ჯოჯოხეთურ გეენას მშვიდობიანი ჩაფერფვლა არ უწერია!

მოკლედ, „ურჩი მეამბოხე“ პოეტისა და კრიტიკოსის შემოქმედების განქიქება ზემოდან დაიგეგმა და, ბუნებრივია, ამ მძიმეწონიან დავალებას გამოცდილი კრიტიკოსი უნდა შესჭიდებოდა!

ჩვენში დარჩეს, მან „საგანგებო საქმეს“ ურიგოდ როდი გაართვა თავი! მიზანში ამოღებულ კოლეგას შესავალშივე დაუზოგავად ეკვეთა და ზომაზე მეტ ამბიციურობაში დასდო ბრალი. ამასთანავე, სოლიდური პრემიების კოლექციონერობა დაუწუნა, თითქოს თვითონ ხელმძღვანელობასთან ერთად გრიგოლ ხანძთელისეული თავმდაბლობითაა ცხებული და ჯილდო არასდროს აუღია! ბოლო დროს ჩვენში, თანამდებობებისა და პრივილეგიების გადანაწილების გარდა, ვინმე სხვა საქმით იყო დაკავებული? ვინც საყოველთაო აღებ-მიცემობას გაემიჯნა, უყოყმანოდ დაასაფლავეთ და ახლა ახალ თაობას რა უფლებით მოძღვრავთ და „ამხელთ“? თანაც, ჭეშმარიტებაზე დაყრდნობით სხვისი დიდების აწონა რაბინდრანათ თაგორის ციტატით რომ გამაგრეთ, დავიჯერო, მის გარდა სხვა ვერავინ „შეიამხანაგეთ?“

კავშირში ყველაფერი შერჩევითია: ალვარე იუნკე დამწყებ პროზაიკოსად გაამწესეს, მადლობა ღმერთს, თაგორი ამ ბედნიერებას „ვერ ეღირსა“!

გემოვნებიან მკითხველს თქვენეული „ლახანკის“ ფსკერი ნამდვილად ვერ მოხიბლავს, როცა შეიტყობს, რომ ახალგაზრდა კოლეგის ლექსები თვითნებურად გადააკეთეთ და კონტექსტიდან ამოგლეჯილი, დამახინჯებული სტრიქონები ბრტყელ-ბრტყელი გრამატიკული წიაღსვლებით „გაანალიზეთ“. ენობრივი ნორმების სკურპულოზური დაცვისკენ მოწოდება სასაცილოა, როცა თავად ტექსტს აყალბებ და უსამართლობასთან ხელჩაჭიდებულს კულტურტრეგარის კვერთხი არ გეთმობა! სხვისი შეცდომების აღნუსხვა მარტივი საქმეა, ნიშნის მოგება — მით უფრო. „სიყალბე ლექსში — ეს არის საფეთქელზე მიდებული დამბაჩა“, — კრიტიკოსის დასკვნა შეუვალია. მაინტერესებს, სიყალბესთან შეუთავსებლობა მხოლოდ პოეზიასთან მიმართებაში რომ გეძალებათ, მთელი ორგანიზაციის მასშტაბით ფესვგადგმულ სიცრუეს ასე მძაფრად რატომ არ განიცდით? ახალგაზრდა პოეტის დამუნათებას სანამ დააპირებთ, უმჯობესია ჰაჯი უსუბის მაგალითი გაიხსენოთ, თორემ პასუხისმგებლობის აცილება რომ კავშირის მესვეურთა სტილია, მრავალგზის დამტკიცდა, ხორხისმიერი ბგერების ხრიალისგან გამგეობის წევრებიც არ არიან დაზღვეული. საერთოდაც, ამგვარი ხილვები „პრინციპულ მსაჯულს“ არ შეშვენის. ვთქვათ, თქვენ მიერ დაწუნებული შემოქმედი ან ლექსი (ან ორივე ერთად) ზვიადაურივით გაკერპდა და ძალდატანებისას წამოსცდა: „ძაღლ იყოს თქვენ მკვდრისადა!“ — მაშინ რა გზას დაადგებით? დამბაჩისა და დანის ტრიალი უკვე მოძველდა. ფაქტია, კავშირმა გავლენის შესანარჩუნებლად უფრო ქმედითი იარაღი უნდა გამოძებნოს, თორემ უხერხულია სიმართლის მაძიებელ ახალგაზრდებს თქვენი შავი საქმეების ჩასაფარცხად ცივ-ცხელი თოფ-ხანჯალი გრამატიკული „დარღვევების“ გამო ხელში შეაჩეჩოთ. ვინ დაგიჯერებთ, რომ ოდენ მხატვრული სრულყოფილების ასაღორძინებლად ილტვით!

ძველი ვენდეტა ახალი ვარიაციით — გუნებაში გამიელვა ბ-ნი თავდიშვილის „სტატია“ ბოლომდე რომ ჩავიკითხე. წარსულ ამბავს თუ არ გავიხსენებთ, მკითხველი დაიბნევა და ირწმუნებს, რომ ჩვენს ნაფიც მსაჯულს მამათა და შვილთა ომის გაჩაღება ქართული პოეზიის, ზოგადად, ქართული ენის დაცვის მიზნით წამოუწყიაო.

წლების წინ, როდესაც მწერალთა კავშირიდან ბ-ნი რეზო მიშველაძე გარიცხეს, ბ-მა მურმან თავდიშვილმა თავის კოლეგას ერთგულება ერთობ მწიგნობრულად დაუდასტურა. კერძოდ, მან მეგობრის მითითებით გამგეობის წევრთა წიგნები განჩხრიკა და არასასურველი მტრების წინააღმდეგ მრისხანედ გაილაშქრა, იდეური მოქიშპეების შემოქმედება ჩვეული სიხისტით განაქიაქა.

მაშინ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ბ-ნი თამაზ წივწივაძე გახლდათ. რომ იტყვიან, შეხლა-შემოხლისას ქვა ქვაზე აღარ დარჩენილა. კავშირის რეფორმის საკითხი ყოველთვის მწვავედ იდგა და ჩვენი „მოკეთეები“ სასიკეთო განახლებას მუდამ აფერხებდნენ და ამუხრუჭებდნენ. ბუნებრივია, კავშირის ახლანდელ მესვეურთა შურისძიებას გამგეობის წევრები ვერ ასცდებოდნენ. ვინც ბატონი მიშველაძის გარიცხვას მხარი დაუჭირა, უმალ ნაფიცი მსაჯულის სამიზნედ იქცა. ბ-მა მურმან თავდიშვილმა დავალება პირნათლად შეასრულა და კოლეგის, ქ-ნი ლალი ჯაფარაშვილის პოეტური კრებული მიწასთან გაასწორა. სარკაზმი არ იკმარა და 20 წლით ადრე გამოცემული წიგნის თარიღი მიზანმიმართულად გააყალბა, აქაოდა, ავტორის შემოქმედებითი ზრდა „უნუგეშოა“ და მეც იძულებული ვარ მისი „სისუსტე“ საზოგადოებას ვამცნო! კომენტარი მართლაც ზედმეტია, როცა ანგარიშსწორებისას ყველა მეთოდს გასავალი აქვს და სიყალბეს სიმართლის იარლიყი მიეწებება! მკითხველისთვის ცხადია, რომ ნაფიცი კრიტიკოსის „განაჩენი“ უკუღმა უნდა შებრუნდეს და დაწუნებული ლექსები ობიექტურად შეფასდეს. სირცხვილია, ვენდეტას შესანიშნავი ლექსები გადააყოლო! ორმაგად სასირცხვო ამბავია, როდესაც კოლეგებს სამართლიანი მოთხოვნის გამო დაკვეთით „აშავებ“ და „ანადგურებ“. დროა, ამგვარ „კრიტიკას“ ბოლო მოეღოს! ჩეკისტური ილეთებით ფონს ვეღარვინ გავა. ბ-ნ თავდიშვილს ნამდვილად არ ვურჩევდი, ბესო ჟღენტის მოვალეობა საშვილიშვილოდ შეითავსოს, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, ამ უკანასკნელმა ქართულ მწერლობაში სახელი როგორ დაიმკვიდრა და ლიტერატურის ისტორიას რაგვარი „ღვაწლი“ დაამჩნია!

სხვის შეცდომებზე გაფაციცება და განგაშის ზარის შემოკვრა მოგებიანი კოზირია, თუმცა ბოლოს ყველაფერს ფარდა აეხდება ხოლმე და ერთჯერად წარმატებას სიმართლე აცამტვერებს. საბჭოურ ინერციას დიდი დღე აღარ უწერია. კავშირის მესვეურები ამ რეალობას სათანადოდ თუ არ გააცნობიერებენ და ახლებურად არ გადაეწყობიან (ეს უფრო მეცნიერული კომუნიზმის უტოპიური ხილვაა!), ნამდვილი ქართული მწერლობის მიღმა დარჩებიან და ამ მწარე სინამდვილეს დაკვეთით შესრულებული „რეცენზიების“ დახვავებით ვერ უსაშველებენ!

ბ-ნი თავდიშვილი ჩემი შემოქმედების შესწავლას თუ მოიწადინებს (მეც კავშირის წევრი ვარ და სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, ნათქვამია), უშურველად დავაკვალიანებ. თუმცა გული მეთანაღრება, ვაი და, იმ წერილებში ჩემი მისამართით გამოთქმული შეფასებები არ ესიამოვნოს და პატივცემული კოლეგების წინააღმდეგ ახალი ვენდეტა ჩაიფიქროს, გაყალბებული მასალის გარჩევა-ჩასწორებას რა აუვა! ლექსზე და, ზოგადად, მწერლობაზე ძალადობას რაც შეეხება (ბ-ნი მურმანი ამაში ოპონენტებს ადანაშაულებს) ამ თვალსაზრისით კავშირის მესვეურებს პირველობაში ვერავინ შეეცილება და ჰადესში მიმავალ უფროსობას მდინარე ლეთას მენავის მონეტებით მოსყიდვა ერთობ გაუძნელდება, რამეთუ დრონი მეფობენ და არა მეფენი!

იკა ქადაგიძე

საქართველო

აპრილის ხნულში
დედისიმედა გაზაფხული გამობაჩუნდა,
ყრმამ ერთადერთი სიტყვა იცოდა –
ხ ვ ა ლ –
და გზადაგზა ღუღუნებდა სიმღერასავით.

ხილვა

რემაში დაქრის ქურანი,
ცერად გაჰყურებს გზაშარას.
არ მიიკარებს უნაგირს,
არც მოოქროვილ ავშარას...

გადაუქროლებს ცხრა მინდორს,
არაგვის ფერად ნაპირებს...
ღმერთმა ავდარი არიდოს, –
ფრთები აქვს, ფრენას აპირებს!

ნატვრა

– ტიტებით გამონატირო,
საით მიდიხარ, აპრილო?

– სიმშვიდისაკენ მივდივარ,
ნამზეურ ბილიკს ვკიდივარ.

მსურს, იმედიან დარებით,
დავაშოშმინო ქარები,

სხივსიოს თრთოლა – თამაშით,
გავშალო ვაშლის მარმაში,

ქვეყნის გულზე რომ ავშავობს,
ის დარდი უნდა ავშალო

და აყვავებულ ბაღივით
ნეტარვყო ფიქრი დაღლილი!..

* * *

მე თქვენს ეზოში
გაზაფხულზე შემოვიარე,
გამოხმობას არ ჰქონდა აზრი,
რადგან ვიცოდი,
თქვენ ერთობოდით, ბატონო ჩემო!
დადგა თიბათვე, ფერიცვალება,
დამემშვიდობნენ წეროები.
როცა გაწვიმდა,
სახიდან ხელით ვირიდებდი
გაყინულ წვეთებს,
რომ ვინმეს
ცრემლი არ ჰგონებოდა.
ქარი რომ ჩადგა,
თოვლისწინა გაყუჩებამ მოიცვა არე,
სარკმელს იქით
მე თქვენ შეგნიშნეთ, –
საუფლო ტაბლას მიართმევდით
შემთხვევით სტუმრებს.
ამასობაში თოვდა და თოვდა,
ჩემი დაფარვა არ იყო ძნელი,
თოვლზემოთ დარჩა
მხოლოდ ჩაჩის
ცისფერი ბურთი,
ყვავილი თუ ეგონათ ბავშვებს, –
მე მომეყურა მათი სიმღერა,
– ო, გაზაფხულო!
სარკმლიდან, ალბათ,
თქვენც შენიშნეთ,
– რაღაცა მოხდა
და გამოხვედით,
გადასწიეთ ხორშაკი თოვლი
და დამინახეთ!..
ოდესმე, ალბათ, გაპატიებთ
მაგ შეცბუნებას,
რადგან, თქვენ
ცისფერ ყვავილს ელოდით,
ბავშვებმა კი მაშინვე მიცნეს,
სიცივისაგან გალურჯებულს
ჩამჭიდეს ხელი
და ჩაჩის ირგვლივ
მომატარეს სიმღერებით, –
ო, გაზაფხულო!
ახლა, მე, ისევ თქვენს წინ ვტრიალებ
ბავშვებთან ერთად,
თქვენ მაკვირდებით ხან მე,
ხანაც თოვლის სამარეს
და ალბათ, ფიქრობთ,
რამდენ საზრუნავს გაგიჩენთ
ჩემი წრესგადასული მიუსაფრობა!...
რას იზამთ,
უნდა შეეჩვიოთ,
ოღონდ, ეს მერე...
ჯერ მაკვირდებით,
ჯერ მაკვირდებით
და იქნებ მიცნოთ!

* * *

ვუძღვნი სამშობლოსთვის, სიმართლისთვის, მოყვასისთვის ყველა შეწირულს

ერთხელ ხომ უნდა შეაფხიზლო
ერი და ბერი, –
ერთხელ ხომ მაინც უნდა უთხრა
სიმართლე შენი!

ერთხელ ხომ უნდა დაიგრგვინო,
დაიმქუხარო,
ან დარდიანი ანუგეშო,
– ნუღარ სწუხარო!

ერთხელ ხომ უნდა გადაუდგე
ჯოგსა და ფარას,
დახუნძლულ ზვართან შეაჩერო,
– შეჩერდით, კმარა!

ერთხელ ხომ უნდა მოგიმართოს
ხელი უფალმა, –
თავაწეულმა გაიარო,
თავისუფალმა,

ერთხელ ხომ უნდა ასხმარტალდეს
სხივში ისხარი,
ერთხელაც უნდა დაიფიცო
დასაფიცარი,

ერთხელ ხომ უნდა შეიფერო
რჩეულთა ფერი
და მამულისთვის,
და სიმართლისთვის,
და მოყვასისთვის ბეწვზე დადო
სიცოცხლე შენი!

სიკეთე

– ხელში ამიყვანე! – სიკეთე მეხვეწება,
– მძიმე ხარ – მეთქი, – თვალს ვარიდებ,
– ამიყვანე! – მდუღარებას აფრქვევს სიკეთე,
მე მხოლოდ ვჩანვარ კუთხოვანი
და უხერხულად სატარებელი,
ხელს თუ შემახებ,
განათდება შენი სამყარო,
დამიჯერე და შემახე ხელი,
ერთი სული მაქვს ამოვავსო
ჩაბნელებულ კედელ-ყურეს სიცარიელე!
...-აი, ასე! – უკვე შენში ვარ, ადამიანო,
ბროწეულისფერ დარბაზების
ერთადერთი მბრძანებელი და მეპატრონე,
ნება-ნება მივირთმევ შენი გულის ნაჟურს,
ვხდები ულევი
და ვღიღინებ ჩემს უძველეს საგალობელს,
კარგად მისმინე:

ლალი ჯაფარაშვილი

მთაში მიწურია ერდოჩამოშლილი,
ბარში მოხუცია ხელებდაკოჟრილი,
ხნულში ნიკორაა ბედზე აღრენილი,
კვალში პატრონია სახრეაღერილი,
იქით ტაძარია ტრაპეზგაძარცული,
თავის პლანეტაზე ნაღვლობს უფლისწული...
შუქი ენატრებათ წმინდა კელაპტრისა,
კაცი კაცითაო, შენ კი ნეტარ ვისად?
შენ კი სხივად ვისად, სითბოდ ვისად მოხველ?
ვისთვის ამზეურებ სიხარულის ნოხებს?
– ადექ, გაემზადე, საკეთილოდ სხვისად,
შუქი ენატრებათ წმინდა კელაპტრისა!

მწუხარება

ძმის ხსოვნას

ჩემს ეზოკარს მოაკითხა მწუხარებამ,
ვაიმე!
ცხრა უღელი ხარი ება,
კევრი ჰქონდა გამობმული,
შავ კალოზე გულებს ლეწდა,
სისხლი ღვარად გადიოდა!...
კვალი დარჩა მწუხარებას
მომწვარი და მოჯეგილი!
გალახული სიხარული
მოკლე კაბას მისტიროდა,
მოთქვამდა და ზრიალებდა
ინგრეოდა მისი ოდა!..
გალეშილი მწუხარება,
ახლა, სხვაგან მიდიოდა!

* * *

გაჭვარტლულ ბუხარს
ჩამოჰყვა ოხვრა, –
ეს, შემოდგომის
შრიალი ისმის.
ტყეში, ფოთლების
ხატულა ნოხმა,
ხავერდოვანი
გადიკრა ნისლი.

ღრუბელმა შთანთქა
კაციც და მზეცა,
ბუნებამ ვეღარ
გაუძლო ამდენს
და შემოდგომის
მწუხარე ზეცამ,
პირი მოუხსნა
დაგროვილ დარდებს!

ნომენკლატურული დაბუაშვილი

ავტორი სულ არ უფიქრდება, რას წერს! ამ ქალბატონს ისე აფიქრებინებს **„როგორ გამხდარა“**-ო, თითქოს ის ადრე-ვე იცნობდა ამ გოგონას, რომელიც მაშინ თურმე გასუქებული და თვალგულმისასვლელად პირმშვენიერი ყოფილა, მაგრამ გარკვეული დროის, ანდა რაღაც მძიმე მოვლენების შემდეგ თვალშისაცემად ჩამომხმარა! მაგრამ რაკი ამ ქალბატონმა გოგონას პირველად ახლა დაჰკრა თვალი, როგორსაც დაინახავდა და აღიქვამდა, თავისთავად ცხადია, შეფასებაც შესაბამისი მოჰყვებოდა! მოკლედ, აქ ავტორს ამ ქალბატონისათვის უნდა ეთქმევინებინა არა **„როგორ გამხდარა“**, არამედ **„როგორი გამხდარია“** და მაშინ ყველაფერი ბუნებრივად გამოუვიდოდა! ანდა რანაირი ქართულია **„ამაში** გამცვალა?“ სწორია **„ამაზე** გამცვალა?“

მასპინძელ გოგონას არ კი სძინებია, თურმე ფილტვების ანთებისგან ვარვარებს. მალე აბოდდება კიდეც და კნავილით წყალს მოითხოვს. სტუმარ ქალბატონს დემონური აზრი უელვებს: მაგიდაზე დებული თერმომეტრის ვერცხლისწყალი წყლიან ჭიქაში ჩაურიოს და თავის გამამწარებელს სიცოცხლე მოუსწრაფოს! ჩანადენს ვინ გაუგებს, ვერავინ! მაგრამ!.. სამადლოდ ერთ ჭიქა წყალს კი მიაწვდის, თუმც მომაკვდავს მალევე მიატოვებს – ჩემგან რა შეწევნის ღირსიაო! ამიტომ ეს ქალბატონი **„სულმოუთქმელად დაეშვა კიბეებზე“**, ავლევის ქუჩიდან ლესელიძეზე ჩამოქანდა და თავისუფლების მოედნისკენ შემოემართა.

აქ კი ავტორი თავისი სქემატური სურვილისამებრ უეცრად „ჰუმანურ“ სასწაულს ახდენს.

„გიყვარდეს მტერი შენიო.. ვითარცა...“ – ჩასძახა კეთილმა ხმამ“.

მკითხველი მარილიან ღიმილს ვერ იკავებს, ვინაიდან ეს გოგონა ამ ქალბატონის არანაირი **მტერი** არ არის და არც შეიძლება ყოფილიყო. იგი ჯერ კიდევ პატარაობისას მიუტოვებიათ მშობლებს, უპატრონოთა თავშესაფარში აღუზრდიათ და თავის დედ-მამას არც კი იცნობს! ახლა რაც შეეხება „ქმრის წართმევას“.

ცხრა აპრილის ღამეს რუსთაველზე მიტინგის სისხლიანი დარბევისას გაზონებში შეყუჟული ეს გოგონა ვიღაც კაცს გადაურჩენია და გულმკერდზე ახუტებული მოუყვანია ამ პატარა ნაქირავებ ხუხულაში. თავის გადამრჩენელი „რაინდი“ ამ გოგონას რაკი თავდავიწყებამდე მოსწონებია, სულწასულმა ავტორმაც საქმე აღარ გააჯანჯლა და იმავე ღამით ორივეს ბაგა-ბაღის აღსაზრდელებივით ერთ ლოგინში უკრა თავი!!! ეს ცრუკაცი თავისი პრესტიჟის შესანარჩუნებლად კანონიერ მეუღლესთანაც გამოჩნდება ხოლმე (არადა, გიკვირთ – ამისთანას 9 აპრილის მიტინგზე რა ესაქმებოდა?!), უმეტესწილად კი ამ ქორფა საყვარელთან ნებივრობს!..

პირველ დღესა და შემდეგ დღეებშიც ანთებიან გოგონას მოულოდნელად გამოცხადებული ეს უცხო ქალბატონი ხან თავისი უცნობი, საზიზღარი დედა ჰგონია, ხანაც ამ საეჭვო სახლს ახლად თავშემოფარებული კეთილი როსკიპი.

აი, სულ ეს არის ამ უცნობი ქალბატონისადმი მისი **„მტრობა“**, რაც დილეტანტი პროზაიკოსის გრაფომანული ფანტაზიის ნაყოფია!..

გოგონა ბოლოს რომ შეიტყობს, ეს ქალბატონი თურმე **„იმ“** კაცის კანონიერი მეუღლეა, ხოლო თვითონ „რაინდი“, როგორც მას ეგონა, მართლა აფხაზეთის ომში კი არ იბრძვის, არამედ კახეთის რაიონების ღვინის ქარხნებს სარევიზიოდ უვლის და უზრუნველად დაქეიფობს, ამ თავის ნაქირავებ სოროს ცივად მიატოვებს და უნიშანგებოდ გადაიქაჯება...

* * *

ერთი სიტყვით, სპეკულაციური „ჰუმანიზმით“ გატაცებული ავტორი ნამდვილ „მხატვრულ“ სასწაულებს ახდენს: მოულოდნელად სინდისგაღვიძებული ეს ქალბატონი ტელეფონით სასწრაფო დახმარების სამსახურს სიცხიანი გოგონას მისამართს ჩააწერინებს და იქვე ალახმალახ გადაწყვეტს, თვითონაც ისევ უპატრონო მომაკვდავის მისახედად გაფრინდეს! ამიტომ თავისუფლების მოედანზე ტაქსის დაჭერას შეეცდება, მაგრამ იღბალი არ გინდათ?!

„როდის გავა ეს რიგი?!. – გაიფიქრა გაბრაზებით (რა შუაშია აქ გაბრაზება – მსგავს ვითარებაში უფრო ზედგამოჭრილი სიტყვა უნდა დაძებნილიყო! ჯ. მ.), – ჯობდა, ავტობუსს გავყოლოდი, **ჩემს აქ დგომაში უკვე მესამემ ჩაიარა“**.

ჯერ საერთოდ, და მით უმეტეს, მწერალთა კავშირის თავმჯდომარისთვის უხერხულია ამგვარი ჩიქორთულობა – სად ნასწავლი ქართულია ეს **„ჩემს აქ დგომაში უკვე მესამემ ჩაიარა“**.

თუმც წინ უარესი გველოდება.

„ქალმა რიგი მიატოვა, (აქ მძიმე კი არა, წერტილი უნდოდა. ჯ. მ), ჯერ **ნელი ნაბიჯით** წავიდა ავლევის ქუჩისკენ, მერე **ნაბიჯს აუჩქარა. ბოლოს თითქმის აუჩქარა. ბოლოს თითქმის მირბოდა“**.

აქ უკვე ძნელი გასარკვევია, წერისას ავტორს უეცარმა ძილმორევამ შეუსუსტა აზროვნების უნარი თუ მართლა ასე სწამს: ამგვარი აბდაუბდით მხატვრული პროზა მოიქსოვება?! რაღას იძლევა ეს **„ბოლოს თითქმის აუჩქარა“**, როცა მანამდე აგერ, უკვე დაგვაკვალიანა - **„მერე ნაბიჯს აუჩქარა“**-ო?! ჰოდა, ამ ქალმა თუკი უკვე **„ნაბიჯს აუჩქარა“**, მერე აწ უკვე აჩქარებულ ნაბიჯს **„თითქმის“** როგორღა უნდა აუჩქაროს?! აქ ეს უაზროდ ჩაჩურთული **„თითქმის“** ნაბიჯს კი არ აჩქარებს, არამედ პერსონაჟის მოძრაობის ბუნებრიობას თავდაყირა ატრიალებს და გასავათებულ მკითხველს გრაფომანულ ტლაპოში ნესტოებამდე ძირავს!

ან ეს რაღა უბედურებაა, ერთმანეთს ბეცურად მიყოლებული **„ბოლოს თითქმის... ბოლოს თითქმის?!“** სად არი აზრი, ლოგიკა, მხატვრულობა ანდა მკითხველი საზოგადოების წინაშე სავალდებულო პასუხისმგებლობა?!

აქ უნებლიეთ გახსენდება ზოგიერთი ტელეგადაცემა: სხვადასხვა კონტინენტებიდან საქართველოში ორიოდე წლის წინ ჩამოსული ფერადკანიანი უცხოელები უფრო გამართული ქართულით მეტყველებენ, ვიდრე საქართველოს მწერალთა კავშირის სტაჟიანი თავმჯდომარე!

უკან მიტრიალებული ქალბატონი უკვე სიცხით გათანგული გოგონას ხუხულის ზღურბლთანაა.

„კარი კი არ შეუღია, **შეამტვრია!**

ნეტავი აქ რა საჭირო იყო ეს გონებამიღმური თურმეობითი – **შეუღია?!** უნდა იყოს **შეაღო!** თანაც დაუკეტავ-გადაურაზავ, მით უმეტეს, წელან თავის მიერვე მსუბუქად გამოხურლ კარს რაღა შემტვრევა უნდოდა, როგორ უნდა შეემტვრია?! მსუბუქი შეხება და მისი შეჭრიალებაც ერთი იქნებოდა! ეს რაიმე კრიტიკული შემთხვევისას დაკეტილ ან ურდულგაყრილ კარს შეამტვრევენ ხოლმე!

* * *

სრულებით ცამოწმენდილზე, გუნებაშერჩევით ახლა პროზის ჟანრში დურაჯივით გადაფრენილი ჩვენი ავტორიც ვერ ასცდენია გრაფომანთა ერთ-ერთ ყველაზე საძრახისსა და მკითხველების შეურაცხმყოფელ ზადს: ალალბედად მიკიბულ-მოკიბული მისი ტექსტის პერსონაჟები მართლა დამოუკიდებლად, თავიანთი ჭკუა-გონების, მრწამსისა და პროფესიული ცოდნა-გამოცდილების მიხედვით კი არ მოქმედებენ და მეტყველებენ, არამედ ყველას მაგიერ ენამოუღლელი ავტორი რატრატებს. აი, ამის ერთ-ერთი კლასიკურ-ქრესტომათიული მაგალითი:

წელან ამ ქალბატონის მიერ გამოძახებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალი მოვა. ფილტვების ანთებისგან გავარვარებულ, სიკვდილის პირას მივარდნილ გოგონას გასინჯავენ და აქ მაყვალა გონაშვილი ექიმს არსათქმელს ათქმევინებს!

„საავადმყოფოში წაყვანა არ არის საჭირო. საშიში არაფერია, ფილტვების ანთება აქვს“.

ემოციური მკითხველი შეიძლება შეიშალოს: ყურმიუგდებელი, ულუკმაპურო, უმედიკამენტებო, უმეთვალყურეო, უპატრონო, გონდაკარგულ გოგონას ფილტვების ანთება ბუგავს, ორმოცგრადუსიანი სიცხე ტვინს უტრუსავს, ამან კი შეიძლება სიცოცხლესაც გამოასალმოს – მეტი რაღა საშიშროება გინდათ?! ნუთუ უეჭველად ბებუთით გამოფაშვული ანდა ავტომატით ჩაცხრილული უნდა იყოს, საავადმყოფოში რომ გააქანონ?! როგორ ფიქრობთ, ამგვარ სისულელეს მართლა თვითონ ხნიერი, გამობრძმედილი ექიმი წამოროშავდა?!

* * *

თქვენთვის უკვე კარგად ნაცნობი ქალბატონი, როგორმე ქმარი ისევ რომ დაიბრუნოს, რაღას არ სჩადის! ეს ქრისტიანი მანდილოსანი, თავმოსაწონებლად ჯვარსაც რომ ატარებს, სამკითხაოდ ერთხელ თურმე მარნეულის რაიონის რომელიღაც სოფელში მოლასაც კი ხლებია!

ვითომ ჯადოს ასახსნელად თუ რაღაც მსგავსი სასწაულის მოსახდენად მოლა ქალს ტახტზე ზურგით გააწვენს და ბუტბუტ-ბუტბუტით დინჯად უსრესს ჯიშიან გულმკერდს, ფაფუკ მუცელს და პროფესიული ხელგაწაფულობით მიუყვება ქვევით და ქვევით!..

მთელი ეს უაზრო, თანაც უხელოვნოდ შეთითხნილი, თითიდან გამოწოვილი სცენა იმდენად უშედეგოდ არის ჭყეტელა ხიშტაკივით ჩაკერებული ისედაც თვითმიზნური ეპიზოდებით შეკოწიწებულ, თავმომბეზრებელ ტექსტში, რომ მკითხველის გულისწყრომას, აღშფოთებას, განრისხებას თუ ზიზღსაც კი ვერ აღძრავს, როგორც სხვა მსგავს გარემოებაში ხდება ხოლმე.

სამაგიეროდ მკითხველს ე. წ. პროზაიკოსის ენის უცოდინარობა აშფოთებს.

„მოლა **ხელში** ქარვის კრიალოსანს **აწვალებდა** და მშვიდად **ეკითხება“**.

აბა, მკითხველი როგორ არ გაშტერდება: თუკი ზმნით აღნიშნული კრიალოსნის წვალება **ნამყო** დროთია ნაჩვენები, მაშინ კითხვის დასმაც ამავე დროს უნდა შეესაბამებოდეს. აი, ასე: „მოლა ხელში კრიალოსანს **აწვალებდა** და მშვიდად **ეკითხებოდა“**.

ანდა, პირიქით: ავტორს თუ აწმყო სურდა, მაშინ ზმნით აღნიშნული ორივე პროცესი ერთმანეთისთვის უნდა შეეხამებინა. აი, ასე:

„მოლა ხელში კრიალოსანს **აწვალებს** და მშვიდად **ეკითხება“**.

აქ, ალბათ, ზედმეტი არ იქნება, ერთი ესეც ვიკითხოთ: ამ პირველ წინადადებაში რა ფუნქცია აკისრია, რისი ტიკი-ტომარაა ზედმეტად ჩაჩრილი სიტყვა **„ხელში?“** ადამიანი თუ კრიალოსანს მარცვლავს, ანუ როგორც ავტორი ამბობს, „აწვალებდა“, თავისთავადაც ცხადია, რომ ხელში ეჭირება, თორემ კაცი კრიალოსანს ნიკაპით, ქეჩოთი, მუხლით, ბეჭით, იდაყვით, ცხვირით, შუბლით, წამწამებით, იღლიით თუ ქუსლით ხომ არ დამარცვლავს?!

რა გამოდის? თუ ენაში მაყვალა გონაშვილისეული თხრობის ამგვარ სტილსა და მეთოდს დავამკვიდრებთ, მაშინ აღარ შეიძლება წინადადებების ამგვარად აგება.

„მწერალი მაგიდას მიუჯდა და კალმისტარი აიღო“. „მონადირემ ნაკაფში შველი დაინახა“.

კი მაგრამ, მკითხველმა რა გაიგოს, მწერალმა კალმისტარი რითი აიღო ანდა მონადირემ შველი რანაირად დაინახა?!

ამიტომ ამიერიდან მ. გონაშვილისებურად უნდა ვწეროთ.

„მწერალი მაგიდას მიუჯდა და **ხელით** კალმისტარი აიღო“. „მონადირემ ნაკაფში შველი **თვალებით** დაინახა“ და ა.შ.

მაყვალა გონაშვილისნაირი მწერალმკითხველებისთვის ეს უკვე გასაგები იქნება!

აი, რანაირ უჰაერო ლაბირინთებში შევყავართ ნებაზე მიშვებული დიდმოხელის „პროზაიკოსულ“ ჩხირკედელაობას!!!

გასაკვირია, რედკოლეგიის წევრებმა რატომ არაფერი ჩაასწორეს? ანდა, საერთოდ, ობიექტურობის გრძნობადაკარგული თავმჯდომარე როგორ არ იხსნეს ტუტუცური სურვილისგან – ამგვარი გრაფომანული აბდაუბდით პროზაიკოსთა ანთოლოგიაშიც გამოჭიმულიყო! თუ პროექტის ავტორმა, ვაჟა ოთარაშვილმა ეს ტექსტი მხოლოდ თვითონ გასინჯა, რედკოლეგიის წევრებს კი თვალითაც არ აჩვენა და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე „თანამედროვე ქართული პროზის ანთოლოგიაში“ პირდაპირი კოოპტაციის (!) წესით შეიყვანა?!

* * *

ავტორი ხშირად არავითარ ყურადღებას არ აქცევს ობიექტს, სუბიექტს, დროს, ქცევას, ზმნის უღვლილებას, სინტაქსს.. მოუსმინეთ.

„ჩემი გულივით დამძიმებულან პურის მაღაზიებთან რიგები“.

„ფეხებმა თვითონ მიიყვანეს ავლევის ქუჩაზე“.

დასასრული. დასაწყ. „ლ“, №51

რედაქციისგან დამოუკიდებელი

„გოგონას ცოდვებმა უწიეს“.

„იები იწონებდნენ თავს“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ წარმოთქმულსა და დაწერილს შორის განსხვავება ყველა ენაში და ცხადია, მათ შორის ქართულშიც არსებობს. ჰოდა, ჩვენმა ავტორმა თანამედროვე ქართული სალიტერატურო მეტყველების მთელი მარაგის მართლწერა ნუთუ მართლა ისე უზადოდ იცის, რომ ორთოგრაფიულ ლექსიკონს არასოდეს ხმარობს! ხოლო თუ იყენებს, მაშინ რას მივაწეროთ ამგვარი ლაფსუსები, არასრული საშუალო სკოლის მოსწავლესაც რომ არ ეპატიება!

„ხომ **დააღრჩვე** სიცილით“. უნდა იყოს **დაახრჩვე**.

„**შეცივნული** კატები“. უნდა იყოს **შეციებული**.

„ობოლი ცრემლიც არ **დაცდნია**“. უნდა იყოს **დასცდენია**.

„კერვა **ჭირისდღესავით** სძულდა“. უნდა იყოს **ჭირის დღესავით**.

„**მამის ტოლა** კაცსაა გადაკიდებული“. უნდა იყოს **მამისტოლა**.

„შეეკამათა ვიღაცა **გულის გულიდან**“. უნდა იყოს **გულისგულიდან**.

„ვინ **ყავს** ნეტა ახლობელი?“

ეს უკვე მეტისმეტია! ამჯერად მაინც გვერდზე გადავდოთ გრამატიკის სახელმძღვანელო და ყოველნაირი ლექსიკონები! მწერალმა კი არა, ქართველი დედის კალთაში გაზრდილმა ნებისმიერმა ნორმალურმა ადამიანმა ნუთუ თავისი ალღოიანობით მაინც ვერ უნდა იგრძნოს, რომ ეს „**ყავს**“ შხამიანი გველის ბასრ კბილებში მოხვედრილი განწირული ბაყაყივით საცოდავად ყიყინებს და მას აშკარად აკლია ქართული ანბანის ბოლო ასოს, „**ჰაე**“-ს ანგელოზის ფრთების მსუბუქი შრიალისებრი ჰაეროვნება?!

ნუთუ ყური არ უნდა აგვიწივლოს ამ – **ყავს, ყავდეს, ყავდა, ყოლია, ყოლოდეს?!**

სწორი ფორმაა **ჰყავს, ჰყავდეს, ჰყავდა, ჰყოლია, ჰყოლოდეს!!!**

ავტორისეულ თხრობაში აი, ერთგან რას ვკითხულობთ:

„რამდენი ქალია **ჩემს გარშემო**“. არადა, უნდა იყოს **ჩემ გარშემო!**

ეს მეხუთე-მეექვსე კლასელსაც ეცოდინება: მსაზღვრელად გამოყენებულ კუთვნილებით ნაცვალსახელს მიცემით ბრუნვაში ყოველთვის „**ს**“ დაბოლოება უნდა ჰქონდეს. მაგალითად, **შენს ძმას, შენს კომპიუტერს, შენს გაზრდას, შენს მტერს, შენს კალამს, შენს მადლს... თქვენს ამხანაგს, თქვენს აზრს, თქვენს ბეჭედს, თქვენს შეხედულებას... ჩვენს რაზმს, ჩვენს სოფლელებს, ჩვენს ვენახებს, ჩვენს ცოდნას** და ა.შ.

მაგრამ ცალკე მდგომ თანდებულთან და ზმნისსართთან ხმარებისას ნაცვალსახელს „**ს**“ უქრება: **ჩემ გარშემო, ჩემ ირგვლივ, ჩემ მიერ, ჩემ ზევით, ჩემ თვალწინ, ჩემ უკან, ჩემ წინ, ჩემ მიმართ, ჩემ გარდა... შენ წინ, შენ მიმართ, შენ გარდა, შენ წინაშე... ჩვენ გარდა, ჩვენ ირგვლივ, ჩვენ შორის, ჩვენ შუაში, ჩვენ შუა, ჩვენ გვერდით, ჩვენ გამო, ჩვენ უკან, ჩვენ მიერ** და ა.შ. და ა.შ!

აბა, თავმოსაჭრელი არ არის, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარესა და ანთოლოგიის რედკოლეგიის წევრებთან ამგვარ გრამატიკულ წვრილმანებზე მსჯელობა?! ხალხურ პოეზიაში დახატული იმ ახმეტელი ქალისა და ნემსის ყუნწის ამბავი ნუთუ გაზვიადება კი არა, სრული სიმართლეა და მსგავსი მაგალითები ყველა დარგსა და სფეროში დღესაც მეორდება?!. ო, ღმერთო, ღმერთო!..

ახალბედა პროზაიკოსი აი, ერთგან კიდევ რას გვიწერს:

„გუშინდელი საუბარი **სიტყვა-სიტყვით** გაიხსენა“.

ამ და მომდევნო ციტატიდანაც დავინახავთ, რომ ავტორმა არ იცის დეფისის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია, მისი თავის დროსა და ადგილას ხმარების წესი: მას იყენებენ შეერთების კომპოზიტივში! მაგალითად, ია-ვარდი, თვალ-მარგალიტი, თვალ-წარბი, რძალ-მული, დედამთილ-მამამთილი, მამა-პაპა, დედ-მამა, ქამარ-ხანჯალი, მეფე-პატარძალი, ნაზ-ნარნარი, ტყე-ველი, ნადირ-ფრინველი, თოვლ-ჭყაპი და ა.შ.

მაგრამ აქ რა იყო შესაერთებელი, როცა ავტორის მიერ უადგილო დეფისით შუაგაპობილი სიტყვა – **სიტყვასიტყვით!** – ერთ მთლიანს წარმოადგენს და სრულებით არ საჭიროებს ამგვარ ჯალათურ ჩარევას!

ახალმოვლენილი შეუდრეკელი „პროზაიკოსი“ ორთოგრაფიულ ლექსიკონს არა და არ ცნობს და თავისებურად მიაშლაპუნებს.

„მესმოდა კვნესა, შეძახილი, უცნაური **ბაგა-ბუგი**“.

მაყვალა გონაშვილს ეს მთლიან-მონოლითური სიტყვა – **ბაგაბუგი** – ორი სხვადასხვა სიტყვა: **ბაგა** და **ბუგი** ჰგონია და რეფორმატორული თავდაჯერებით ერთსა და იმავე დროს დეფისით თან შუაზე აპობს და თან აერთებს კიდეც!!!

რა გამოდის? თუ ავტორის ამგვარ „რეფორმისტულ“ მეთოდს დავამკვიდრებთ, მაშინ უნდა მივაყოლოთ და სულ შუა-შუა დავჩეხოთ ისეთი მთლიანი სიტყვა-მარგალიტები, როგორიცაა, მაგალითად, **ბალახბულახი, ბინდბუნდი, ღადაღუდა, კაპაკუპი, თქარათქური, აურზაური, ჭრაჭაჭრუჭი, ტლაპატლუპი, თხლაშათხლუში, წარამარა, ღაპაღუპი, ალთაბალთა (ს), ტკაცატკუცი, ჭახაჭუხი, კაკაკუკი, ოღრონჩოღრო, ხარახურა, რაკარუკი, აჭალბუჭულები, ნაყარნუყარი, ნაჭამნუჭამი, ნახრავნუხრავი, ხაბაკხუბაკი, აბდაუბდა, შატაბუტა...**

„ერიჰააა!... მე მართლა გამართული ლიტერატორი მეგონა, ის კი თურმე **შატაბუტა** მოქართულე ყოფილა!“.. – ზაფრიანად ამოიხვნეშა ჯემალ მეხრიშვილმა და საშინელი თავდამცირება მოერია, რადგან მიხვდა – ჩიქორთულად მოაზროვნე საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომრის დროშის ქვეშ უპატრონო ცხვარივით ირიცხებოდა.

ჯემალ მეხრიშვილი

„აკაკი გვიცოცხლოს უფალმა“



საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია: სასულიერო პირთა ერთ-ერთ შეხვედრაზე რომელიც რუსი ეგზარხოსის მეთაურობით მიმდინარეობდა, ეს მაღალი სამღვდელო პირი აღუშფოთებია იმ გარემოებიას, რომ წმ. ნინოს სასწავლებელში პატარა მეჩეთი ყოფილა მუსულმანთათვის და როცა მას – აღშფოთებულს – განმარტება მოუთხოვია ამის თაობაზე, მეუფე კალისტრატეს (ცინცაძე), რომელიც მაშინ მღვდლის ხარისხში ყოფილა, მიუგია, რომ ეს ფაქტი სავსებით ნორმალურად მიაჩნია, რომ ადამიანები ღმერთს ლოცვას აღუვლენენ თავიანთი შეგნების, ცოდნისა და განვითარების შესაბამისად, ტაძარი და მეჩეთი ერთი ცარგვალის ქვეშაა და არაფერია აქ გასაკვირიო.

ყველა აქ მოხმობილი მაგალითი ნიმუშია წინდახედულობის, პრაქტიკულობის, ტოლერანტობის, შემწყნარებლობის, ადამიანთა სუსტი ბუნების თანაგრძნობის, და თუ რამდენად სცილდებიან ისინი „უცვლელი დოგმატიკის სფეროს“ ამის გარკვევას ბატონ ედიშერ ჭელიძეს მივანდობთ.

ბატონი ედიშერ ჭელიძის მოტანილი მაგალითები აკაკის „სარწმუნოებრივი მდგომარეობის სრული შეუსაბამობისა მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანის ხარისხთან“, მეტი რომ არ ვთქვათ სუსტია, რამდენადმე პროვოკაციული და მოკლებულია კეთილგანწყობას. ჩვენ ვეთანხმებით ოპონენტს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში აკაკის პუბლიცისტიკას „სახუმარო ტონი“, „შეუფერებელი სილაღე“ მართლაც ახასიათებს, მაგრამ მას ავიწყდება, რომ აკაკი თავისი ფელეტონების პერსონაჟია, რომლის პოზიცია არავითარ შემთხვევაში არ ეთანადება მისი მწერლურ-მართლმადიდებლურ პოზიციას, იგი საუბრობს თავის მობაასე-მოპაექრეებთან, იმ ენითა და ენაკვიმატობით რომელიც ყოველდღიურობას ახასიათებს, ამას ემატება კალმის ლაფსუსებიც, რომლისაგან არავინ არაა დაზღვეული. ყველაზე მეტად აკაკიმ იცოდა თავისი პუბლიცისტიკის ეს ნაკლი და თავის თხზულებაში არაერთგზის აქვს გულისტკივილით ნათქვამი, რომ მას, როგორც ცხოვრების შუაგულში მოტრიალე კაცს, ძალაუნებურად უწევდა ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემა, ისეთი ინტერესების დაკმაყოფილება და ისეთ საქმეებში ჩართვა, მის სულიერ მიდრეკილებებთან არავითარი კავშირი რომ არ ჰქონდა. „ამიტომ ჩემს ნაწერებში მეათედიც კი არაა იმის ღირსი, ყურადღებას რომ იმსახურებდესო“, – ეს ნათქვამი ბატონმა ედიშერ ჭელიძემ მიიღოს აკაკის მონანიებად, ოღონდ გვაპატიოს, თუ ვერ დავუზუსტებთ, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე თქვა თუ ერთი საათით. აკი შეგვახსენებს: „მოღვაწეს შეიძლება სრულად შეენდოს ბევრი რამ უღირსი ნამოქმედარი ადრეული ცხოვრებიდან, თუ მან ისინი შემდგომში გულწრფელად მოინანია“. სამწუხაროდ, აკაკის ასეთი რამ არ გაუკეთებიაო – ქვეტექსტით გვაწვდის ავტორი. როგორც ბატონ ედიშერს აქვს იმის საბუთი, რომ აკაკის თავისი შეცოდებანი არ მოუნანიებია სიკვდილის მიწურულს, ისევე ჩვენ გვაქვს დოკუმენტი, რომ 1915 წლის 2 თებერვალს, სხვიტორის მაცხოვრის ამაღლების ეკლესიის მღვდელმა, ვლადიმერ აბრამიშვილმა, მას შეუნდო თავისი შეცოდებანი...

როგორც ცნობილია, საქართველოს ეკლესიის წმინდანმა, ცოტნე დადიანმა, კოხტასთავის შეთქმულების შემდეგ კიდევ დიდხანს იცოცხლა და, როგორც საერო კაცს, შესაძლებელია, ცხოვრების მიწურულს დაეშვა შეცდომა. ეს შეიძლება გავრცელდეს თამარ მეფეზე, დავით აღმაშენებელზე, ექვთიმე თაყაიშვილზე და თვით ილია ჭავჭავაძეზეც, რომელიც ბერის მონამებრივი ცხოვრებით კი არ აღესრულა, არამედ მოკლეს. არა გვგონია, ბატონ ედიშერზე ნაკლებ პატივს სცემდნენ „უცვალებელი დოგმატის“ საკითხებს ქართული ეკლესიის მამები, როცა ჩამოთვლილი საერო მოღვაწენი წმინდათა რანგში აამაღლეს. მაშ, რა იყო ამ შემწყნარებლობის, მიმტევებლობისა და აღიარების მიზეზი? – რა თქმა უნდა, სამშობლოსთვის გაღებული ღვაწლი, ვალდებულება ქვეყნისა და ერის წინაშე, რაც მათ პირნათლად აღასრულეს. თუ მართლმადიდებლობა და ქართველობა ჩვენში ერთმანეთს დაეტოლა, როგორც ილია მართალმა ბრძანა, მაშ რითაა აკაკი წერეთელი ისეთი სუსტი თავისი ქართველობით, რომ ღირსეულ მართლმადიდებლად ვერ ქცეულა. საბედნიეროდ, აკაკის ყველა უმნიშვნელოვანეს ნაშრომში ღვთის ნებაა გაცხადებული, ვის არ შეძრავს „ბაში-აჩუკში“ მოთხრობილი სიზმარი მოძღვრისა და წმინდა მხედრის ხატისა, ქართულ სიწმინდეს დაუფლებულ ურჩხულს რომ უგმირავს გულს, „თორნიკე ერისთავისა“და „ჩემი თავგადასავლი“-ს მხატვრული ქსოვილი, რომელიც მართლმადიდებლური რწმენისადმი უფაქიზესი ნიუანსებითაა ნაკერი. აკაკის არ ავიწყდება გვითხრას თუ როგორ განიცდიდა დედამისი, როცა როსტომი (მისი მეუღლე) სახარების კითხვისას ქრისტეს აღსრულებულ საქმეებს თავისი კომენტარებით ამკობდა და ფიქრობდა, რომ ასეთი რამ მიუღებელი იყო წმინდა წიგნის მიმართ. ასეთი დედის გაზრდილ აკაკის ნამდვილად მეტი კეთილგანწყობა ექნებოდა მართლმადიდებლობის მიმართ, ვიდრე ამას ბატონი ედიშერ ჭელიძე წარმოგვიდგენს.

ბატონი ედიშერი თავის წერილში ერთ გვერდს უთმობს იმის ახსნას, რა დაემართება დიდი მგოსნის სულს, თუ მას წმინდანად შერაცხავენ. ამ მძიმე სტილით დაწერილი შებრალების ოპუსიდან იმ აზრის გამოტანა შეიძლება, რომ აკაკის წმინდანად აღიარების შემთხვევაში, მისი სახელის ეკლესიური მოხსენიება, კანონიკიდან გამომდინარე, უნდა შეწყდეს. იგი ამ აქტით ვერც წმინდანობას მიაღწევს, როგორც უღირსი, და ჩვეულებრივი მოკვდავებისთვის დანიშნულ საპანაშვიდო მსახურებასაც დაკარგავს. სამწუხაროდ, ამ აზრს ბატონ ედიშერს ვერც გულმოწყალებად ჩავუთვლით და ვერც თანაგრძნობად; ეს უფრო ირონიაა – უადგილო და შეუფერებელი.

საკვირველია, ისეთმა ქრისტიანმა კაცმა, როგორადაც ბატონ ედიშერ ჭელიძეს მიაჩნია თავისი თავი, რატომ შეიძინა თავისი ცოდნისა და სიმართლის მიმართ ასეთი პატივისცემა და სიყვარული. ასე დარწმუნებით რომ ლაპარაკობს აკაკის შემოქმედების სრული შეუსაბამობის შესახე მართლმადიდებლობასთან, მისი დროის სამღვდელო პირთა აზრი ხომ მაინც უნდა სცოდნოდა, ისინი ხომ აკაკის ეპოქის შვილები იყვნენ და გაცილებით მეტი ხელშესახები მასალა ექნებოდათ აკაკის ავ-კარგიანობაზე, ვიდრე ბატონ ედიშერ ჭელიძეს აქვს.

აი, როგორ აფასებს აკაკის ეპისკოპოსი ლეონიდე (შემდგომში საქართვე-

დასასრული. დასაწყ. „ლს“, №51

ლოს კათოლიკოს-პატრიარქი): „გახარებული, ბედნიერი და ნეტარია დღეს ჩვენი სამშობლოს თითოეული ქალაქი, ბრწყინვალედ დღესასწაულობს და მხიარულობს დღეს საქართველოს დაბა-სოფელი. აგერ მთასაც გაუხსნია თავისი ჩათხრობილი გული და მხიარულობს თავისებურად. „მომილოცნია აკაკის იუბილე“, „აკაკი გვიცოცხლოს უფალმა“, „გახარება აკაკის დღეს“. – აი, რა გაისმის დღეს ყველგან საქართველოში. აი, რას ულოცავს დღეს ქართველი ქართველს, მსგავსად საამო „ქრისტე აღსდგასი“. სულ მცირედაც გაგებულ ქართველს, თუკი მას ოდნავ მაინც კიდევ ეტყობა სვეტიცხოვლის წმინდა მირონი, აკაკის ერთი სახელის გაგონება სიამოვნებით უღელვებს გულს. ამ სახელით, მისი წარმოთქმით, ყველანი ვიზრდებით საკუთარ თვალში, მისი ხშირად გამეორება ყველას გვიმატებს საკუთარი ღირსების შეგნებას“. „რომელი საშვალებით მიაკვლია აკაკიმ ქართველი ერის გულამდე“ – კითხვას სვამს დიდი სამღვდელო პირი და იქვე უპასუხებს: „წრფელი და უანგარო, გაბედული და პირდაპირი, მტკიცე და შეუდარებელი, შეგნებული და ნათელაზრიანი თავდადებით, უსაზღვრო სიყვარულით მშობელი ერისადმი“... დეკანოზ ნესტორ ყუბანეიშვილის თქმით აკაკიმ მთელი თავისი ნიჭი და ენერგია სამშობლოს მოახმარა, „ამ მხრივ ის შეიძლება შევადაროთ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებს. თუნდაც მოსე წინასწარმეტყველს“ – კარგად აქვს შენიშნული ნესტორ ყუბანეიშვილს, რომ იმ სიმართლისა და პირდაპირობისათვის, რომელიც აკაკის ახასიათებდა, „ბევრი გაუგებარი და უგუნური ადამიანი ემდუროდა. მაგრამ გონიერ ადამიანებს უყვარდათ... როგორც იტყვის სოლომონ ბრძენი „ამხილე უგნურთა და შეგიძულონ შენ, ამხილე ბრძენთა და შეგიყვარონ“. ეგეთ უგუნურებას აკაკი არ ერიდებოდა და არ ეფერებოდა“, არქიმანდრიტ სიმონ მჭედლიძის შეფასებით აკაკი ბიბლიური სიძეა – „საქართველოს ღვიძლ შვილთა ძირითად იდეათა და მისწრაფებათა მატარებელი... აკაკი ფოკუსია, რომელშიც საქართველოს ანგელოზმა შეკრიბა ყოველივე რაც მაღალია და უზენაესი, იგი ის დაკუთხული ბროლია, რომელმაც გაატარა თავის შორის საქართველოს მზის სხივი და გვიჩვენა მისი მრავალფეროვნების მომხიბლავი სილამაზე“. ჟურნალ „მწყემსის“ რედაქტორი, დეკანოზი დავით ღამბაშიძე, ასე მიმართავდა აკაკის: „ვაშა თქვენს უანგარო მოღვაწეობას! ვაშა თქვენს სასარგებლო და ნაყოფიერი ხალხის მსახურებას! კურთხეულ იყოს თქვენი სახელი ამიერიდან უკუნისამდე“.

აქ მოტანილი ციტატები არის უმნიშვნელო ნაწილი იმ შეფასებისა, რომელსაც ქართული სამღვდელოების გამოჩენილი და ავტორიტეტული მოღვაწენი მიაგებდნენ აკაკის. ზოგადი შეხედულებით, ესაა უდიდესი დაფასება და პატივი, რაღაც არაბუნებრივი სიყვარული, რომელიც განმსჭვალულია სახალხოობის, ეროვნულობის უდიდესი მასშტაბურობით. ამის დანახვა შეუძლებელია, ამის არცნობა და დაუფასებლობა გაკვირვებას იწვევს. მით უმეტეს, რომ სამღვდელო პირები, რომელთა აზრები აქ მოვიტანე, არავითარ შემთხვევაში არ მიმაჩნია ედიშერ ჭელიძეზე ნაკლებ ავტორიტეტებად.

სიტყვა ისედაც გამიგრძელდა და არ მინდა შევეხო აკაკის მართლმადიდებლობისადმი ნამოღვაწარს, მის პოემებს - „ანდრია პირველწოდებულსა“ და „წმინდა ნინოს“, საჯარო გამოსვლებს, უამრავ წერილს და, ზოგადად, პოზიციას, რომელიც ამ დიდ კაცს ჰქონდა ქრისტიანობის მიმართ. ერთს კი ვიტყვი – აკაკი თავიდან ბოლომდე, თავისი მოღვაწეობითა და შემოქმედებით, არის მართლმადიდებლური კულტურის ნაყოფი, რომლის მსხმოიარე ხიდან ყველას შეუძლია აიღოს იმდენი, რამდენის ათვისებასაც შეძლებს.

გაკვირვებას იწვევს ჩვენი ოპონენტის საყვედური – აკაკის თეატრალურ ხელოვნებასთან დამოკიდებულების შესახებ. ესაა ყოვლად უსაფუძვლო, ეჭვით დამძიმებული ბრალდება, რომელსაც ბატონი ედიშერ ჭელიძე ასე აყალიბებს: „აკაკის მიერ მხოლოდ ხელოვნებაა, მათ შორის, თეატრალური, მიჩნეული ყველაზე რჩეულ საქმედ, ხოლო ხელოვანნი, მათ შორის თეატრალები, – „მომავალი აღთქმის მოციქულ წინასწარმეტყველებად“, რომლებითაც პოეტის მიერ, ფაქტობრივად, ხდება ეკლესიის ჩანაცვლება, რადგან მხოლოდ ისინი ცდილობენ თურმე კაცობრიობის „სულისა და გულის გასპეტაკებას“ და ამას აღწევენ სცენაზე, რაც აკაკის თქმით, „სწორედ რომ ტრაპეზია.“ ეს აზრი სრულიად უცხოა ეკლესიისათვის“. გვაპატიოს მკითხველმა, მაგრამ ამ სიტყვებში შუა საუკუნეების ინკვიზიციის ინტონაცია იგრძნობა. გამოდის, რომ თუ აკაკი თეატრალურ ხელოვნებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, ეს აუცილებლად იმას ნიშნავს, რომ იგი ამით მართლმადიდებლობის როლს ამცირებდა. არა და, აქ სულ საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე: აკაკი სცენას ადარებს წმინდა ტრაპეზს, ხოლო თეატრალებს მომავალი აღთქმის ახალ მოციქულ-წინასწარმეტყველებს უწოდებს. რა არის აქ დასაძრახი და შეუფერებელი. თუ ადამიანი ღმერთის სახედ და მის მსგავსად შეიქმნა და ამით ღმერთი არ მცირდება, მაშ რატომ უნდა დამცირდეს ასეთი შედარებით წმინდა ტრაპეზი და მოციქულები. აკაკიმ ესეც თქვა: „ჩემი ხატია სამშობლო“-ო. ამ კონტექსტიდან გამომდინარე მაშინ ხატის მიმართაც მისი უპატივცემულობა უნდა ვაღიაროთ.

გვსურს, მკითხველს შევახსენოთ, რომ ეს სიტყვები დაწერილია ქართული ეკლესიის დამცრობის ხანაში, რუსული ეკლესიის ბატონობის დროს, მართლმადიდებლური სიწმინდეების განადგურებისა და დატაცების ჟამს (სხვათა შორის ამ ნადგურცემაში ზოგიერთი ქართველი სამღვდელო და საერო პირიც იღებდა მონაწილეობას). ქართველ მოღვაწეთა საუკეთესო ნაწილი ცდილობდა, არ შეგუებოდა ამ ვითარებას და ვისაც როგორ შეეძლო და ხელეწიფებოდა, ისე იღვწოდა ქართველთა შეურაცხყოფილი ავტორიტეტის დასაცავად. სამღვდელო პირთაგან ამის ქრესტომათიული მაგალითი გვიბოძა დიდმა სამღვდელო პირმა, ქართული ეკლესიის წმინდანმა, იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა, რომელმაც ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში არნახული ძალმოსილებით, უკიდურესად არახელსაყრელ პირობებში, არა თუ ქართველები, მუსლიმანი აფხაზების დიდი ნაწილიც მოაქცია ქრისტიანობაზე, მან ხალხის ენაზე გასაგები ქადაგებით, გონიერებითა და წინდახედულობით (და არა დეკლარაციული და ხისტი გამოსვლებით), მოახერხა აეღორძინებინა ერში მართლმადიდებელი რწმენის უპირატესობა და ნიჰილისტურად განწყობილი ხალხი სულიერებისკენ შემოაბრუნა.

გაბრიელ ეპისკოპოსი სასულიერო ასპარეზზე მოღვაწეობდა და იღვწოდა ისე, როგორც ჭეშმარიტ სასულიერო პირს შეეფერება. აკაკი საერო ასპარეზზე გამოდიოდა და წინ წამოსწევდა ისეთ თემებს, რაც საზოგადოების ფართო ფენების ინტერესებში შედიოდა. ადამიანთა საზოგადოებას რელიგიის გარდა სხვა რამეც რომ ესაჭიროება, ეს ფაქტია და იმ პერიოდში, ანუ ისევ და ისევ, რუსული მმართველობის ჟამს, როცა ჩვენს ენას და კულტურას ასე უჭირდა, თეატრი იყო ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი უძლიერესი სფერო, საიდანაც არა მხოლოდ ქართული სიტყვა გაისმოდა, არამედ მთელი ერის პატრიოტული სულისკვეთება იღებდა სათავეს. ამ აზრის დასტურად მკითხველს შევახსენებ, თუ როგორი რეზონანსი ჰქონდა „სამშობლოს“ დადგმას ქართული თეატრის სცენაზე, როგორი სული შთაბერა ამ ერთმა სპექტაკლმა მაშინდელ საზოგადოებას და რამდენი რწმენაშერყეული ადამიანი შემოაბრუნა ეროვნულობისაკენ.

თეატრის ეს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აკაკის მხედველობაში მაშინდელი საქართველოსათვის და ამიტომაც უწოდებდა მის მოღვაწეებს „ახალ მოციქულებს“. გაბრიელ ეპისკოპოსიცა და აკაკი წერეთელიც, სხვადასხვა ასპარეზზე მოღვაწეობით, ერთ საქმეს ემსახურებოდნენ – ქართველობასა და მართლმადიდებლობას, მართლმადიდებლობასა და ქართველობას – „ერთმანეთს დატოლებულთა და განუყრელთ“, ამიტომ არიან ისინი თანაბარი სიდიდის მოღვაწენი.

საბოლოოდ აღვნიშნავთ, რომ ბატონი ედიშერ ჭელიძის წერილი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ ნაჩქარევად, გამოუძიებლად და სულსწრაფობითაა“ დაწერილი. მან ძალიან იოლად შებედა აკაკის, შებედა ამაყობით და არავითარ ნიშანს არ ატარებს მისი წერილი, რომ ასეთი საპასუხისმგებლო განაჩენის გამოტანის წინ, გულდასმით, დაკვირვებითა და კეთილგანწყობით წაიკითხა აკაკის ის თხუთმეტი ტომი, სადაც მეტ-ნაკლები სისრულითაა წარმოდგენილი პოეტის დიდი მემკვიდრეობა. ყველაფრიდან ჩანს, რომ ბატონი ედიშერის წარმოდგენები ამ მიმართულებით დამყარებულია იმ მავნე ტრადიციაზე, აკაკისთან დაკავშირებით რომ ჩაუყარეს საფუძველი მისსავე სიცოცხლეში და ასე უანგარიშოდ იმეორებს ყველა არაკეთილმოსურნე. ღიმილის მომგვრელია ბატონი ედიშერის მუქარა, როცა გვაშინებს: აღარ ვიკადრე აკაკის შემოქმედების დაწვრილებითი ჩხრეკა და მძიმე ციტირებისაგან თავს ვიკავებ, თორემ სრულიად ვაჩვენებდი „მისი სარწმუნოებრივი მდგომარეობის სრულ შეუსაბამობას მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანობასთანო“. მართლაც რომ სწორუპოვარი დიდსულოვნებაა, იმაზედაც მადლობელნი ვართ რომ დანდობის გრძნობა გასჩენია და ოდნავი საჭიროება უგრძვნია ზომიერების დაცვისა.

ჩვენ არ ვიცით, ვინაა ბატონი ედიშერისათვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი ქართველ საერო მოღვაწეთაგან, მისი აზრი რომ მოგვეტანა აკაკის შესახებ, მაგრამ იქნებ გაეხსენებინა აკაკის მოღვაწეობის შეფასება მის თანამედროვეთაგან, ხომ არ იცნობდნენ ისინი მასზე უკეთესად აკაკის „ცოდვა-ბრალიან“ ცხოვრებას, და თუ იცნობდნენ, რატომ არ წერდნენ ასე ხელაღებით მისი უღმერთობის შესახებ?!

იაკობ გოგებაშვილმა თქვა: „აკაკი პატარა საქართველოა“, თუ ვისმეს ჰგონია, რომ ამ თქმაში მხოლოდ ქება იგულისხმება, ძალზე შემცდარა. აკაკი თავისი ბედითა და ცხოვრებით ჰგავს საქართველოს, იგი მიკრომოდელია თავისი ქვეყნისა – ნიჭიერებით, იმედგაცრუებით, წარმატებით, ტანჯვით და ნაკლით. აკაკი არც სიმონ მესვეტეა და არც სალამან მდუმარე, მათსავეთ არაადამიანური ნებისყოფით რომ მოეპოვებინა ქრისტიანული დიდება. ადამიანური თვალსაზრისით, იგი იყო ჩვეულებრივი მოკვდავი, მისთვის დამახასიათებელი ნაკლით, ისეთივე, როგორც თითოეული ჩვენგანი, მაგრამ თავისი მიზანმიმართულებით იყო შეუმცდარი, თავის სამშობლოსთან იყო მართალი.

აკაკი წერეთლის მთელი შემოქმედების მიზანს, მისი დაუშრეტელი და მაძიებელი სულის საგანს სამშობლო წარმოადგენს. იგი განსაცვიფრებლად მიზანდასახულია, რადგან ამორჩეული ჰყავს თავისი სათაყვანო და როგორც პილიგრიმი, ჯიუტად მიაბიჯებს ხიფათით სავსე გზებზე – „აღთქმული ქვეყნისაკენ“ – რათა გულმხურვალედ ილოცოს მისთვის.

მას შეურყეველად სჯერა თავისი ქვეყნის სიდიდისა და პოეზიის ლითონიდან ადნობს სტრიქონებს – “ჩემი ხატია სამშობლო“. ამ მიმართებით უმტკიცესია მისი ნება და საზოგადოებრივი ცხოვრების დუღილში, რომელიც ძალუმად ისვრის ჭუჭყიან ქაფს, სამშობლოს უღელი შეურყვნელად და ფაქიზად აქვს გამოტარებული.

აკაკი შენივთებულია თავის სამშობლოს. როგორც გრიგოლ რობაქიძე ბრძანებდა – „მისი ბუნება ქართველთა ბედის ნატეხია, ჩვენი ერის მებრძოლი სული მის ბუნებაში განსახიერდა, აკაკის ღიმილი ქართველთა სულის სუნთქვას აუცნაურებდა და რუსთაველის შემდგომ, ქართველთა სიტყვის პირველი ხელოვანი აკაკია“.

XIX-XX საუკუნეთა საქართველოს გონებრივი ცხოვრება წარმოუდგენელია აკაკი წერეთლის შემოქმედების გარეშე. მისი მოღვაწეობის პერიოდში არ ყოფილა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო, ყურადღების მიღმა რომ დარჩენოდა. მწერალმა თამაზ ჭილაძემ აკაკის “წელშიგაწყვეტილი, ხელებდაკოჟრილი, მშრომელი ადამიანი“ უწოდა და ეს არის ყველაზე მართალი შეფასება, რომელიც კი ოდესმე უთქვამთ მისი მოღვაწეობის შესახებ. ჩვენი ერის ბედნიერება იყო ის, რომ ამ პრაქტიკას შეერწყა “ღვთიური სიმსუბუქით მქროლავი სიტყვის მაგია პოეტისა და აკაკი იქცა ახალი პოეზიის წინამორბედად“ (გ. რობაქიძე).

ძნელია ჩვენს მწერლობაში დასახელდეს მეორე პოეტი, რომელიც ისე ახლო ყოფილიყო ხალხთან, როგორც აკაკი. მისი შემოქმედების ზეობის საფუძველს ხალხის ყოფა-ცხოვრების ღრმა ცოდნა და საქართველოს სულიერ კულტურასთან თანაზიარობა წარმოადგენდა.

თუ ადამიანი ნამდვილი გულით არ მიეცემა თავისი ოცნების საგანს, თუ არაა სრულყოფილი და გულწრფელი, იგი ვერასდროს დაიმკვიდრებს დიდებას. ერი გულთამხილავის ძალით გრძნობს ჭეშმარიტი სიმაღლის შემოქმედს, მას უყვარს თავისი დამფასებელი, ეროვნული სულიერების დამცველი და გამღვივებელი. არ არსებობს ძალა ამ სიყვარულზე მაღლა რომ იდგეს. სწორედ ამ თვისებათა გამოა აკაკის პოპულარობა უმაგალითო. ამითაა იგი წმინდა კაცი.

აკაკის მოღვაწეობის ასპარეზი ვეებერთელაა, განცდათა სპექტრი – მრავალფეროვანი, ინტერესთა სფერო – უფართოესი, დამოკიდებულებები – ვნებათაღელვით სავსე, ხოლო უმთავრესი, რითაც იგი თავის კოლოსალურ ენერგიას წარმართავს, სამშობლოს სიყვარულია. ამ გზაზე მისი დევიზი – ლაკონურია – „წინ სამშობლოსაკენ“. ესაა მისი მოწოდება და გასაღები ყოველი ქმედებისა.

ეს ხმა ახლაც ზარივით რეკავს ყოველი ქართველისათვის. ესაა ხმა ჩვენი კულტურის გადარჩენისა. ეს ხმა აკაკის ხმაა, რომელსაც დადუმება არ უწერია.

ელდარ ნადირაძე



გური ოტობაია

ლოტოფაგები

(ინტერვენცია დემოგრაფიული პოლიტიკით. არალეგალები. არასამთავრობოები. გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსათვის)



პრომეთე, სანამ ცეცხლს მოსტაცებდეს ოლიმპიელ ღმერთებს, ჯერ ადამიანს შექმნის ტალახისაგან. თუმცა ამ ღვთაებრივ ცომს მოსულელო ძმა ეპიმეთე გაუხარჯავს ფრინველ-ცხოველთა გამოძერწვისას და პრომეთეც იძულებულია ფაუნის ეგზემპლარებს ჩამოაციცქნოს ცოტა მეტი. აი, რისთვის ახასიათებს ძე-ხორციელს ცხოველური ქმედებანიო, გვარწმუნებს მითოლოგია, მაგრამ აქ არაფერია ნათქვამი რასობრივ ნიუანსებზე. ადამიანმა საუკუნეც არ არის, რაც ქედიდან გადაიგდო შეფერილობასთან დაკავშირებული დისკრიმინაციული უღელი და ახლა იშვიათად ნახავთ ტრილერს, სადაც თეთრკანიანის მეწყვილე ნეგროიდი არ იყოს. მეტიც, გადასინჯულია წარღვნის საკრალურობაც და ნოეს კიდობნის გვერდით (კინოფილმი **„ნოეს კიდობანი"**, რეჟისორი – **ჯონ ირვინი,** 1999 წ.) ვიხილავთ კონფუცის აღნაგობის ჩინელს პედალებიანი ნავით. „ნაცმოელები" ჩინებულად მოერგებიან ამერიკელების რასობრივი თანასწორობის დოქტრინას და საქართველოს აქცევენ დემოგრაფიული ინტერვენციის პოლიგონად სომხური ინტერესების ლობირების ნიშნით.

ჯი-ეიჩ-ენ-ის მონაცემებით (2006 წლის 20 მარტი) გაეროს სპეციალისტთა გათვლებით, რომელსაც საქართველო 2 ათეული წლის განმავლობაში უნდა დაყრდნობოდა, უკვე ძალადაკარგულადაა გამოცხადებული. მან თავის დროზე პროგნოზის სამი ვარიანტი შეიმუშავა, რომელთაგან ყველაზე პესიმისტურიც კი სადღეისოზე უკეთეს ვითარებას გვპირდებოდა. 2030 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 4 მილიონ 900 ათასზე ქვემოთ არ უნდა ჩამოსულიყო, როცა დღეს 4 მილიონ-ნახევრამდეა შემცირებული. მოსახლეობის კლებადობის წლიურმა სალდომ 5 ათასის ნაცვლად 27 ათასი შეადგინა. ბუნებრივი მატება, რომელიც 3 პროცენტით უნდა გაზრდილიყო, მხოლოდ 0,2 პროცენტია. მოსახლეობის გარემიგრაცია წლიურად 20 ათას გამსვლელზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, როცა ყოველწლიური სალდო 27 ათასია. არსებითი ცვლილება ამ მდგომარეობაში შეუძლია მხოლოდ ეფექტურ სახელმწიფო პროგრამას, რომლის განხორციელების შესაძლებლობაც ძალზე დაბალია.

აგერ, წეროვანში, სარეკლამო ბანერებია გამოკრული: იყიდება მიწის ნაკვეთი 2000 კვადრატული მეტრი. მ2 – 5 აშშ დოლარად. იქვეა მითითებული ტელეფონის ნომრები. „ლოპოტის" ნაკვეთების სიახლოვესაც მსგავსი სურათია. სხვაგანაც – ხევ-ხუვებში, ველობებში, ყოველ ნაბიჯზე, ტოტალურად ვასხვისებთ საქართველოს. იყიდება წინაპართა სისხლით გაპოხილი მიწები მორბენალი სტრიქონებით, ელექტრონული და ბეჭდური განცხადებებით, დილერებით, ჩალიჩმაისტერებით, ნიკო ლორთქიფანიძის სიმწრის ცრემლით თქმული სტრიქონების კვალობაზე... პრეზიდენტისგან ესოდენ ქებულ, მართლაცდა ზეფეშენებელურ იუსტიციის სახლში, სანიმუშოდაა დანერგილი უცხოელებისათვის მრავალათსწლოვანი ჩვენი ეზო-კარის ელვისებურად შეძენის პრაქტიკა. ოღონდაც ქართველი დავტოვოთ ცარიელ-ტარიელზე! აი, „ნაცმოელ" ხელისუფალთა გახვანჯული საქმე.

ქალაქში აგორებულია ჭორი 126. 000 ჩინელის თბილისის ზღვაზე ჩამოსახლების შესახებ, როცა ბიუჯეტის ფულით დევნილების ლეგიონი ფოთში გადავისროლეთ ქვიშისგან ბაწრის საგრეხად. (ერწმუნეთ წინდებულ წიაღსვლებს, მისი ავტორისთანა ტიპები ხომ „არახელდასხმულებად" არიან გამოცხადებულნი მასონურ სახელმძღვანელოებში. მათ არსად ღებულობენ სამსახურში; მათი პროექტები ყოველთვის დაბლოკილია უმომავლობის გარანტიით; მათ იდეებს ასპარეზი არა აქვთ, ვინაიდან პრომეთეს ჩამომავალნი არიან თხემით ტერფამდე. ეს ამათ ჩამოაქვთ ოლიმპოდან ღმერთების უნებართვოდ ღვთიური ცეცხლი დამზრალ-დამშეული ადამიანებისათვის. ამისთანებთან საიდუმლო ლოჟებში სიკვდილზე ფიციც არა ჭრის ინფორმაციის შესაკავებლად, თუკი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები სასწორზეა შეგდებული და მეამაყება, რომ ჩემი ძელგი, დაღვინებული თუ მაჭროვანი კოლეგები ხმალშემართულები ტრიალებენ ამ საშვილიშვილო მამითადში – „ხმელი კოპიტი" (მურმან ჯგუბურია) – ჭაბუა ამირეჯიბი, თამაზ წივწივაძე, კობა არაბული, ჯემალ დავლიანიძე, ვახტანგ ხარჩილავა, ზაურ კალანდია, ლაშა გვასალია, ლექსო დორეული, ლევან ბებურიშვილი...

ბედნიერ მომავალს მიყურადებულს გზარავს „ნაცმოელების" სანაქებო იუსტიციის სახლის ბაქანალია. (ამ საყურადღებო არქიტექტურულ კომპლექსში – ავტორი – **მ. ფუკასი** – იდუმალებს მზაკვრული ჩანაფიქრი: იგი ზედზედიდან ლოტოსია. ჰომეროსიდან ცნობილია ლოტოფაგების სემანტიკა – სამშობლომჭამელების, მამულიყლაპიების, გნებავთ, ქვეყნის გამყიდველების თუ ბოლშევიკური „ხალხის მტრების" შინაარსით. მიუსადაგებ ამ დედააზრს იუსტიციის სახლის გარეგნულ ბრჭყვიალებას და ყველაფერი ნათელი გახდება. ამ მოსაზრების გასაძლიერებლად დამატებით შემოვიშველიებთ თავად ლოტოსის მშვენიერი ყვავილის გამოსახულებას და კიდევ ნიუ-დელიში 1986 წელს აღმართულ **ბაჰაის** სათაყვანებელი „ლოტოსის ტაძრის" რეპროდუქციას (ავტორი – **ფარიბორზ საჰბა**), სადაც ნებისმიერი რელიგიის წარმომადგენელს შეუძლია ილოცოს, რამეთუ ეს მრევლი საკუთარი თავის დამვიწყებელი კასტაა, იგივე ჩინგიზ აითმათოვის მანქურთები რომანიდან *„И ДОЛЬШЕ ВЕКА ДЛЫТЬСЯ ДЕНЬ"*). აქ კი, ჩვენთან, ამ ანტისახელმწიფოებრივ კამპანიაში, ფართო მასშტაბით ჩართულან ინდოელები, ჩინელები, არაბები და კიდევ – ათასი ჯურის მოქა- ლაქენი გაფაციცებული სომეხი თუ დოყლაპია ქართველი დილერების მესვეურობით. მე მოვითხოვე საზოგადოებრივი ურთიერთობის სამსახურისაგან სტატისტიკური მონაცემები – თუ რამდენ უცხოელს, რა ოდენობის მიწის ფართობი შეუძენია ლოტოფა- გების იუსტიციის სახლის დაარსების დღიდან, მაგრამ მსგავსი ინფორმაციისათვის მათ საჯარო რეესტრის სააგენტოსკენ მიმითითეს.

თავად ქართველების დემოგრაფიული გენოციდის სქემა კი დაახლოებით ამგვარია მოყვარე მტრისაგან: სამუშაო ადგილები მიზანმიმართულად არ იქმნება წლობით. „მარტინ ბაუერი", სხვები განგებ გვიჩანაგებენ სტრატეგიულ დარგებს – მეჩაიეობას, ენდემურ ჯიშებს, მსუბუქ მრეწველობას, მეაბრეშუმეობას... უცხოეთში საშოვარზე გადაგვიხვეწავეს ქართველობა და შედეგად მივიღეთ ის, რომ ლამის მუქთად იყიდება დღეს ჩვენი საარსებო გარემო. ქვეყნის ბიუჯეტში შემოსულ მილიონებს კი „ნაცმოელების" პრივილიგებული ჩინოვნიკობა ითვისებდა უცხვირპიროდ ზორბა-ზორბა პრემიების, გაუმართლებელი მივლინებების, აღვირახსნილ ღრეობათა „საჭიროებისათვის" და ვინმეს თუ ოდნავ შეეხნენ სახალხო დოვლათის მისაკუთრების ბრალდებით, თურმე პოლიტიკური ზეწოლაა, პოლი- ტიკური ანგარიშსწორება!

საპასპორტო ვალდებულებანი ყველა ცივილიზებულ ქვეყანაშია დაწესებული, მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ კუთხით გიგა ბოკერიას სახელმწიფო „უშიშრობის" სამსახური თითსაც არ ატოკებს. მაგალითისათვის, ერთი ჩვენი თანამოქალაქე **ნ. შ.** ვერაფრით გადაურჩა დეპორტაციას ირლანდიიდან, იმისდა მიუხედავად, რომ იმათი ენა მშობლიურივით აითვისა, ყირმიზიც იყო და გავლენიან ხანდაზმულსაც უვლიდა მზრუნველობით. რა სურათია ჩვენთან?! არალეგალი ზანგი **ჯონსონ ვაესია ნიგერიიდან** (თუკი მათხოვრის დაქართულებულს დაეჯერება), დღესაც ჯიუტად იწვდის ხელს „რუსთაველის" მეტროპოლიტენის შესასვლელთან. ეს ჟესტი ნეგროიდის თანამოქალაქედ აღიარების ფსიქოლოგიას ემსახურება. **„გაიღეთ მოწყალება შავკანიანი ქართველის მიმართო!"** გეჭედება გონებაში, თითქოს მეტროპოლიტენის ვაგონებში დაჩოქილი ბოშა მათხოვრების არიები არ გვყოფნიდეს. იმოსებიან თეთრი ჩოხა-ახალუხებით ჩვენი მიამიტი მოსახლეობის გულის მოსანადირებლად. მათ დეპორტაციაზე ხმის გაღება კი ქსენოფობიაა, რასიზმი. უნებურად გეფიქრება, რომ „ნაცმოელებს" მთელი პლანეტის საქართველოში შეყრა განუზრახავთ. ესეც – ნაკმაზი. ქართული მიწების დემოგრაფიული ფანდით დატაცების საქმეში გამოარჩევენ XXI საუკუნის ვინმე ხანუმა **წ. ნ-ოვა**-ს, რომელიც ჩინებულად აკვარახჭინებს თურმე არალეგალების ჩამოსიძებას ხუთივე კონტინენტიდან. დიახ, უცხოელების მოზიდვის ციებ-ცხელებაა გაჩაღებული დღეს საქართველოში ქართველების ამოსაძირკვად! საილუსტრაციოდ, 1988 წლის აღწერით საქართველოში 5 424 400 მოქალაქე აღირიცხა. აქედან ქართველი – 71, 3 პროცენტია; 1995 წლის სტატისტიკით საქართველოს მოსახლეობა 5 061 700-ამდეა შემცი- რებული. 2003-ში – 4 315 200 მოქალაქეა. აქედან ქართველი 1979-ში – 3, 433 000 მოქალაქეა, 1989-ში – 3 787 000, 2002-ში – 3 661 000. ამას მივუმატოთ საუკუნეობით გვარნაცვალი ათასობით „ქართველი" და ბოლო 9 წლის განმავლობაში „ნაცმოელთა" საჩუქარი არალეგალების ჯგრო და მიმიხვდებით, სატაშფანდუროდ ნამდვილად არ გვცხელა.

კანონი ატუსაღებს დამნაშავეს; მეთევზენი ზღვის მორიელს შხამს ამოაცლიან და გაუშვებენ ხოლმე. ქართული მწერლობაც ასე იყო ოდითგან (**ი. ჭავჭავაძე, ნ. მიწიშვილი, ა. ბაქრაძე, ზ. გამსახურდია, თ. წივწივაძე**), ამხელდა საზოგადოების წურბელას და სამშვიდობოს ისტუმრებდა ნიღაბახდილს, სანამ ეკლიან **მაყვლოვანში** არ გაიბურდა უარყოფით**რეზ**უსიანი ეროვნული სიტყვიერება ჩვენი; ამოანთხევინე უსამართლოდ მისაკუთრებული სახალხო დოვლათი ვიგინდარას და... მიუშვი ნებასა! დაე, იხუნტრუცოს ქვეყანაზე ნიადაგ შეჩვენებულმა! ჩვენი კრედო შეუთავსებელთა შეთავსებაა – თეზა-ანტითეზა-სინთეზი (**ჰეგელი**); ჩვენი კრედო თავისუფლებაა – შეგნებული აუცილებლობა; ჩვენი კრედო მრავალერთიანობაა – ნაწილისა და მთელის თანამშრომლობა (**კანტი**), მაგრამ ქვეყნიერებაც რომ დაიქცეს, მართლმსაჯულება უნდა აღსრულდეს! (**რომაული სენტენცია**).

და აი, ამ საუნჯეების მეპატრონე ხალხს, რომელნიც დღესაც ჯიუტად ვიმეორებთ ზოგადკაცობრიულ სტრიქონებს: **„იქნება ვეფხის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა, წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისაო"**, 9 წელიწადია ულტრაგლობალისტი „ნაცმოელები" უქართველებო საქართველოს გვიკმაზავდნენ ლოტოსის სახურავიანი იუსტიციის სახლის სალაფავით, თუმცა იღბალზე თანადროულად მოგვწევია კოალიცია „ქართული ოცნების" გამეინიაც და მერამდენედ მოტყუებულო მწერალო, ქართველობავ, სრული იავარქმნისაგან გადარჩენა ბეწოთი მაინც თუ გვწადია, პრემიერ-მინისტრის გვერდით ყველა!

07.07.2013















ჯწერალთა კავშირი რჩება ულაზურ, ულიათო კავრთიანად



მწერალთა კავშირიდან დამირეკეს და მკითხეს: ,,გადადიხართ თუ არა მწერალთა ეროვნულ აკადემიაში და იცით თუ არა, რომ ამის გამო გაირიცხებით კავშირის წევრობიდან!“ — გამაფრთხილა ქალბატონის ხმამ.

დაუფიქრებლად მიუგე: ,,დიახ, გადავდივარ მწერალთა ეროვნულ აკადემიაში, რადგან ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ერთხელაც არ გავხსენებივარ კავშირის მესვეურებს. ახლა დავჭირდი?“

ჩვენი მოკლე დიალოგი ამით დასრულდა. დარწმუნებული ვარ, ასე ურეკავენ კავშირის სხვა წევრებსაც და, რბილად რომ ვთქვათ, ,,გარიცხვით ემუქრებიან“.

ფაქტობრივად, გარიცხული ვარ, რადგან ბოლო შვიდი წლის განმავლობაში არანაირი ურთიერთობა არ მქონია მწერალთა კავშირთან. დარწმუნებული ვარ, არც კი იცოდნენ, ცოცხალი ვიყავი თუ მკვდარი.

ამგვარ კავშირში აზრი აქვს ყოფნას? რასაკვირველია, არა.

22 მაისს, მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე მწერალთა სასახლის ჯერაც გაურემონტებელ სხდომათა დარბაზში, ჩატარდა საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის დამფუძნებელი შეკრება, რომელშიც მონაწილეობდა 300-ზე მეტი ქართველი მწერალი. მათ შორის, სახელოვანი პოეტები და მწერლები, მთარგმნელები და გამომცემლობათა წარმომადგენლები.

მწერალთა კავშირს დიდი და სახელოვანი წარსული აქვს. მწერლის სასახლეში დღესაც გუგუნებს ერის ღირსეული მამულიშვილების მიერ წარმოთქმული ბრძნული სიტყვის მქუხარე ექო, რაც საოცარი კრძალვით განგაწყობს. სააკაშვილის ხელისუფლებამ ბინძური ხელებით ,,ბოქლომი“ დაადო ამ მშვენიერი არქიტექტურით ნაგებ სასახლეს და მწერლები უცერემონიოდ გამოაძევა აკაკი ხოშტარიას მიერ ნაჩუქარი შენობიდან.

როგორც იქნა, მწერლებმა თავი მოიყარეს სასახლეში, რომელსაც კულტურის სამინისტრო განაგებს, თუმცა, სავალალოდ, იქ შესვლა და რაიმე ღონისძიების ჩატარება მხოლოდ გრაფიკით, ანუ ,,გარიგებითაა“ შესაძლებელი, რაც შეურაცხმყოფელია. მწერალთა სასახლე მწერლების სრულ მფლობელობაში უნდა იყოს.

ბევრისთვის ცნობილია, მწერალთა კავშირის ყოფილმა თავჯდომარემ, თამაზ წივწივაძემ, სააკაშვილის ხელისუფლების მოსვლისთანავე დატოვა თანამდებობა და დაიწყო აქტიური ბრძოლა ხელისუფლების აღვირახსნილი ქმედებების წინააღმდეგ.

თამაზ წივწივაძის წასვლის შემდეგ მწერლებმა გამართეს მსჯელობა, ვის შეეძლო იმ ურთულეს ჟამს ეხელმძღვანელა ერის ყველაზე მგრძნობიარე, ყველაზე სათუთი და მაღალინტელექტუალური ორგანიზაციისათვის? გადაწყდა, რომ იმ ეტაპზე გონივრული იქნებოდა ქალბატონის არჩევა, რომელიც ქალური ალღოთი მოახერხებდა ხელისუფლების ზვავად მოვარდნილი უხეშობის განეიტრალებას. იბრძოლებდა, რომ დაცული ყოფილიყო მწერლის ღირსება, მოახერხებდა წიგნის, ქართული სიტყვისა და ლიტერატურულ გამოცემათა შენარჩუნებას. აქტიურად ვმონაწილეობდი ამ პროცესებში. თუმცა, ცოტა ხანში რადიკალურად შეიცვალა მდგომარეობა. მაყვალა გონაშვილმა (თავმჯდომარე) ირგვლივ შემოიკრიბა ახლო მეგობრები და მათი ბრიყვული ,,რჩევების“ ტყვეობაში აღმოჩნდა. მან დაიწყო წესდებით გათვალისწინებული მოვალეობები. მკითხველისთვის მოსაბეზრებელი იქნება, დეტალურად განვიხილო ამ მოვალეობათა ნუსხა, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ უხეშად დაირღვა მწერალთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი. ამასთან, კავშირის ხელმძღვანელებმა პასიური როლი აირჩიეს. ეს მაშინ, როცა ქართველი მწერლები ოდითგანვე ასრულებდნენ წამყვან როლს ეროვნულ მოძრაობაში, გნებავთ, ნებისმიერი აქტუალური საკითხის გადაწყვეტაში. როცა ხელისუფლება უხეშად ხელყოფს ეროვნულ ღირებულებებს, ებრძვის ქართულ სიტყვასა და ტრადიციებს, გიხრწნის სამშობლოს, რას უნდა აკეთებდეს მწერალთა კავშირი? ...ცალკეული მწერლების აქტიურობის ხარჯზე გადიოდეს ფონს თუ თავად იყოს ინიციატორი მოძრაობისა, რომელიც შეეწინააღმდეგება სამართლიანობის დარღვევას, ადამიანის უფლების უხეშ ხელყოფას, შემოქმედთა ღირსების ფეხქვეშ გათელვას?

როდის ილახება და კვდება შემოქმედის ავტორიტეტი? მაშინ, როცა იგი არ ასრულებს თავის მოვალეობას და ხელისუფლებასთან საეჭვო გარიგებებს დებს. ფაქტობრივად, მოსახლეობაში მწერლების ავტორიტეტი დაეცა. ამან განაპირობა მზეზე დადებული თოვლივით კავშირის წევრთა ,,დნობა“, ანუ კავშირის რიგების დატოვება. როცა იგრძნეს რაოდენობრივი და, რაც მთავარია, ხარისხობრივი შესუსტების საფრთხე, კავშირის მესვეურებმა „ხელოვნური“ გამრავლების მეთოდს მიმართეს. მაგალითად, სამტრედიაში ერთბაშად 17 „მწერალი“ მიიღეს კავშირის წევრად. ასეთივე ხელგაშლილობა გამოიჩინეს ჭიათურელების მიმართ, ანუ მწერალთა კავშირის კარი, წესდების დარღვევით, ფართოდ გააღეს ყველასთვის — იქ შესასვლელად მხოლოდ სურვილიღაა საჭირო.

გასულ წლებში ათმა მწერალმა მოიკლა თავი. ეს ხომ სავალალოა? როცა ხელისუფლება არ ზრუნავს და ფეხებზე ჰკიდია მწერლის ბედი, ვინ უნდა ქომაგობდეს და ვინ უნდა ედგეს გვერდში მას? ალბათ ის შემოქმედებითი ორგანიზაცია, სადაც ისაა გაერთიანებული. სამწუხაროდ, კავშირის ხელმძღვანელებს მხოლოდ ყრილობის დრო რომ მოაწევს, მაშინ ახსენდებათ მისი წევრები.

როცა ქართული სიტყვა თანდათან იდევნებოდა, მისი მნიშვნელობა ლამის საკომუნიკაციო დონემდე დაკნინდა, მწერალთა კავშირის ამოცანა იყო, დაეწყო აქტიური ბრძოლა, დაერაზმა ქართული სიტყვის ნამდვილი ქომაგები და, როგორც იტყვიან, ხმალამოღებულს ებრძოლა მის დასაცავად, მაგრამ... არც მაშინ ამოიღეს ხმა, როცა ვინმე დეისაძე-ბურჭულაძეები უდიერად მოეპყრნენ სარწმუნოებას, უხამსობა გამოიჩინეს ზნეობის, ეთიკისა და ტრადიციების მიმართ. გასაგებია, რატომ არ ამოიღეს ხმა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებმა, როცა ქართველი ხალხი ქუჩაში გამოვიდა ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების მიუღებელი აქციის დროს. როცა ხალხი (საბედნიეროდ, ის არასდროს ცდება) ერის სულიერ და ფიზიკურ სიწმინდეს იცავს, ვისთან უნდა იდგეს შემოქმედებითი კავშირი? ვის უნდა ემხრობოდეს? გეიპარადის დამცველ ,,მწერალ“ ლაშა ბუღაძეს თუ კოტე ყუბანეიშვილს, რომელმაც ,,მართლმადიდებილები“ გვიწოდა?

რატომ?... რატომ დუმან მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები, როცა უკანასკნელი წლებში საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს პოლიტიკა გლობალიზაციისა და ერების უნიფიცირებისა, რომელიც თავისი არსით მიმართულია ტრადიციული ერების განადგურებისაკენ. ევროკავშირმა უკვე ჩაგვაყენა გაქრობადი ერების რიგში. მომავალი საშინელებას გვიქადის. ასეთ დროს ხელმძღვანელობა კავშირიდან განდგომილი მწერლების აქტიურობის ხარჯზე უნდა გადიოდეს ფონს თუ თავად უნდა იბრძოდეს, უპირველესად, თავად უნდა დრტვინავდეს?

რატომ არ ისმოდა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის კატეგორიული ხმა, როცა ყოფილი ხელისუფლება პროგრესის სახელით ჩიტებივით ხოცავდა ადამიანებს. მათ გვარებს არ ჩამოვთვლი, რადგან სია გრძელია. შეუძლებელია არ ვახსენო გურამ შარაძე, ქუჩაში ძაღლივით მოკლული თანამოკალმის უკვდავი სახელი, რომელიც მწერლური სამართლიანობისა და შემოქმედებითი აქტიურობის მსხვერპლი გახდა.

ჩვენ გვჭირდება ჭეშმარიტი ქართული სულით აღსავსე საქართველო და ასეთივე შემოქმედებითი გაერთიანება, რომელსაც ექნება თანამშრომლობისათვის ლიტერატურული გაზეთი, ჟურნალი... საბედნიეროდ, უკვე გამოვიდა გაზეთი ,,ლიტერატურული საქართველო“. აი, საქმე! იგეგმება ლიტერატურული ჟურნალების გამოცემაც.

მწერლების ორად გაყოფა კარგა ხნით ადრე უნდა მომხდარიყო. დღეს პირველი — მწერალთა კავშირი — მცირერიცხოვან მომხრეებთან ერთად, ინარჩუნებს ძველ სახელწოდებას და რჩება ამ სახელს შეფარებულ უნიათო ორგანიზმად მეორემ იცვალა სახელი, ცდილობს ახალ რეალობას თვალი გაუსწოროს და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ლიტერატურული ცხოვრების მებაირაღედ იქცეს.

დღეს ჩვენი ეროვნული ლიტერატურა ტრაგიკულ, იქნებ ტრაგიკომიკურ, მდგომარეობაშია. ახალი აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლების სახელით, ის მეტისმეტად გაუფასურდა. მაშინ, როცა ლიტერატურა უნდა იყოს ჯებირი, რომელიც წინ აღუდგება დროისმიერ მღელვარე მორევს, იქცევა ფარად, რომელიც დროის უკუღმართობის გააფრთებულ შემოტევას მოიგერიებს. ლიტერატურა და შემოქმედებითი ქარიშხალი სინათლეს უნდა ესწრაფოდეს. ის არ უნდა გახდეს მდარე, ქუჩური, მღვრიე მორევის ჩამყოლი, პირიქით, ქვეყანაში მიმდინარე უარყოფითი ძვრების მიუხედავად, ლიტერატურა მუდამ კლასიკური აზროვნების, სილამაზის კლასიკური იდეისკენ, გამოხატვის კლასიკური ფორმებისაკენ უნდა მიისწრაფოდეს.

„მწერლობა ყველა დროში და ყველა ხალხში მიჩნეული იყო ზნეობრივი სიფაქიზისა და ვაჟკაცურობის რეფლექსად“. ამიტომაც განაცხადა დიდმა გოეთემ, ეს არის ჩემი შემეცნების უმთავრესი კავშირიო. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებმა საეჭვოდ გააბეს კავშირი შემოქმედებით ინტელიგენციაზე მოძალადე ხელისუფლებასთან, ქალაქის მერიასთან, საკრებულოსთან, და არა მხოლოდ მათთან.

ამ სასარგებლო „შეთანხმებების“ შედეგს რატომ არ გრძნობდა კავშირის თითოეული წევრი? ...ცხადია, ხელმძღვანელობა ,,შემოწირულობებს“ მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და საზღვარგარეთ ვოიაჟებისათვის იყენებდა და არა კავშირის წევრებისთვის, არა მათი გაუსაძლისი პირობების გასაუმჯობესებლად, არა ლიტერატურული ცხოვრების ხელშესწყობად.

უფრო მეტიც, კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ოთარაშვილმა, რომელიც ხელმძღვანელობდა საგამომცემლო საქმეს, შეაკოწიწა ,,პროზის ანთოლოგია“ და იცით რატომ არ შეიტანა იქ მწერალ არდაშელიასა და თორიას ნაწარმოებები? მათში გამოყენებული იყო რამდენიმე მეგრული სიტყვაკაზმული. ღმერთო მაღალო! თუ ასეა, მაშინ არ უნდა დაბეჭდილიყო კონსტანტინე გამსახურდიას, შალვა დადიანის, ლეო ქიაჩელისა და სხვათა და სხვათა შედევრები, სადაც უხვადაა მეგრული ხმატკბილი სიტყვები!... რა ჰქვია კავშირის თავმჯდომარის ამ ქმედებას? ...ბეცობა თუ შეგნებული უარყოფა ჩვენი კულტურატრადიციებისა? ამგვარი უგუნური დამოკიდებულებით უფსკრულში ინთქმება საუკუნეებით ნადუღაბარი და ნასათუთევი ჩვენი ეროვნული სიმდიდრე. ხომ ცხადია, რა თავნებობით ექცეოდნენ და ექცევიან მწერლებსა და მათს ნაღვაწს მწერალთა კავშირის მესვეურები? (უფრო ვრცლად ამის შესახებ ჩემი აღშფოთება გამოვთქვი გაზ. ,,საქართველოსა და მსოფლიოში“, 10-12 მარტი, 2011 წ.)

ქართული სინამდვილისთვის, ტრადიციული ერისთვის, მუდამ ფასეულია წმინდა, შთამაგონებელი და ზნეობრივი იდეები, რაც სრულებით არ ნიშნავს უარის თქმას ახალზე, სასარგებლოზე, მსოფლიო ლიტერატურის ტენდეციებზე. მთავარია, როგორი ზომიერებით, რა დოზით შევითვისებთ მას.

პირდაპირ ვიტყვი, არ ვარ მომხრე თვალსაწიერის კასტური შეზღუდულობისა, თუმცა არ უნდა მოვწყდეთ საუკუნეთა გულისთქმას, რადგან ქართული ლიტერატურა მუდამ იყო არისტოკრატული და მისი დაცემა უხამს, ბილწსიტყვიან ნაცოდვილარამდე მიუღებელია. წინააღმდეგ შეთხვევაში დედამიწა ტალახივით აგვიკრავს და საით გაგვაქანებს, არვინ უწყის. ამიტომ უმისამართო, ერის ღირსების საწინააღმდეგო სვლა, გაუაზრებელი ლაჯუნი სიკეთით არ დასრულდება.

იმედია, მწერალთა ეროვნული აკადემია შეეცდება არსებული მდგომარეობის გამოსწორებას, მწერალთა შეკვრას ერთი იდეისა და მიზნისათვის, რომელსაც კლასიკური ლიტერატურული ქმნილებების შექმნა და სამშობლოსთვის ზრუნვა ჰქვია.

ბორის დავითაია.
აკ. წერეთლის სახელობის
პრემიის ლაურეატი

ალეკო გაბელაია

ხოგაის მინდი

ნაწყვეტები

საგოდებელი

და თქვა მინდიამ ჩუმის ხმით:

– ჰა, ესეც საგოდებელი!

წაქცეულ ხის ჯვარს მოდებული ხავსის ჩურჩული:

– საგოდებელი აგოდებულთა!

ისევ მინდია:

– ადგილი მიღმა გარდასაგები!

მინდიას ნათქვამს ქარაგოზა გაეპასუხა, ეპიტაფიის ამომხრავი, ამომჭამელი:

– გარდასაგები გარდაგებულთა!

მერე გავიდა საფლავებს შორის და ერთგან შედგა:

– ესეც ფეხონა!.. საფლავი კაცის, პარასკევ და თავდაკარგულის!

თვალი ჰკიდა ლორფინოზე გლიპტიკით ნაწერს, ამოჭვრეთილს ლათინთა ენით: „SORTES SANCTOR“.[1]

საფლავზე დუნედ ჩაიმუხლა. კითხვა განაგრძო. რიბირაბოზე ძლივს არჩევდა ნახევრად წაშლილ სიტყვებს ლორფინზე. როგორც იქნა ჩაიკითხა ეპიტაფია. მერე წამოდგა, ჩაიფერთხა საფლავის მიწა და გაემართა.

რიჟრაჟის ნიჟი დასდებოდა ატეხილ ჯოყარს – ანწლის და დიყის, შამბ-შალდაყის და ლემხურასი. საფლავის ლოდებს დაფენოდა ღრმა სიჩუმის ბიამანობა და ქვის ფიცრებზე ბევურვათი, გულქვა დუმილი...

– ჰა, ესეც შენი სამარტვილე!.. მოვედი, ლილე!

მომენატრე და მოვედი, ლილე!

რად მოწყენილა ქრიზანთემა შენი სამარის?

ნაღვლიანი და სევდიანი რად ხარ, შროშანო?!

მინდიას ესმა სანატრელი ხმა შროშანისა:

– სევდიანია მარტოობა და უშენობა... სად იყავ, მინდი, მოაქჟამომდე?! ეტყობა ვეღარ გამოერიდე წუთისოფლის ჩიჩმაგურობას, ლახორას ფუსფუსს ამაოს და უნიადაგოს... მომნატრებია შენი ქოხი, შენი ჩოდოლო!..

– მოწყენილია ჩემი ქოხი, ჩემი ომახო, მოწყენილია უშენოდ, მზეო! – მინდია შროშანს ეამბორა, მალალ ფურცელს შეახო ტუჩი და თავდაღებით ჩაიჩურჩულა: – ო, რა ტკბილია, რა ჩაროზი შენი ბაგენი, რა სანიაზო შენი ტანის მორცხვი სიშიშვლე!..

– ერთი ამ გულშიც ჩამომხედე, განა ვერ ამჩნევ, რა ღრმაა შენი სიყვარულის ნაკალდიმარი! ვერ ამომივსო ეს იარა ვერც გრილმა მინამ, ვერც სიბნელემ, – ბრმამ და ყრუანჩამ, ვერცა მდინარემ გადამდინარმა... გადმოიწიე!.. კიდევ ერთხელ შემახე ბაგე! ეგ თბილი ბაგე ჩემს გათოშილ ტუჩს დამაკონე!

მინდია შროშანს კვლავ ეამბორა, მალალ ბაგეთ მიელაციცა. მერე ლოყაზეც მიელამუნა... ვეძა გემო დაკრავდა ამბორს:

„ცრემლი თუ ცვარი?!“

გველნაკბენივით უკუ მიდგა გველისმჭამელი. განკვირვებით გაჰხედა შროშანს. სწორედ, მაშინ შენიშნა მხოლოდ – ცრემლთა ნამცვრევნი ისე ესხდნენ ნატიფ ფურცლებზე როგორც ლადანა დაფიონის ვარდს.

– ნუ იცრემლები სასურვო და ნანინანატრო! მოდი, ეს დილა, ასე კუშტი და მოღუშული, გამიმზევე და გამიღიმილე... ნუ, ნუ იტირებ!.. მოეშვი გლოვას... მე მალე მოვალ!.. სულ მალე მოვალ და შენს წიაღ შევწიაღდები, შეგერთვები და შეგეთვისები!..

მომბეზრდა მიწა უსახური – არაფრისებრი!

მომბეზრდა ეს ცაც უსახური – არაფრისებრი!..

აქ უშენობით სიყვარული გადაბოგინდა!..

ახლა სულ სხვა მზე, სხვა მიწა და სხვა ცა მომინდა...

აწღა მიმიხმობს შენი სამზეო!..

მეც მალე მოვალ!..

სულ მალე მოვალ!..

შენსკენ მოვილტვი, შროშანო, ჩემო!..

[1] SORTES SANCTORUM (ლათ.) – წმიდა კენჭისყრა

უნუგეშო დაგვიანება

მინდია ხედავს, საფიხვნოზე თემი შეყრილა. გვერდის აქცევა განიზრახა და განრიდება. თითქოს, არ ესმის მათი ნაუბრის, მათი ენა დავიწყნოდეს ქაჯთ ენის მცოდნეს.

ჰა, საფიხვნოსაც მიუახლოვდა. აქ მეფანდურემ აღიელი ესროლა მზერა. ჩამოჰკრა ლარებს და საკრავი აახმიანა:

გვიამბე, ხოგაის მინდო,
რას ჭვირობ, რა დაგისახავს?
მიწად ხარ – მიწის არა ხარ,
ცად არ ხარ – მაინც ცისა ხარ.
რადა ხარ ასე მდუმარი,
ნიადაგ გაბეჩებული?
განზე მიითრევ აჩაჩას,
ვით ხარი ვირთან შებმული?
განა ესეა სოფელი,
საწუთრო ჭკვათამყოფელის?

მინდია შედგა. ორბის თვალნი გაუისრა მემუნასიბეს. თავშეყრილ მილეთს გადაავლო მზერა ურიბი.

სწორედ იმავ ჟამს გამოხედა ხევის ქადაგმაც. მარჯვენა ხელი დაუქნია, სათემოს იხმო.

სხვა გზა არ ჰქონდა და მიიღო ალდიას წვევა. თემს გაერია. პირმარხული ჩამოჯდა ლოდზე.

უთხრა ქადაგმა თეთრწვერამ და ხანმოთეულმა:

– მინდიავ, ჩემო, გარე-გარე დაიარები... გვითხარ, რაისთვინ გაგვიმწირდი, გაგვიყარიბდი? ისე ჩანს, თითქოს, ჟამი ჩვენი გაგიუცხოვდა, სხვა ჟამთასვლისკენ მიიჩქარები!..

მინდიამ წვერზე ჩამოისვა გრძელი თითები. თავი ასწია. მიმოავლო თვალი მი და მო. ყრუდ წამოიწყო სათქმელი და საუბნობელი:

– ანდრეზმა იცის: როცა კაცი იქცევა ქალად, ხოლო დიაცი დაიჩემებს მამაკაცობას, როცა სამოზვრეს შეცვლის საფურე, როცა იქცევა მცირედი დიდად, ხოლო დიდი განამკეკდება, როს უცხო თესლი გაღივდება მშობელ მიწაში, ზანდურის ნაცვლად გაიშლება უცხო მცენარე, უცხო ცხოველნი მოედება სანახ-საძოვრებს, გადაეყრება უცხო არსებებს – ეს ნიშანია, ალდიავ ჩემო, საფათერაკო, ნიშანი რამე უცხო ჟამის ჩამოდგომისა...

თქვა და იყუჩა გველისმჭამელმა. დადუმებულ თემს გადახედა ქაჯთა მეენემ. თითქოს მითური მდინარიდან ამოსხლეტილი, ორაგულს ჰგავდა კბოდოვანზე მზით გამოთანგულს. მერე მოსწყვიტა თვალი საწიერს, ქურუმს მიაპყრო მზერა ორჭოლი:

– ეჰა, ალდიავ, არეასა, ცა მეხუთესა ზედა მჯდომელსა, შეაშფოთებენ სხვა ცთომილები; წკვარამი ღამე ჩაუწვება დიას თვალებში; ერმის ბრკიალიც გახამდება, გადაშავდება; ბედითი ჟამი დაუდგება თავად ოტარიდს. ვეღარ იპოვის გზას ის მოსარიდს... სულ სხვა მდინარე ელოდება აწ უკვე ყამარს... დედა მდინარე შეხორგდება, მერე დადგება და დაგუბდება, აჭაობდება როგორც წყალი დიდი ონჯარის...

ნუთუ, ქადაგმა ეგ არ უწყი, ნუთუ არ იცი?!. მგონია ხედავ ყოველივეს, რაც გველოდება და მაინც მალავ ბედისწერას შენსას და სხვისას...

ცროლის მწვერვალზე ხადუს სალოცავს არც სანთელი და აღარც ცეცხლი აღინთება აწი თავისით.

ჩვენს სალოცავზეც მალე სხვანი ჩამოდგებიან, სხვა ულუკნი და სხვა მარისკონნი. საზორავებსაც მოლალავენ გველის სახლიდან, სტოას წინამო გამოდგამენ კერპს ურჩხულისას, კერპს უნასისას დასაბამითის... ხსოვნაში ბური ჩამოგვიწვება, ამოგვირეცხენ გონებიდან წმიდა ლოცვანებს, წმიდა სიბრძნეს წინაპრებისას, იმათ მითებს, იმათ ანდრეზებს...

ვინ გაგვცემს პასუხს, ახლა ვინ ვართ, ანდა სადა ვართ? რად დაგვიგდია წავარნები მამა-პაპათა?!.

მინდიამ დინჯად ჩამოისვა ხელი თმაწვერზე. თავი ასწია, მიმოავლო თვალი მი და მო. დადუმებულმა ფიქრის ჭაში ჩაჰკიდა თავი.

დუმდა საფიხვნოც, საყდარიც და ხატსალოცავიც.

ბოლოს წამოდგა. ააყოლა მზერა საფიხვნომ, ხოლო მან წარსთქვა:

– გაბურის ეშმაკს მოყურადენო! მთებზე კურდღლის სისხლის ჟამი ჩამოგდგომიათ. ჩამოგჟამნიათ ჟამთა ცვლის ჟამნი, დრონი ურწყთა, ყვავთაღვსებისა...

მალე!.. სულ მალე გადმოდგება ცაზე ორი მზე!..

ონი უარგყოფთ როგორც შვილებს, თუთა-მთოვარე ღამის სრიელთ არ გაგიშუქებთ!..

მშვიდობით იყავთ!.. შემოგივლით შვიდი დღის თავზე, გამთენიისას, დღეს – თუთაშხას, ჟამს წინაუკმოს, როცა ზეციდან ხვთისშვილები ჩამოხდებიან; როცა ულუკი დედაკაცის ბრმა წიაღიდან ხმა მოგესმებათ, ხმა იდუმალი, მხოლოდ თქვენთვის არშესაცნობი; როცა ბჟადალურს დაედება ფერი სისხლისა; როცა ვარსკვლავნი მოსწყდებიან ცათა კაბადონს და მთვარის ღმერთი თავუკულმა დაეკიდება, გადაფერდდება როცა ჭირანო... ე, მაშინ მოვალ!..

ახლა სავალს უნდა დავადგე!..

– შეჩერდი, მინდი, ჭკუამზიანო, დახანდი ენადაუგვალავო! მო, მივაშუროთ ხადუს სალოცავს, ცროლის წვერისკენ ავუყვეთ ბილიკს. იქნებ ხატები მოვიბრუნოთ ჩვენგან განმდგარნი?!

– ეჰა, ალდიავ, ვერაფერს შევცვლით!.. ჩვენ უიმედოდ დავაგვიანეთ! დავაგვიანეთ აბორჯებულ ამ ჟამთასვლაში...

ჰა, საცა არი იგრგვინებს მიწა, შეძრწუნდება და შეშფოთდება მისი წიაღი; ცროლის მთას მეხი დაეცემა, მხუთრი, ფარილი ავარდება ხადუს სახატეს; პელაგონს ჩანთქავს წყალთა უფალი; არსაცნაური გაგიხდებათ ეს მზისქვეშეთი... საწიერს შეცვლის უწიერეთი, ხოლო სასიერს – უსიერეთი!..

ჩვენ უნუგეშოდ დავაგვიანეთ!

დავაგვიანეთ სამარადისოდ!..

გაბაჯანიღა დაგვრჩა სავალი, – მცირე მანძილი, – გაორკაპებულ სალოკავ და შუა თითს შუა.

უნდა წავიდე მზის დაცემამდე, ვიდრე ჰორიზონტს დალეკავდეს სინგურისფერი...

გამოტრიალდა და გაუდგა ნარვალ-ღრანტეზე საბელივით ჩაგრეხილ ბილიკს.

შეუცნობელი დარჩა თემისთვის ხოგაის მინდის სათემოსგან ასე განდგომა, მისი ასე უოგურობა. სხვადასხვა დარჩა მათი გზა და მათი კირიბი, სხვადასხვა – მათი სახბე-ხილიფი...

ადგა. წავიდა. პირმარხული დატოვა თემი – ლაშმორღვეული, ლაშლაშა და პირმოუკრავი, თემი – ლახორა და ლოლობქარი.

წითელი ფიჭვის სიკვდილი

მიუყვებოდა კარკაროვანს, საცალფეხოს წყლტუ და სალ კლდოვანს. ქვავნარს ფერავდა ჟანგისა და ფერი სინგურის. მხარმარცხნივ ღრანტე, ნარვალი და ღრმა ჩანაქცევი. ყურს მიუგდებდა აღიბორგებულ წყალთა დანაჩქერს, აღმოდუღებულ ზეაღმოჭრილ ჩქერალთ ზვირთებად, ლოდნართა შორის მჩქერვალოსა გოჩგოჩანებად.

მინდია თავქვე ეშვებოდა. თავის თავთან მიიუბნობდა. აგონდებოდა მხევალი ტაძრის, მეძავი იგი ინანას ტაძრის, ლაჭანზე მწოლი რომ ებრძოდა მძიმე ანთრაკას. თავს წამოადგა მეძავს ქურუმი. მიმართა ჩუმად, ყრუდ და ულიმად:

„ჩაროზი იყავ, ვითარცა ცოდვა – ცოდვა პირველი! ახლა კი, – მწარე, – დასასრული იმა ცოდვათა...“

მინდია მიდის და ეშვება ქარაფებიდან. ფიქრობს, სამყარო ვითარ ქმნილა არაფერისგან!.. ვით იბრუნებდა ურმის თვალი, აბა, ტაბჟირზე, თუ არა იგი უშფოთველი სიცარიელე?!..

ვინ დაუდგინა ყვავილობა ამ ფურისულებს? საიდან ფერი ყაყაჩოთა, მაგნოლიათა?! ვინ მისცა სული ლილუფარებს ანდა იელებს? –სიცარიელემ ?! შეუძრავმა სიცარიელემ ?!..

ოჰ, ღმერთო ჩემო, ვით შეიძელ ეს ყველაფერი ამოგემზევა, ამოგექნა არარაისით ან დაფიონი შეგეცვალა მრეშა დაისით, ხოლო დაისი... – უცებ შედგა, ყური უგდო ბიამან შორეთს: – ვისი ხმა ისმის?! ვისი სული გაჩქმდა და ამოხმიანდა?!..

ურიბი მზერით მიჰხედა მარცხნივ, კლდეს მიაშტერდა ტიტიბისფრად აფორაჯებულს. ზედ ქარაგოზას ჩირთი დალანდა, ჯერაც უმწეო, ლურტყი და უგბო. მიეახლა და მიეალერსა, თითქოს, სულიერს რასმეს ჰგაობდა:

– სალამი შენდა, პაწაწინავ, მშვიდობა შენდა! რად ჩანხარ აგრე ლიტანი და ობოლ-ლიტონი?

– ხელი მიადე ამ კლდეს, მინდიავ!.. მიადე ხელი! ხედავ, როგორ ხურს? შემდგომია ცეცხლი და თუთქი... გამოიმეტე ერთი წვეთი, სულ ერთი ლეშხი, რომ მზის ჩასვლამდე მივიტანო მალალი სული!..

მინდიას გული მოეწურა, სული შეეძრა ბასრმა სალმობამ გაუსერა მთელი სხეული. ორთომელს, მხარზე გადაკიდულს, შეავლო ხელი. შეხსნა კამენი, წყალი მისცა მწყურვალ სიცოცხლეს. კლდეს მიაშხეფა მტევნით ლეშხები... კლდე აშიშინდა, აუვიდა ტინს ოხშივარი... ისევ და ისევ... ორთომელი ჩაანახევრა. გამოცოცხლდა ნორჩი ლიქენი, საცეცები ააფახულა.

– ქვეყნიერების მეპატრონემ მოგაგოს მადლი, კითხულო კაცო, მენცართა შორის... აგე, კვირაა არ ყოფილა აქეთკენ თქორიც... ვინ ჩივის თავსხმას?.. გადარუჯა მზემან კლდეები... –ანაზდეულად მიჩუმდა ხავსი. ხოგაის მინდის გახედა გეზად: – საით მიდის გველისმჭამელი? ნეტაი, საით მიეშურების?

– ვიდრე განუნში ჩაეშვება უთუ-შამაში, დაუტევებდეს ვიდრე კოჭიმელს, ცის კაბადონზე ვიდრე შეცვლის იმას ყამარი, უნდა მივიდე, მივანიო ლილეს სამარეს, სანამ მზუარეს დაიჭერდეს მთვარის ნათელი... აი, ეს მიმაქვს, უნდა დავრგო ეს მის საფლავზე... ამ პაწაწუნა მინდვრის ყვავილს, „საპოვნელას“ რომ ეძახიან ადამის შვილნი...

– მშვიდობით გევლოს, სულთა მისანო! ლილეს ლორფინოს დახიზნებული მომიკითხე სანათესაო, ჩემი მისხი, მისადევარი, ჩემი სისხლ-ხორცი, საძმაონი და სადაონი... მშვიდობით იარ!..

ხოგაის მინდი კვლავ დაადგა ვიწრო წავარნას. ღრანტე-ფლატებზე ეშვებოდა, ოკრო-ბოკროზე. თვალთა მოჩრდილვით გახედავდა მზეს შუბის ტარზე. ჩქარობდა მინდი, სურდა დროით გადაევლო მრეშა ჭეონი.

მალე ჭიუხნი ჩაიოროკა. ხევ-ხევ დაუყვა ჭევლს და მონიოს. მერე მდინარეს, ფშუბად დაყოფილს, უპოვა ფონი. გადაიარა და ფიჭვნარს დაჰყვა. სრიელს, ნიადაგს გაფენოდა ყანდი წიწვები, ხმელი ღიჭი და ქერქეჭანა, ყოველ დგმაზე რომ ხრამა-ხრუმობდა. გალბილდა ფეხქვეშ მიწა ხუერეფი... უწია მაღნარს და ტყეს შერეულს და... ბოლოს ვრცეულს წაადგა მინდორს – ადგილს მზუარეს... იმის მიღმა ჩანდა კორომი. მარცხნით კორტოხი. წყვილი ფიჭვი კორტოხზე მდგარი...

გაგრძელება მე-20 გვ.

(დასასრული. დასაწყისი მე-119 გვ.)

ანაზდეულად გულხენეშმა გაკრა გუმანმა. ერთს, – მარჩბივთაგანს, – წალეკოდა მრეში და გრემა...

მარჩბივი ფიჭვნი! – ერთი შავი, ერთი წითელი. ფიჭვნი – ერთურთის მოყვარული ქმარი და ცოლი – ხმაშეწყობილნი სალამურნი, ამო ხმიანი ორი სტვირი, ორი ათასი წელი უწყვეტ რომ ასრულებდნენ არამიწიურ მელოდიას – მისტერიას წმიდას, საკრალურს...

ფიჭვი წითელი უსიცოცხლოდ აწოწილიყო, ხოლო შავი – ჩარინდული ყარაჩ გლოვაში.

მინდიამ ფიჭვთან ჩაიმუხლა. ხელის გულები შემოაჭდო ხეს გახევებულს, ტანს მისას, ლაფანხაოიანს, სხეულს კეტრიანს მიადო ყური. სიცოცხლის ჩქამიც არ ისმოდა შრეთა სიღრმიდან. ორი ათასი გამირი და წრე-ოდრიკალი!.. მრავალშრეული... – მისხალ-მისხალ აღნუსხული წელთა წალიკი. უსაზღვრო მისი მატიანე, მისი ხაბარი... განა დარჩა ვინმე მკითხველი? ვინ წაიკითხავს ამა ფიჭვთა ბიოგრაფიებს?

უენოა მათი სამყარო. უსიტყველი მათი ქაროზი... განა კაცმან, ვინაც იმეცნა, ყოველივე აღმოიკითხა? ნუთუ, არაფერს გვეუბნება მათი მოწყენა ან სიხარული, ან ანაზდი შიშით მიბნედა? – ესე ყოველი მათი ენა, მეტყველებაა, თუმც კი უბგერო და უსიტყველი...

შორით ისმოდა ხეთა გლოვა, ხეთა ერანი. თვალმონამულმა გახედა მინდიმ. ვარჯდადრეკილნი, თმაჩაშლილნი იდგნენ ხეები – ჭირისუფალნი მეერანენი, მათი თოხუმის, ჯიშ-ჯილაგის მესამძიმრენი, უხმო გლოვის მოზიარენი...

წამოდგა მინდი. ფიჭვს მიადგა დაცალმაგებულს. უსაზღვრო ჩანდა საგოდისი გველისმჭამელის. შავნაღვლოსანი შავ ფიჭვს მიენდო. მკლავმოხვეულმა წაიჩურჩულა:

– მოზიარე ვარ შენი გლოვის, შენი გოდების! თანამევნე და თანამეხმე შენთა ტკივილთა! უმძიმესია სამყაროზე – სალმობა ჩემი, ნაღველი – სიღრმე ჩაუწვდომელი, ზაფრი და ელდა – განუწოვნელი... – იყუჩა წამით. ხის გულისთქმას მიაყურადა. ანაზდეულად შეცბუნდა და განკვირდა ფრიად – მგლოვარის სული, ჰო, ვითარცა ენთუსია-ქმნილ, კვლავაც შესტრფოდა თანამეცხედრეს! მაშინ მინდიამ აღაპყრნო ხელნი და შეჰღაღადა: – სულო, ღვთივ განბრწყინებულო, ბილანად ვუხრი ქედს შენს ძალას, შენს სიდიადეს!.. მან ის წაგგვარა, ყარაჩუნამ, ჯუჯა მულიდმა! მოგიკლა სატრფო, საყვარელი არსება შენი! მან დაადუმა სოინარი – სტვირნი წყობილნი. მიაჩუმათა მელოდია მისტერიული, გარნა სიყვარულს ვერაფერი ვერ რა დააკლო, ვერ მოკლა იგი, მისი შუქი ვეღარ დაბინდა!.. არის რაღაცა, იქნებ ძალზეც სადა, უბრალო, რომლის წინაშე უბოროტესიც მოწიწებით მოიდრეკს კისერს...

და კვლავ დაემხო მინდი პირქვე და აქვითინდა.

აღარ ისმოდა მელოდია მისტერიული...

მიჩუმქრულიყო ჭრინვა ამო და საკრალური...

მხოლოდ ერანი მეერანენთა!..

მხოლოდ გლოვანი მგლოვიარეთა!..

მხოლოდ ტყენანი გეენას ცეცხლით, შავეთის ცეცხლით მოტყინარეთა!..

...მინდია პირქვე ჩამხობილი ეგდო მიწაზე. უცებ ამღერდა სტვირი უჯუფთო:

რა გულუბრყვილო ვყოფილვართ, როცა
გვეგონა გვედო სავალი შორი.
თურმე რა მოკლე ყოფილა გზები
პირველ და ბოლო განთიადს შორის.
რა ტკბილი, თურმე, პირველი ცოდვა,
რა მწარე, თურმე, ცოდვათა ბოლო...
და რომ გვეგონა ცხოვრება ამო
ყოფილა მხოლოდ...
ტკივილი მხოლოდ!..
როგორი წმიდა და რა უმანკო
გული, რომელიც მაშინ მომანდე.
რა უსასრულო გვეგონა ჟამი
დაფიონიდან დაფიონამდე;
რა მშვენიერი – ეული მთვარე
ფერმოხდილი და ფერმინავლული.
ულამაზესი – დღე შეცოდების,
უფრო ლამაზი – დღე სინანულის...
რა გულბრიყვილო ვყოფილვართ,
როცა
გვეგონა გვქონდა სავალი შორი.
თურმე რა მოკლე ყოფილა გზები
პირველ და ბოლო განთიადს შორის...

მინდია პირქვე ჩამხობილი ეგდო მიწაზე...

ქვეყნიერებას დასტიროდა გველისმჭამელი.

►► ►► ორი განსაკუთრებული სიახლე ◄◄ ◄◄

ამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ქართულ ლიტერატურულ სივრცეში ორი ახალი სასიამოვნო და საყურადღებო მოვლენა მოხდა:

შეიქმნა მწერალთა ეროვნული აკადემია;

აღდგა ყველასათვის საყვარელი გაზეთი „ლიტერატურული საქართველო!“

მას შემდეგ, რაც ხელისუფლებას ვარდოსნები მოასხდნენ და მათთვის მიუღებელი ინტელიგენცია „ჩარეცხილებად“ გამოაცხადეს, საქართველოში კულტურის დეგრადაცია დაიწყო, რადგან ხშირად ამკობდნენ არა მხოლოდ უნიჭო, არამედ ამორალურ მწერლებს, ვინც საკუთარი დედის მიმართ სექსუალური ლტოლვის გამომხატველ ნაწარმოებებს აქვეყნებდა და ქართველთათვის უწმინდესი პიროვნების, მეფე თამარის ღამეების აღწერას „ჭვრეტდა“ „მწერლური თვალით“. საინტერესო ის იყო, რომ მთელი რიგი გამომცემლობები სიამოვნებით ბეჭდავდნენ და ყვითელი ჟურნალ-გაზეთებიც სიხარულით უთმობდნენ გვერდებს ამგვარ მართლაც რომ ვაიმწერლებს. თუ არა კულტურის დეგრადაცია, მაშ სხვა რა ვუწოდოთ საოცრად სულელურ თეატრალურ სპექტაკლს „ქეთო და კოტეს“, რომელიც მხოლოდ პრანჭვა-გრეხა და უნიჭო გადამღერებაა ამავე სახელწოდების შესანიშნავი ფილმისა.

და კიდევ რომელი ჩამოვთვალოთ...

არანაკლებ გასაოცარი ის იყო, რომ ამ ყველაფერს საქართველოს მწერალთა კავშირი უხმოდ, უკრიტიკოდ ადევნებდა თვალს, არ ტეხდა განგაშს და მხოლოდ საკუთარი ყოფითი საკითხების მოგვარებით იყო დაინტერესებული.

მწერალთა კავშირის მესვეურებს დიდად არც მაშინ შეუწუხებიათ თავი, როდესაც დახურეს „ლიტერატურული საქართველო“ – გაზეთი, რომლითაც ათეული წლობით ვსულდგმულობდით თბილისს გარეთ მცხოვრები შემოქმედები.

მადლობა ღმერთს, ეს დრო დამთავრდა და „ლიტერატურული საქართველო“ გაცოცხლდა, მასთან ერთად კი ყველა ის მწერალი და პოეტი დაიბადა ხელმეორედ, ვინც მართალი, წესიერი სიტყვითა და საქმით ემსახურება ქართულ მწერლობას (დიახ, მწერლობას უნდა ვემსახუროთ და არა მწერლობა ვიმსახუროთ!)

ამიტომ უდიდესი მადლობა ცნობილ მწერალსა და კრიტიკოსს, თამაზ წივწივაძეს, ვინც შეძლო და ეს გაზეთი კვლავ აგვიღორძინა, ამასთან სათავეში ჩაუდგა მწერალთა ახალ გაერთიანებას.

მადლობა დიდ პოეტს (თუმცა თავად განაცხადა, ამგვარად არ მიწოდოთო, მაგრამ ეს ეპითეტი დღეს ნამდვილად რომ მიესადაგება „შუაფხოს“ ავტორს) რეზო ამაშუკელს, ვისმა ძარღვიანმა სტრიქონებმაც, აქამდე რომ არაერთხელ ტკივილით გახმიანებულა „ასავალ-დასავალში“, თავისი წვლილი შეიტანა სრულიად ახალი სამწერლო გაერთიანების – მწერალთა ეროვნული აკადემიის – ჩამოყალიბებაში.

მადლობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ბატონ ელიზბარ ჯაველიძეს, რომლის შემობრძანება მწერალთა ეროვნულ აკადემიაში, რასაკვირველია, განსაკუთრებულ ძალას შემატებს ახლად დაფუძნებულ ამ დიდ სამწერლო ორგანიზაციას.

მადლობა კობა არაბულს, რომელმაც ძალისხმევა არ დაიშურა და ქართველ მწერლებს მომავლის რწმენა გაგვიღვივა.

გაჩნდა იმედი, რომ მწერალი „ჩარეცხილად“ კი აღარ გამოცხადდება, არამედ, როგორც მისი უწმინდესობა ბრძანებს:

მართლაც რომ ღმერთს არ გავუწირივართ. ახლა ჯერი ჩვენზე, ქართველ მწერლებზეა, რათა ჭეშმარიტად მაღალმხატვრული „სიტყვა გადავაგდოთ ხალხშია“.

ანზორ სიფრაშვილი

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქპრესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესექსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში:
ქ. თბილისი
სს „პროკრედიტბანკი“
კოდი: **MIBGGE22**
ანგ. № **GE61PC0183600100029708**

გაიხსნება შოთა რუსთაველის მუზეუმი?

შოთა რუსთაველს 850 წლისთავი უსრულდება!

2009-1010 წლებიდან საქართველოს ხელმძღვანელობის უმაღლეს ორგანოებში ვაყენებდი საკითხს თავისუფლების მოედანთან ახლოს, ლეონიძის ქუჩაზე არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის სხვა ადგილზე გადატანისა და ამ ისტორიულ და ძალზე ლამაზ შენობაში შოთა რუსთაველის მუზეუმის გახსნის თაობაზე.

ამ განცხადებებში ვწერდი, რომ ერთი დიდი დარბაზი დაეთმობოდა საქართველოს „ოქროს ხანას“ – მე-12 საუკუნის მუდმივმოქმედ გამოფენას მთელი თავისი ბრწყინვალებით. ასევე ერთ დარბაზში მოეწყობოდა უნიკალური ხელნაწერების მუდმივმოქმედი გამოფენა. თანაც შოთა რუსთაველის მუზეუმიდან 500 მეტრის ფარგლებშია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმი, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი, იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი „ქარვასლა“, ეროვნული გალერეა, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ყოფილი კადეტთა კორპუსი და სხვა.

არსაიდან პასუხი არ მიმიღია.

2011 წლის 28 იანვარს ეს განცხადება შევიტანე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სახელზე. დღემდე პასუხი არ მიმიღია.

გამახსენდა, რომ ნაციონალებს აქვთ ასეთი ლოზუნგი: „საქმე ლაპარაკის ნაცვლად!“

2012 წლის სექტემბერში ეროვნული ბანკი სადღაც გადაიტანეს და ამჟამად ეროვნული ბანკის შენობა თავისუფალია!

2016 წელს ყველაზე დიდ ქართველს, უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს შოთა რუსთაველს უსრულდება დაბადებიდან 850 წელი!

ეს თარიღი ალბათ უფრო ღირსეულად აღინიშნება დამოუკიდებელ საქართველოში, ვიდრე 800 წლისთავი აღინიშნა 1966 წელს საბჭოთა საქართველოში.

იმედი მაქვს, ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება, მრავალი პრობლემების მიუხედავად, აუცილებლად გახსნის შოთა რუსთაველის მუზეუმს ან ეროვნული ბანკის შენობაში (თუ ნაციონალებს უკვე გაყიდული არა აქვთ), ან სხვა შესაფერის შენობაში და ღირსეულად ვიზეიმებთ შოთა რუსთაველის 850 წლისთავს!

მიხეილ მუმლაძე

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
თამაზ წივწივაძე

E-mail: litsaqartvelo@yahoo.com
ტელ.: 293 69 77

გამოდის პარასკევობით